# საერთო გაზეთი

№7 (360) • 2 მარტი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

## რა სინდისით აპროტესტებს სამი ხის გადარგვას „ნაცმოძრაობა", რომელმაც თავისი მმართველობის დროს საქართველოს სატყეო მასივებიდან 9500 ჰექტარი ტყე ანუ დაახლოებით 5 მილიონამდე ხე გაანადგურა?

## „მშობლიურო ჩემო მიწავ..."



## „ნატოში ბუხრის საკვამურიდან თუ ჩავხტებით, თორემ კარებიდან ჩვენ იქ არავინ შეგვიშვებს"



## პოლიტიკურ „ხაჭაპურში", რომელსაც ელისო ჩაფიძე „ქართული ოცნებისთვის" აცხობს, ყველის ნაცვლად ქვა და ნახშირი დევს...



### შევარდნაძის ყოფილი რეფერენტის სკანდალური განცხადება

## მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც „ვარდების რევოლუცია" მოაწყო, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელი იყო და არის დღემდე

„რუსთავი-2"-ს ძირითადი დამფინანსებელი ცნობილია და ეს არის „როსნეფტი".

## ახალი საფრთხე – სომხური კათოლიკური ორდინარიატი



## ცრუპენტელა ბარბის ახალი ოინები

## ქართველი გეი ჯარისკაცი თავდაცვის მინისტრს დახმარებას თხოვს



### ზვიად ჩიტიშვილი:

## მალე მცხეთაში, ახალაშენებულ ეკლესიაში, ქართველები და ოსები ერთად ილოცებენ



## გურამ ანდრონიკაშვილი ფინანსების ქართველი ჯეიმს ბონდი

# გიორგი გაჩეჩილაძე:
# რა სინდისით აპროტესტებს სამი ხის გადარგვას „ნაცმოძრაობა“, რომელმაც თავისი მმართველობის დროს საქართველოს სატყეო მასივებიდან 9500 ჰექტარი ტყე ანუ დაახლოებით 5 მილიონამდე ხე გაანადგურა?



**მართალია, წინა ხელისუფლების მეხოტბეები ხშირ-ხშირად მოგვიწოდებენ, წარსულში ქექვას და ცხრა წლის გახსენებას თავი დაანებეთო, მაგრამ ხშირად თავად გვიბიძგებენ „მოგონებებში გადავეშვათ“ და ნაციონალების „საგმირო საქმეები“ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი ნაციონალებს გაჩეხილ ტყეებს და 2013 წელს სახელმწიფო აუდიტის დასკვნას ახსენებს, რომლის თანახმად, დედაქალაქის მწვანე ზოლის განადგურების გარდა, სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული. გიორგი გაჩეჩილაძე შესაბამის ორგანოებს ამ მასალებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.**

„ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს კადრულობს და საკუთარ წევრებსაც კი წირავს იმისთვის, რომ საკუთარი ტელევიზიების საშუალებით, ნახევარწუთიანი პიარი ააგოროს. ეს პირდაპირ მიუთითებს ამ ადამიანების მორალურ-ზნეობრივ მდგომარეობაზე, თუმცა იმის შემდეგ, რაც მათ ქვეყანაში აკეთეს, გასაკვირი არაფერია.. ხალხი, რომელიც უცბად წამოეგება ხოლმე ხელოვნურად აგორებულ თემებს, უნდა დაფიქრდეს, რომ ტყუილის მსხვერპლად არ იქცეს და არ დაზარალდეს, თორემ ნაციონალები პარლამენტში არიან გამოჭიმულები და მშვენივრადაც გრძნობენ თავს. წარმოიდგინეთ, **ერთი ამბავია ატეხილი იმის გამო, რომ სამი ხე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადააქვთ და ამას აპროტესტებს ხალხი, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გაანადგურა საქართველოს გარემო** და რა თქმა უნდა, მწვანე ნარგავები.

**— შეგიძლიათ ამის დამადასტურებელი, კონკრეტული ფაქტები გაიხსენოთ?**

— არსებობს ოფიციალური დოკუმენტი – 2013 წელს გამოქვეყნებული სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, რომელიც 2009-2011 წლებში თბილისის გამწვანების საკითხებს და იქ არსებულ დარღვევებს ეხება. დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ **თბილისის მერიამ 2009-2011 წლებში ოფიციალური ნებართვა გასცა 20 690 ძირი ხის მოჭრაზე. არაოფიციალურად რამდენი მოიჭრა, ამას ვინ დაითვლის...** აი, რატომ გვაქვს თბილისში ასეთი მძიმე მდგომარეობა გამწვანებასთან დაკავშირებით. აი, რაზე უნდა გამართულიყო აქციები, მაგრამ რატომღაც, ასეთი საკითხებით არც არასამთავრობო სექტორი და არც პროკურატურა ინტერესდება. არადა, ამ ხეებს განსაკუთრებული როლი აქვს ქალაქის პირობებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების კუთხით. გარდა ამისა, იგივე აუდიტის სამსახურის ანგარიშში ამ საქმის კორუფციულ მხარეებზეც არის საუბარი. მასალებიდან ირკვევა, რომ ექვს კომპანიას, რომელიც ხეების მოჭრის სამუშაოებს ასრულებდა, „დაუსაბუთებლად მაღალი ფასნამატებით“ გადაუხადეს. მერიის მიერ ზედმეტად გადახდილია 879 000 ანუ მილიონ ლარამდე. ეს აშკარა კრიმინალია და წესით შესაბამის ორგანოებში სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.





**— შესაბამისი ორგანოებისთვის ამ მასალების შესახებ ცნობილია?**

— მე ეს საკითხი რეგიონალური კომიტეტების გაერთიანებული სხდომაზე დავაყენე და იმედი მაქვს, რომ კომიტეტები ოფიციალურ მასალებს, რომლებშიც ერთი მხრივ, კორუფციული მომენტები იკვეთება და მეორე მხრივ, თბილისის გამწვანებული ზოლის

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.




განადგურებასთან არის დაკავშირებული, შესაბამის ორგანოებს გადასცემენ. სხვათა შორის, ამ სხდომაზე იმყოფებოდნენ ნაციონალებიც, რომლებსაც ვუთხარი, რომ მათ გახსნეს „პანდორას ყუთი“ და გაწირეს საკუთარი მეგობრები, რომლებსაც ამ მასალების გამო შეიძლება მდგომარეობა დაუმძიმდეთ. იცით, რა არის სამწუხარო და აღმაშფოთებელი? იმ კომიტეტის სხდომას ტელემედიის უდიდესი ნაწილი ესწრებოდა, მაგრამ ეს ფაქტი არავინ გააშუქა. დიახ, ასეთი დამოკიდებულება აღმაშფოთებელია, იმიტომ, რომ ეს რაღაც პიროვნულ დაპირისპირებას კი არა, ქვეყნის ინტერესებს ეხება და ჩვენ თუ გარემო ვერ შევინარჩუნეთ, არავითარი პერსპექტივა აღარ გვექნება. აქვე გეტყვით, რომ ამ მასალების გარდა, არსებობს სხვა მონაცემებიც. მაგალითად, **2002 წლისათვის ვაკის პარკის ტერიტორია 47 ჰექტარს შეადგენდა. 2012 წლისთვის აქედან მხოლოდ19 ჰექტარი იყო დარჩენილი. დანარჩენი ტერიტორია გაყიდულია**. ამ დროს, ვაკის პარკი კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში შედის, როგორც საბაღე ხელოვნების ნიმუში. ამის გარდა, არსებობს კოსმოსიდან სატელიტური დაკვირვება, რომლის მონაცემებით, **2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოს სატყეო მასივებიდან გამქრალია 9500 ჰექტარი ტყე. ეს დაახლოებით, 3-დან 4 მილიონამდე ძირი ხეა**. ამას აკეთებდა ხალხი, რომელიც დღეს სამი ძირი ხის გადარგვის გამო აქციებს აწყობს.

— **2012 წელს „მწვანეთა პარტიამ“ საკონსტიტუციო სასამართლოს ეკოლოგიური სარჩელით მიმართა. თქვენ აპროტესტებდით 2012 წლის 20 მარტს გარემოს დაცვის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმად, თუ მეწარმე მთავრობასთან გააფორმებდა შეთანხმებას და გადაიხდის განსაზღვრულ თანხას, მის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში განხორციელებული ყველა ქმედება კანონიერად ჩაითვლებოდა და მეწარმეს არ დაეკისრებოდა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.**

— წინა ხელისუფლების დროს, გარემოს დაცვის სფეროში იმდენი დანაშაულია ჩადენილი, რომ არ ვიცი, რომელი ერთი დაგისახელოთ. სანამ ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, „მწვანეთა პარტია“ რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი პარლამენტში. ჩვენ შევქმენით ახალი კანონმდებლობა და ჩავატარეთ გარემოს დაცვის რეფორმა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეს კანონმდებლობა დაჩეხეს, გაანადგურეს და გარემოს დაცვის სამინისტრო უფუნქციოდ დატოვეს. წარმოიდგინეთ, ყველა ფუნქცია, რომელიც რესურსებს ეხებოდა, მათ შორის ტყე და ბუნებრივი წიაღისეული, ენერგეტიკის სამინისტროში გადაიტანეს. შექმნეს რაღაც ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი და კურატორად უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსანი და ვანო მერაბიშვილის კადრი დაუნიშნეს. გარემოს დაცვის სამინისტროს საქმე რომ აღარ დარჩა, გოგა ხაჩიძე ველოსიპედით დასეირნობდა, მაგრამ **ყველაზე დიდი დანაშაული, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეს, „გარემოს დაცვის შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილება იყო. კანონს დაამატეს თავი, რომელსაც ერქვა „შეთანხმება გარემოს დაცვის სფეროში“ და გულისხმობდა, რომ თუ ფულს წინასწარ გადაიხდიდი, ყველაფრის უფლება გქონდა. შეგეძლო შესულიყავი ნაკრძალში, ხე მოგეჭრა, ცხოველი მოგეკლა, მოგეწამლა და დაგებინძურებინა გარემო და არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებოდა**. რა თქმა უნდა,



ასეთი კანონმდებლობა გარემოს დაბინძურებას და შემდგომ ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევდა, ამიტომ პირადად გავასაჩივრე საკონსტიტუციო სასამართლოში. რუსთაველის პროსპექტზე უზარმაზარი აქციაც მოვაწყვეთ და იმდენი ხალხი მოვიდა, რომ 2000 ხელმოწერა ერთ საათში მოვაგროვეთ. მადლობა ღმერთს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს მუხლი, როგორც ანტიადამიანური და ანტიეკოლოგიური და ვეღარავინ გაბედავს ქვეყნის წინააღმდეგ ასეთი ბოროტების ჩადენას. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ტყის მასივების 97% განლაგებულია ციცაბო ფერდობებზე და გვიცავს ღვარცოფებისგან, მეწყერებისგან და წყალდიდობებისგან. ტყის განადგურებასთან ერთად, ეს პროცესები აქტიურდება და მსხვერპლი და ზარალი იზრდება და ამის ოფიციალური მონაცემები არსებობს. სამწუხაროა, რომ ხალხი, რომელიც ამაზე მიდიოდა, დღეს გარემოს დამცველის მანტიით აქციებს აწყობს და პარალელურად, თავისი პარტიის წევრებს და გაბრიყვებულ მხარდამჭერენს წირავს.

* * *

**ციხისძირიდან ხეების გადარგვასთან დაკავშირებით ატეხილმა ამბებმა საზოგადოებას საინტერესო მოგონებები აღუძრა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ საკუთარი ფეისბუკის გვერდზე დაწერა: „არ ვიცი როგორ ვთქვა, არასოდეს პოლიტიკასთან ასოცირებულ თემებს არ ვეხმაურები, ეს სუფთა პროფესიულია, არ შეიძლება ეპიდემიური გართულებებისას ვიღაცას შენი არ ჯეროდეს, იმიტომ რომ პოლიტიკურად „სხვისიანი” ეგონები, მაგრამ 3 ხის გადარგვა რომ პრობლემა გახდა, 300 ხის გაჩეხვა ლუგარის ლაბორატორიის წინ (აეროპორტის გახრიოკებულ გზასთან) რამდენიმე საათში, იმიტომ რომ კარგი შენობა ტრასიდან არ ჩანსო, რასაც ფაქტიურად ჩემი ჩამოცილებაც მოყვა მაშინ ამ ლაბორატორიიდან (ღიად განვაცხადე ამერიკელ პარტნიორებთან ამ უგუნურებას მე როგორ გავაკეთებდი მეთქი), არავითარი გამოხმაურება არც ერთი “ბუნების დამცველისგან” რომ არ მოყოლია? უნდა მჯეროდეს ახლა ამ ბუნების დამცველების?” — წერდა პაატა იმნაძე.**




ნელი თორდია
571 35 36 88

# პოლიტიკურ „ხაჭაპურში“, რომელსაც ელისო ჩაფიძე „ქართული ოცნებისთვის“ აცხობს, ყველის ნაცვლად ქვა და ნახშირი დევს...



**— აჰა, მოვედი ჩემი 17 წლის შრომითი სტაჟით და ჩემი ერთოთახიანი ბინით ვარკეთილში, — როგორც ამბობენ, ასეთი სიტყვები უთქვამს ქალბატონ ელისოს, როცა „ქართული ოცნების“ ოფისში პირველად შეუბიჯებია, თუმცა ამ ღრმად შინაარსიანი და მინიშნებებით სავსე სიტყვებისთვის ის არ დაუყოლებია, ამ 17 წლის შრომითი სტაჟიდან მთლად 17 თუ არა 10 წელი მაინც „ნაცმოძრაობის“ ერთგულ სამსახურს რომ შეალია.**

**ჟურნალისტური ცხოვრების კულუარებში ასე თუ ისე გაცნობიერებულ ადამიანებს ძალიან გაუკვირდათ, რომ ელისო ჩაფიძე, რომელიც „ნაცმოძრაობის“ და პირადად მიხეილ სააკაშვილის „პირად“ ჟურნალისტად ითვლებოდა, როგორ და რანაირად აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ელიტაში?**

**დღემდე საიდუმლოებითაა მოცული, ვინ გაუწია რეკომენდაცია ელისო ჩაფიძეს და ვინ დაარწმუნა „ქართული ოცნების“ მესვეურები, რომ ახლადშექმნილი ორგანიზაცია მისი სახით არა მარტო „ყველაზე ლამაზ“, არამედ ყველაზე „ნიჭიერ“ ჟურნალისტს და პოლიტიკურ მოღვაწეს შეიძენდა.**

**...მერე იყო ხაჭაპურების ცხობის სენტიმენტალური სცენები ტელეკამერების წინ, ხელმარჯვე დიასახლისი ელისო „კუხნაში“, ტყიბულის პატრიოტი ელისო ტყიბულელ მეშახტეებთან და ბოლოს — პარლამენტარი ელისო პარლამენტში!**

**სკეპტიკოსებს თავიდანვე არ სჯეროდათ, რომ ჯერ „ახალგაზრდა რეფორმატორების“, შემდეგ კი „ნაცმოძრაობის“ ფრთის ქვეშ დაფრთიანებული ჩაფიძე გულწრფელად თანაუგრძნობდა „ქართულ ოცნებას“ და ბოლომდე უერთგულებდა მას.**

**მე ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ, — ამბობდა სენტ ეკზიუპერი. ელისო ჩაფიძის ბავშვობა თუ არა ჟურნალისტური ყმაწვილქალობა „ნაცმოძრაობის“ წიაღიდან მოდიოდა და სწორედ ეს იყო სკეპტიკოსთა ეჭვის საბაბი.**

**სამწუხაროდ, მათი „წინასწარმეტყველება“ ახდა და ქალბატონი ელისო ნელ—ნელა ბრუნდება იქ, საიდანაც მოვიდა...**

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ:

„ტყიბულის მაღაროში ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები დაიწყო 2006 წლიდან. მას შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების შედეგად „საქნახშირი“ გახდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია საქართველოს ინდუსტრიულ სივრცეში. კომპანიამ მოახდინა მაღაროების რეაბილიტაცია და განაახლა ქვანახშირის მოპოვება ძიძიგურისა და მინდელის სახელობის მაღაროებში. 2009 წელს ექსპლუატაციაში შევიდა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. დღეს ქართული გამდიდრებული ქვანახშირის ხარისხი ყველა საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება. კომპანია ქვანახშირით მთლიანად ამარაგებს ადგილობრივ ბაზარს. გაფორმებული კონტრაქტების უმეტესობა გრძელვადიანია.

შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი” დაარსდა 2006 წლის აპრილში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების 100%-იანი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მაღაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. აღნიშნულ რეგიონში ლიცენზირებული მარაგის ჯამური მოცულობა არის 331 მილიონი ტონა.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ასევე ვკითხულობთ, რომ ამ შპს-ს გუნდს წარმოადგენენ: იორგ მათიესი (2015 წლიდან), გელა ბეჟუაშვილი (რომელიც პარალელრად ცემენტის მთავარი „მზელავია“ „ჰაიდელბერგ ცემენტში“), ზურაბ გელენიძე („საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ყოფილი „ვარსკვლავი“),ზურაბ გოზალიშვილი, თეა ბასიაშვილი (იურისტი) და ვახტანგ ჩხეიძე (გენერალური დირექტორი).

საზოგადოება მეტ-ნაკლებად იცნობს ამ „ცნობად“ სახეებს, მაგრამ ამჯერად ერთზე, გენერალურ დირექტორზე, შევჩერდებით.

საქმე ისაა, რომ ბატონი ვახტანგი თავის დროზე „მადნეულში“ მუშაობისას გუბერნატორ მამალაძის „სასტავში“ მოიაზრებოდა, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი ხმაურიანი სპეცოპერაცია სწორედ ჩხეიძის დაკავების ოპერაცია იყო. იმხანად ამბობდნენ, რომ მას ძალიან სოლიდური თანხა მიატანინეს „სადაც ჯერ არს“ და ამიტომ გაათავისუფლეს. ჩხეიძის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ის მჭიდროდ იყო დაკავშირებლი ბეჟუაშვილებთან. როგორც ჩანს, „ჩაპარსული“ ჩხეიძე ბეჟუაშვილმა არ გადაარჩინა თავის დროზე, მაგრამ ბოლომდე არ გაწირა. ზემოთჩამოთვლილ პირთაგან სხვებს რომ დავანებოთ თავი, საერთო სურათის შესაფასებლად ბეჟუაშვილის და ჩხეიძის ფაქტორიც საკმარისია.

2012 წელის ნოემბერში გავრცელებული ინფორმაცია: „ტყიბულში, მინდელის სახელობის მაღაროს ადმინისტრაციულ შენობაში გაფიცული მეშახტეები შეიკრიბნენ. მათ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო ჩაფიძე და პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით ბეჟუაშვილი ხვდებიან. არსებული ინფორმაციით, ბეჟუაშვილი მაღაროს ერთ-ერთი ინვესტორია. მაღაროელები მოითხოვენ, რომ არ შეუმცირდეთ შრომითი ანაზღაურება და არ მოხდეს მათი სამსახურებიდან შემცირება“.

რატომ გავიხსენე 2012 წლის ინფორმაცია? საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს, ახლადგადეპუტატებულმა ყოფილმა ჟურნალისტმა ელისო ჩაფიძემ მეშახტეების პრობლემები უკვე იცოდა, მაგრამ 4 წლის განმავლობაში მას ადამიანები, რომელთა გამო დღეს ულტიმატუმის ენით დაუწყო „ქართულ ოცნებას“ ლაპარაკი, არც კი გახსენებია. მეტიც, ჩაფიძე 2012 წელს დავით ბეჟუაშვილთან ერთად იყო ჩასული ტყიბულში. დავითის ძმა გელა „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ „სახეა“. რა გამოდის ახლა? ნაციონალი დეპუტატი ძმა „მენახშირე“ ძმის წინააღმდეგ „იღვწის“?

დავით და გელა ბეჟუაშვილები „ნაციონალური „საქინძეთიდან“ რომ არიან, ეს ზუსტად ვიცით და ისიც ვიცით, რომ ელისო ჩაფიძე ამ „საქინძეთში“ თავისი „მიუკერძოებელი“ და „ობიექტური“ პუბლიკაციების სახით თავის წილ ქინძს რგავდა. სხვათა შორის, ქალბატონი ელისო თუ გაგვიბრაზდება, დიდი სიამოვნებით გავახსენებთ სულხან მოლაშვილის მიერ ხელმოწერილ კონტროლის პალატის დასკვნას (რომლის გამოც სააკაშვილმა მოლაშვილი დააპატიმრა და აწამა), სადაც შავით თეთრზე წერია,



რომ იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა ბიუჯეტის ხარჯზე საზღვარგარეთ წაიყვანა ოთხი ჟურნალისტი, რომელთა შორის ელისო ჩაფიძეც იყო. მიშა რომ შემთხვევით ადამიანებს, მით უმეტეს, ჟურნალისტებს, არსად წაიყვანდა, ეს ცხადია. ანუ რა გამოდის? 2012 წლიდან დღემდე მეშახტეების პრობლემებზე პირში წყალჩაგუბებული ჩაფიძე ბეჟუაშვილებთან დაახლოებული პირია? შეიძლება ვინმემ თქვას, რომ „ვბოდავ“, მაგრამ, საინტერესოა, ცოტა ხნის წინ გავრცელებული მოარული ხმები ბეჟუაშვილ-ჩაფიძის გარიგების შესახებ. როგორც ამბობენ, ბეჟუაშვილს სურს, ამჯერად, კენჭი ტყიბულიდან იყაროს, ამიტომ ის ჩაფიძეს გაურიგდა, მიზნის მიაღწევად მას თავისი ძმა ეხმარება და იმასაც ამბობენ, რომ ცოტა ხანში მეშახტეების პრობლემებიდან ერთ უმნიშვნელო პრობლემას (მაგალითად, ზამთრის ტანსაცმელს) გადაჭრიან. რაში გამოიხატება ჩაფიძის დახმარება ბეჟუაშვილისათვის? როგორც ამბობენ, სწორედ იმ „მკვეთრ“ განცხადებებში, რაც უკვე გააკეთა ყოფილმა ჟურნალისტმა. ანუ ჩაფიძე იმუშავებს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, მაღაროელები და მათი ოჯახის წევრები ამას „გულჩვილობასა“ და „ჰუმანიზმში“ ჩაუთვლიან დეპუტატს, ხოლო ბეჟუაშვილი გამოვა და იტყვის, რომ მისმა ძმამ გადაჭრა პრობლემის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილს კი უახლოეს ხანში გადაჭრის.

აი, ეს არის სააკაშვილის სკოლა...

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ელისო ჩაფიძემ, რომელიც „რეზონანსის“ დამფუძნებლებთან ერთად მოიხსენიებოდა ე.წ. რეფორმატორების აქტიურ მხარდამჭერად და თან იმდენად აქტიური იყო, რომ ჟურნალისტები ხშირად ხედავდნენ სააკაშვილთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებზე. სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, რომ ამ სიახლოვის გამო ძალიან ბრაზდებოდა მარიკა ვერულაშვილი, მაგრამ ჟურნალისტი ჩაფიძე მიშას სჭირდებოდა და მარიკაც დუმილს არჩევდა. ჩაფიძის სახელს უკავშირდება „დინამოს“ თემის აწევა. ვიდრე კახა თარგამაძე შს მინისტრი იყო, ჩაფიძე „გულამოსკვნილი დასტიროდა“ „დინამოს“, წერდა, რომ ფეხბურთი მინისტრის ბიზნესი იყო. ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა „დინამოს“ „ნაწილში“, მაგრამ ჩაფიძეს ეს თემა არც კი გახსენებია. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს, როცა შსს-ს „უტევდა“ მან აწ გარდაცვლილი ერთი ჟურნალისტისაგან იყიდა (ამბობენ უყიდესო) ბინა. შსს-ში კარგა ხანს იყო „საღადაო თემა“ ჩაფიძის „მოთხოვნა“: მიუხედავად იმისა, ჩაფიძის მარჯვენა აგინებდა კახა თარგამაძეს, მარცხენა თურმე „მივიდა“ თარგამაძესთან დაახლოებულ ერთ ჩინოსანთან (რომელსაც ჟურნალისტებთან ჰქონდა კავშირი) და ბინის რემონტის ფული (1000 დოლარი იმჟამინდელი ფასებით) მოითხოვა. ის ჟურნალისტი, ვისი ბინაც იყიდა ჩაფიძემ და ვინც ჩაფიძეს გზა გაუკვალა, უპატრონოთა თავშესაფარში ისე გარდაიცვალა, იმჟამად უკვე ზენიტში მყოფ ჩაფიძეს, იგი არც კი მოუკითხავს. ამის გამო გულისწყრომას ცხონებული ჟურნალისტი, ქალბატონი კლარა აბრამია არც მალავდა!

იმ „შავბნელ დროს“ ელისო ჩაფიძემ ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებას ახლა ვერ ვიხსენებ, მაგრამ „მთავარი მესიჯი“ ჟურნალისტების უფლებების დაცვა იყო. ეს ორგანიზაცია არსებობდა, თუმცა ჩაფიძეს „არასასურველი ჟურნალისტების“ დევნის საწინააღმდეგოდ სააკაშვილის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია. სხვათა შორის, როცა ბიძინა ივანიშვილმა 2011 წელს რამდენიმე, როგორც თავად





განაცხადა, ნიჭიერ ჟურნალისტთა შორის ჩაფიძე არ დაასახელა, მანამ ბობოქრობდა ეს „ობიექტურობით“ სახელგანთქმული ჟურნალისტი, ვიდრე ივანიშვილმა როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, სხვებთან ერთად არ დაიბარა და არ შეხვდა. ამ შეხვედრიდან გამოსულმა ჩაფიძემ განაცხადა: „ივანიშვილი ისეთი არ ყოფილა, როგორიც მეგონაო“. დღემდე გაურკვეველია, როგორი ეგონა ჩაფიძეს ივანიშვილი შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ რატომ შეიცვალა წარმოდგენა?

უკვე გადეპუტატებული ელისო ჩაფიძის „მოღვაწეობიდან“ ბევრს ვერაფერს გაიხსენებს ადამიანი, თუ არ ჩავთვლით ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის დროს გაჟღერებულ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლითაც პარლამენტს მიმართეს. ჩაფიძემ კატეგორიული უარი განაცხადა პროექტს მხარს არ დავუჭერო, თუმცა მეორე დღეს „პლასტინკა“ „ამოაყირავა“ და კანონპროექტს ხმა მისცა! რატომ მოხდა ეს მას არ აუხსნია იმ ამომრჩევლისთვის ვის გამოც ახლა „თავს იკლავს“. ამ ფონზე ერთ-ერთი ბეჭდური გამოცემა წერს: „ჩაფიძემ სოციალურ ქსელში წერილი განათავსა: „მადლობა თამარ კორძაიასა და „რესპუბლიკურ პარტიას“ მეშახტეების მხარდაჭერისა და კვალიფიციური განცხადებისთვის, აი, რატომ მიყვარს „რესპუბლიკელები“... ჩაფიძემ აღიარა „რესპუბლიკელებთან“ შარიშური და თუკი ელისოს ულტიმატუმები არ დაკმაყოფილდება და, დიდი შანსია, რომ არ დაკმაყოფილდეს, მაშინ საკუთარ თავს „რესპუბლიკურ პარტიაში“ მოძებნის და დიახაც, არ წავა პოლიტიკიდან, როგორც ეს მან ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა“.

ახლა რაც ეხება ყველაზე მთავარს, რა ჩაიგდეს ხელში ძმებმა ბეჟუაშვილებმა და ვის ზურგზე გამდიდრდნენ ისინი!







დღეს ბეჟუაშვილი და კომპანია კატეგორიული წინააღმდეგია გაფიცულ მუშებს მოუმატონ ხელფასი! კომპანიის ოფიციალური საიტიდან აღებული ინფორმაციით საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა ამოდის მაღაროდან, თუმცა ბეჟუაშვილების გაღორებულ მუცელს ნამდვილად ვერ ამოყორავს! არადა, ტყიბულის მაღარო ერთ დროს ძმებს და მათთან დაახლოებულ პირებს კი არა თითქმის მთელ სსრკ-ს ამარაგებდა...

ელისო ჩაფიძე აცხადებს, რომ პარლამენტარობა პანაცეა არ არის და „ქართული ოცნების“ დატოვებით იმუქრება, თუმცა ჯერ ბოლომდე არ აქვს გადაწყვეტილი, გადადგას თუ არა ეს „თავგანწირული“ ნაბიჯი.

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, მეშახტეების მიერ ულტიმატუმის ფორმით წარმოებულ აქციებს კულუარებიდან სწორედ ქალბატონი ელისო მართავს და ხელმძღვანელობს.

უფრო მეტიც, წლების განმავლობაში არსებული ამ პრობლემის წინ წამოწევა სწორედ ახლა, მაშინ, როცა საპარლამენტო სიების შედგენის საკითხი გადამწყვეტ ფაზაში შედის, სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალბატონ ელისოს თუ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში მოხვედრის გარანტიას მისცემენ, ის ამ აქციებს ჩააცხრობს, თუ არადა, ცეცხლზე კიდევ უფრო დიდი რაოდენობით დაასხამს ნავთს და ამას გააკეთებს მანამ, სანამ რომელიმე პარტია არ დაუძახებს და მისთვის მისაღებ პირობებს არ შესთავაზებს, ამის შემდეგ კი „ქართული ოცნებიდან“ წავა და თან წაიყოლებს იმ „მზითევს“, რაც „ქართულ ოცნებაში“ ყოფნისას დაუგროვდა. დაგროვებით კი, პოლიტიკურ ხაბაკ-ხუბაკთან ერთად, ბევრი რამ დაუგროვდა ქალბატონ ელისოს, რითაც უზრუნველი მომავალი გარანტირებული აქვს.

რა წყევლა დაჰყვა ამ „ქართულ ოცნებას“ ასეთი, რომ ყველას რაღაც მიაქვს იქიდან და მათ შორის მიაქვთ იმათაც, რომლებსაც მოტანით არაფერი მიუტანიათ, გარდა „ნაცმოძრაობის“ სამსახურში დაგროვილი შრომითი სტაჟისა და კიდევ მერაბიშვილის მიერ ნაწყალობევი სამხრეებისა, რომლებიც, ჯერჯერობით, საიდუმლოდ აქვთ ჩაკერებული სარჩულებში და საჭირო დროს და მომენტს ელოდებიან, რომ საზოგადოების წინაშე თავიანთი ნამდვილი სახით წარსდგნენ.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## შევარდნაძის ყოფილი რეფერენტის სკანდალური განცხადება

# მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელი იყო და არის დღემდე



## „რუსთავი-2“-ს ძირითადი დამფინანსებელი ცნობილია და ეს არის „როსნეფტი“.

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, შევარდნაძის ყოფილი რეფერენტი უშიშროების საკითხებში, ბატონი **გია კუჭავა***

**– იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ზოგიერთი ე. წ. პოლიტიკოსი ქვეყნის საშინაო საქმეების გასარკვევად აშშ-ის საელჩოს აკითხავს, პოლიტიკურ სტაბილურობასა და სიმშვიდეს მაინც ვერ მივაღწიეთ, ძალიან შორსაა ჩვენი „მეგობარი“ ამერიკა...**

– გასაგებია თქვენი ორაზროვანი შეკითხვის არსი, მაგრამ გაგახსენებთ, კენედიმ თქვა ერთხელ: იმას კი ნუ დაითვლით, რა გაგიკეთათ ამერიკამ, იმაზე იფიქრეთ, თქვენ რა გაუკეთეთ ამერიკასო.

ახლა ბევრი ამბობს: რა გაგვიკეთა მთავრობამ?! კი, მაგრამ შენ რა გაუკეთე შენს ქვეყანას?!

**– რა გაუკეთეს ნაცებმა ქვეყანას – დავინახეთ. ცალი ხელით ტერიტორიები და სტრატეგიული ობიექტები გადასცეს რუსებს, მეორე ხელით ახალი გუანტანამო მოაწყვეს საქართველოში, ახალგაზრდების ცნობიერება შებილწეს და ზნეობა და განათლებაც ზედ მიაყოლეს.**

– კახა ლომაიას სიტყვები გაიხსენეთ, ის ამბობდა: ჩვენ არ გვჭირდება განათლებული ხალხი, ჩვენ გვინდა მუშახელიო.

მათ საქართველოში ბრბო სჭირდებოდათ, რადგან განათლებულ და მოაზროვნე ადამიანს ადვილად ვერ დაიმორჩილებ.

**– თვითონ იყვნენ განათლებული?!**

– „ნაცმოძრაობის“ „ვერხუშკა“ განათლებული ხალხი იყო, მაგრამ მათ არ მოსწონდათ გვერდით განათლებული ადამიანები, რადგან ვერ ეტყოდნენ – ეს მე ვიცი, შენ – არა. მე შენზე უპირატესი ვარ!

აი, ძმები ბერძენიშვილები, განათლებულები, მაგრამ ანტიქართველები არიან.

მოდით, ასე გეტყვით, მე-19 ს-ის დასაწყისში „თერგდალეულებმა“ დაიწყეს მოღვაწეობა, მაგრამ იცით, თუ არა, რომ „თერგდალეულები“ ერქვათ არა იმათ, რომლებსაც პეტერბურგში ჰქონდათ განათლება მიღებული, არამედ იმათ, რომლებსაც იქ ჰქონდათ განათლება მიღებული, ამ განათლებას საქართველოს საკეთილდღეოდ იყენებდნენ და არა საკუთარი მერკანტილური ინტერესებისთვის.

ასე არიან, მაგალითად, ბერძენიშვილები და მათნი მსგავსნი, თავიანთ განათლებას საკუთარი თავისთვის იყენებენ, რათა კეთილდღეობა შეინარჩუნონ. ოლიგარქიულ-პლუტოკრატიული სახელმწიფო შექმნან და არა ის, რომ თვითონ ქვეყანა და ამ ქვეყნის ხალხი იყოს კარგად.





გინდ მიშა, ნაციონალები და რესპუბლიკელები ავიღოთ, ესენი ერთნი არიან, ერთი იდეოლოგია აქვთ, რაც ნიშნავს – მე უნდა ვიყო მმართველი, თქვენ – მართული.

**მიშასგან და ნაციონალებისგან ამას მოველოდით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ეროვნული განწყობით არასდროს გამოირჩეოდნენ რესპუბლიკელები, მაინც არ მეგონა, ასე თუ მიუახლოვდებოდნენ პათოსით ნაციონალებს.**

გაიხსენეთ 1999 წლის არჩევნები. დავით ბერძენიშვილი გამოვიდა მაშინ ტელევიზიით, კანდიდატი იყო, კენჭს იყრიდა საბურთალოს რაიონში. მისი კონკურენტი იყო ზურაბ ჟვანია. დავით ბერძენიშვილმა თქვა: მიკვირს, რატომ დამიპირისპირდა მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენელი ზურაბ ჟვანია, რადგან მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდსა და რესპუბლიკურ პარტიას, ძირითადად, ერთი და იგივე იდეოლოგია გვაქვსო. ნაცმოძრაობის დამფუძნებლებსა და რესპუბლიკელებს იმთავითვე ერთი და იგივე იდოლოგია ჰქონდათ. ამას თვითონაც აღიარებდნენ, მაგრამ რესპუბლიკელები უფრო განათლებულები, უფრო ჭკვიანები და უფრო მეტი ნაძირლები არიან. ისინი უფრო მეტ საძაგლობებსაც ჩაიდენენ, ვიდრე ნაციონალები ჩადიოდნენ, ოღონდ ისე, რომ ხალხი გვიან მოვა აზრზე.

**– ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებს ხალხი რესპუბლიკელების მიმართ, ეს, შეიძლება, მართული პროცესი იყოს რომელიმე პატრიოტული ან კონკურენტული (თუ არსებობს ასეთი (?!) პოლიტიკური ძალისგან თუ თვით ხალხის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატულება?**

– შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპუბლიკელებს არასდროს ჰქონიათ რეიტინგი ქართულ საზოგადოებაში. თუ გადავხედავთ დამოუკიდებელი საქართველოს არჩევნების ისტორიას, რესპუბლიკელები პარლამენტში დამოუკიდებლად არასდროს მოხვედრილან.

**ამათ ისე, როგორც მიშას, სურთ, საქართველო იყოს თავიანთი კერძო შპს, თვითონ იყვნენ კარგად, დანარჩენი ქართველები, მათი აზრით, არის მეორეხარისხოვანი ბრბო.**

რესპუბლიკელები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ რომ არ შესულიყვნენ, დიდი ალბათობით, ისინი კოალიციას შექმნიდნენ „ნაცმოძრაობასთან“. საარჩევნო ტექნოლოგიებში ძალიან კარგადაც ერკვეოდნენ სხვებთან შედარებით. თუ რესპუბლიკელებს კოალიციაში არ შეიყვანდნენ, კოალიციას ძალიან გაუჭირდებოდა უმრავლესობის მოპოვება.

კოალიცია ჭრელია, თუმცა მაინც მგონია, რომ რესპუბლიკელების შეყვანა კოალიციაში ცალკეულ პირებს პიარტექნოლოგებმა ურჩიეს.

**– ახლა კოალიციიდან რესპუბლიკელების გასვლა რა პრობლემებს შექმნის?**

– შექმნის გარკვეულ პრობლემებს.

რამდენიმე თვის წინ კულუარებიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკელებმა მოითხოვეს სამინისტროებში რამდენიმე დამატებითი ადგილი. 50 % გამსვლელი ადგილები მოითხოვეს სიაში მინისტრებთან და მინისტრების მოადგილეების პორტფელებთან ერთად.

**– რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა გამოგვიცხადა ოდესიდან – მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, არ ვაპატიებ KGB-ს აგენტებს საქართველოს დანგრევასო. ეს უკვე ირონია აღარაა.**

– მიშა ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ, ასე სადაა.

ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობა“ მომავალ არჩევნებში მაქსიმუმ 7-დან 11%-მდე აიღებს, ან იმასაც ვერა. ახლა აღარ დაეხმარება რუსეთის სპეცსამსახურები ისე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს.

თუმცა გამორიცხულიც არაფერია, მაშინ, როცა **„რუსთავი-2“-ს ძირითადი დამფინანსებელი ცნობილია და ეს არის „როსნეფტი“.**

**– დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს?**

– კი, ბატონო, ფოთის პორტის მფლობელი გახლდათ დავით იაკობაშვილი, „როსნეფტის“ აქციათა მფლობელი და „ჯიპას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. „როსნეფტი“ აფინანსებდა „ნაცმოძრაობას“ და „რუსთავი-2“-ს. დანარჩენი თქვენ თვითონ გააანალიზეთ. თვით სააკაშვილი რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო და არის დღემდე.

**– ანუ რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელმა სააკაშვილმა მოაწყო „ვარდების რევოლუცია“?**

– მსოფლიოში ცნობილ პოლიტოლოგს სერგეი კარა-მურზას გამოცემული აქვს წიგნი „რევოლუციი ნა ექსპორტ“. სადაც ის წერს: თუ გსურს ქვეყანაში გარკვეული იდეის დისკრედიტაცია მოახდინო, იმ ქვეყანაში უნდა შექმნა პოლიტიკური პარტია, რომელიც იდეის დისკრედიტაციას შეძლებს, ანუ წარამარა უნდა იყვირო – ჩვენ გვიშველის ამერიკა და ევროპა და რეალობაში ამტკიცო სხვა რამე.

**საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის მოყვანით ჩაფიქრებული იყო დასავლური იდეალების დისკრედიტაცია და ეს მან შესანიშნავად განახორციელა.**

უბრალო მაგალითს გავიხსენებ. მახსოვს, ამერიკის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის სიტყვები: ჩვენ თანახმა ვართ, ჩატარდეს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები, ოღონდ შევარდნაძე პრეზიდენტად 2005 წლამდე უნდა იყოს, სანამ ვადა არ ამოეწურებაო.

მიშამ მაინც თავისი გაიტანა და როცა იმ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი ჩამოვიდა, შევარდნაძე მას შემდეგ გადადგა.

შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, აშშ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო შევარდნაძის გადადგომის.



**პირადად მე მითხრა ცხონებულმა ნუგზარ საჯაიამ: პრესკონფერენციას მოვაწყობ და მიშაზე ისეთ რამეებს ვიტყვი, საქართველოდან ვერ გაასწრებსო.**

**– ანუ სააკაშვილი ჯერ რუსეთმა გამოიყენა, მერე აშშ-ის მფლობელობაში გადავიდა?**

– არა, არა. გაიხსენეთ, სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია რუსეთის სამხედრო დაზვერვის გენერალია. 1991 წლის აგვისტოში მე, გია კუჭავა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მიტინგებზე ვიდექი, თემურ ალასანია და სააკაშვილი გეკაჩეპეს უჭერდნენ მხარს. დროა, საზოგადოებამ ყველაფერი ამის შესახებ რეალური ინფორმაციები იცოდეს.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# ცრუპენტელა ბარბის ახალი ოინები



**პროფესიული განათლების პროფკავშირების ლიდერი დენის დავითაშვილი აცხადებს, რომ პროფესიული განათლების გერმანული მოდელისა და დუალური სისტემის ქართულ რეალობაში დანერგვა პროფესიული კოლეჯების მასწავლებლების უმუშევრად დარჩენას გამოიწვევს. დენის დავითაშვილის განმარტებით, ეკონომიკურად განვითარებული და მძლავრი საწარმოო პოტენციალის მქონე გერმანიაში პროფესიული განათლებისთვის ყოველწლიურად, 40 მლრდ. ევრო იხარჯება. ამასთან, სწავლის ხანგრძლივობა 3-დან 4 წლამდეა, როცა ჩვენთან ერთი წელი და ზოგიერთ სპეციალობაში წელიწადნახევარია. აქედან გამომდინარე, დენის დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ თამარ სანიკიძის ინიციატივა რეალობასაა მოკლებული და მხოლოდ პიარს ემსახურება.**



ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონმა პრემიერმა პროფესიული განათლებისა და ზოგადად, განათლების სისტემა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. ითქვა, რომ რეფორმის შედეგად უნდა მოხდეს იმ სპეციალობების განსაზღვრა, რომელთა დაუფლების შემდეგ ახალგაზრდები უპრობლემოდ დასაქმდებიან და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ჩაერთვებიან. საინტერესოა, რას აკეთებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამ დავალების შესასრულებლად? სამი თვის წინ თამარ სანიკიძე და მისი პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდნენ, სადაც გაეცნენ გერმანიის პროფესიულ განათლებას და გაიგეს, რომ გერმანიის პროფესიულ განათლებაში მოქმედებს დუალური სისტემა. ამ „აღმოჩენით" გახარებულებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, პრემიერ–მინისტრს ამ ნოვაციის საქართველოში დანერგვა შესთავაზეს. 18 თებერვალს პრემიერთან სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში შრომით ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება და გერმანული დუალური სისტემის შემოტანის საკითხები. მოგახსენებთ, რას ნიშნავს დუალური სისტემა და რატომ არის მისი ქართულ სინამდვილეში შემოტანა არასასურველი. ვფიქრობ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობა ახლოსაც ვერ მივა იმ ქვეყნების ეკონომიკასთან და უმძლავრეს საწარმოებთან, სადაც პროფესიულ განათლებაში დუალური სისტემაა დანერგილი. გერმანიის გარდა, ეს მოდელი წარმატებით მუშაობს ავსტრიასა და შვეიცარიაში, ანუ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დამსაქმებელი დაინტერესებულია, ჰყავდეს ისეთი დონის კვალიფიციური სპეციალისტი, როგორიც მის კონკრეტულ საწარმოს და ქვეყნის ეკონიმიკას წინ წასწევს. ცნობისთვის, გერმანიაში პროფესიული განათლებისთვის ყოველწლიურად, 40 მლრდ. ევრო იხარჯება. ამასთან, სწავლის ხანგრძლივობა 3-დან 4 წლამდეა, როცა ჩვენთან ერთი წელი და ზოგიერთ სპეციალობაში, წელიწადნახევარია. რაც შეეხება, პროფესიულ განათლებაში დუალური სისტემის არსს, იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლო გეგმების 1/3 სრულდება პროფესიულ კოლეჯებში, ხოლო 2/3 მესამედი ტარდება დამსაქმებლებთან, კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე. ბუნებრივია, საწარმოს ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც დაუფლებულია სწავლების პედაგოგიკას, მეთოდოლოგიას და არის არანაკლებ მომზადებული, ვიდრე კოლეჯის თეორიული სწავლების პედაგოგი. რატომ ხარჯავს გერმანიის მთავრობა ამდენ ფულს პროფესიული განათლებისთვის, რატომ გამოყოფენ ადგილებს საწარმოო პრაქტიკისათვის და რატომ უხდიან სტუდენტებს სტიპენდიას? იმიტომ, რომ დაინტერესებული არიან, გამოზარდონ მაღალი დონის და ისეთი უნარ-ჩვევების კადრი, რომელიც კოლეჯის დამთავრების შემდეგ იქვე დასაქმდება და წარმოებას განავითარებს. სწორედ ამიტომ, ჩვენგან განსხვავებით, გერმანიაში პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 90%-მდეა. ჩვენს რეალობაში, არ მეგულება არც ერთი დამსაქმებელი, რომელიც სპეციალისტს დაუკვეთავს, გერმანიის მსგავსად, სწავლის საფასურის 50% გადაიხდის და საწარმოო პრაქტიკის გავლას უზრუნველყოფს, სამუშაო ადგილებზე გამომუშავებულ ხელფასს გადაიხდის, მერე პრაქტიკის დამთავრებისთანავე, ახალგაზრდას სამსახურში აიყვანს. ასეთი დამსაქმებელი კიდეც რომ გამოჩნდეს, ის დაუკვეთავს ათჯერ და ოცჯერ იმაზე ნაკლებ სპეციალისტს, ვიდრე პროფესიული კოლეჯები დღეს უშვებენ. მაინტერესებს, რის საფუძველზე ეუბნება თამარ სანიკიძე პრემიერს, რომ გერმანულ მოდელს წარმატებით დანერგავს, როცა არც ერთი შეხვედრა არ ჩატარებულა არც დამსაქმებლებთან, არც კოლეჯებთან, არც ექსპერტებთან და არც დარგის სპეციალისტებთან? არ მოუსმენიათ პედაგოგების აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო გეგმების 2/3 წარმოებაში მომუშავე ადამიანებისთვის გადაცემა პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე პედაგოგებს სამსახურების და ხელფასების გარეშე დატოვებს? ან როგორ უნდა ჩაატარონ საწარმოო პრაქტიკა იმ ადამიანებმა, რომლებსაც პროფესიულ განათლებაში შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნიათ? ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალბატონ მინისტრს შეცდომაში შეჰყავს პრემიერი, რადგან მისი იდეა რეალობასაა მოკლებული და მხოლოდ წინასაარჩევნო პიარს ემსახურება.



**პროფესიული განათლების ლიდერი აცხადებს, რომ თამარ სანიკიძის მიერ პროფესიული განათლების სისტემაში ამ დრომდე ჩატარებული ყველა რეფორმა წარუმატებელია და სავარაუდოდ, იგივე ელის ამ მინისტრის მიერ ჩატარებულ სხვა რეფორმებსაც. დენის დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ თამარ სანიკიძეს განათლების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის გახანგრძლივება მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ მომავალ პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე ვიხილოთ.**

ამბიციები კარგია, მაგრამ რით დაიმსახურა? უკვე ევროპელი ექსპერტებიც ამბობენ, რომ 2013 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმა ისეთივე წარუმატებელია, როგორც 2009-2012 წლების რეფორმა, რადგან დაგეგმილი ღონისძიებების მხოლოდ 30% თუ სრულდება. სანიკიძეს კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ, პარლამენტში 2015 წლის იანვარში უნდა შეეტანა და დღემდე არ დაწერილა კანონის არც ერთი თავი და არც ერთ მუხლი და როგორც ვიცი, ამას2017 წლის 1 სექტემბრამდე არც უნდა ველოდოთ.

რამდენიმე დღის წინ პარლამენტის დეპუტატებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ მინისტრი იმ 26 რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, სადაც კოლეჯების ლიკვიდაცია მოხდა, არჩევნების წინ ისევ ატყუებს, მალე თქვენთან დაიწყება პროფესიული კოლეჯების აღდგენაო. მე ვუპასუხე ოთხი წელი ხომ გატყუებთ, ახლაც მოგატყუათ. აბა, ნახეთ აქვს თუ არა, განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების ობიექტების დაფუძნებისთვის გამოყოფილი თანხა? არა თქმა უნდა, არა აქვს. მაშინ, რის საფუძველზე გასცემს მინისტრი ასეთ დაპირებებს ან ასეთი ტყუილებით ფონს როდემდე გავა?

საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ მოახლოვებულია ახალი საპარლამენტო არჩევნები და წარმომიდგენია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ სამინისტროს მუშაობით გამწარებული სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლები. კარგი იქნება, თუ ხელისუფლებაში ვინმე ამაზე კარგად დაფიქრდება.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ნატოში ბუხრის საკვამურიდან თუ ჩავხტებით, თორემ კარებიდან ჩვენ იქ არავინ შეგვიშვებს“

## გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:



**– ბატონო სოსო, ახლახან, საქართველოს ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხს აპატურაიმ „ნათელი მოჰფინა“. მისი თქმით, ჩვენს გამო, რუსეთის მტრად გადაიკიდებას არავინ აპირებს. თანაც, მაპი, რომელსაც რა ხანია ხბოს აღტკინებით ველოდებით, თურმე, სულაც არ მოიცავს უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ, რუსეთიდან მომდინარე რისკებს ზრდის. როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?**

– ვფიქრობ, ეს განცხადება, მოულოდნელობას, აბსოლუტურად, არავისთვის უნდა წარმოადგენდეს. უბრალოდ, საქართველოში მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთია, ვინც რეალობას თვალს უსწორებს, სიმართლეს ამბობს და მეორე, ვინც ტყუის. გასული ხელისუფლებიდან დაწყებული პირველი მატყუარები მთავრობა, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებია. ასევეა, პრესაც. წინა საარჩევნო კამპანიის დროს „ქართული ოცნებაც“ ხომ ჰპირდებოდა ხალხს, ახლო მომავალში, ნატოში გაწევრიანებას? არ ტყუოდა? – რასაკვირველია, კი. მაგრამ მეორე მხრივ, ეს ბევრისთვის პრაგმატული ტყუილია. ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ოცნება საითკენაც ხალხი ისწრაფვის. ამერიკელებმა აიხდინეს „ამერიკული ოცნება“, შემდეგ, რუსეთში ბოლშევიკების ოცნება კომუნიზმი იყო, რაც ვერ ახდა, ეს მითი იყო. ასევე, „ქართული ოცნებაც“ ოცნებად დარჩა. ხიდაშელისა და მისი წინამორბედებისთვის მთავარი ნატოში გაწევრიანება კი არ იყო, არამედ თავად პროცესი. ეს პროცესი, მინისტრებისთვის, ძალზედ მიმზიდველია.

**– პროცესის მიმზიდველობაში რას გულისხმობთ?**

– მოგახსენებთ: დღეს, ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა – ღარიბი, ღატაკი და უინტერესო, ჟანგბადის ერთადერთი ნაკადი უცხოეთში მოგზაურობაა, მით უმეტეს, თუ საკუთარი ფულით კი არა, სახელმწიფოს მიერ ფინანსდები, თანაც, არა ღარიბი ქვეყნის, არამედ ძალიან მდიდარი ქვეყნის სტანდარტებით. ამიტომ, საუბარი იმაზე, რომ ჩვენ, აუცილებლად, გავხდებით ნატოს წევრი უბრალოდ, გარიგებული თამაშია. ფეხბურთშიც ხომ არის გარიგებული მატჩები, მაგრამ იქ, გარიგებაში თუ გამოგიჭირეს ყოფას გიტირებენ, ეს დასჯადია, ნატოს შემთხვევაში კი დასჯა არ ხდება. მაგალითად, გარიგებულია ბრიუსელის, ნატოს ჩინოვნიკები და საქართველოს ხელისუფლების ნაწილი. იცით, როგორ? ქართული მხარე მათ ეუბნება: თქვენ, დროდადრო ჩამოდით, თან შეგვაქეთ, გვითხარით, რომ კარგად, წარმატებულად ვმუშაობთ, იქვე, დასძინეთ, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად, გავხდებით ნატოს წევრი ქვეყანა. ეს, ჩვენთვის, სტიმულია, რაღაცას ვიზამთ, პერიოდულად დახმარებაც მოგვეცით, მთლად ძუნწებიც ნუ იქნებით, ხან ფული მოგვეცით „რეფორმების“ სახელით, ფულს სუნი არ უდის და არც ცოცხალი არსებაა, რომ ყვირილი ატეხოს მე სხვა მიზნით გამომგზავნეს და აქ სხვა მიზნისთვის მხარჯავენო. ამიტომ, ეს, უკვე, ჩვეულებრივი, სტანდარტული პროცედურაა. ელემენტარულად, ხალხი არ უნდა იყოს ბრიყვი. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ყველანაირი ბრიყვობის, სისულელის რეკორდი მოხსნა – არსებულიც და არარსებულიც. ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც გარანტირებულ, მომგებიან ბიზნესად პოლიტიკა აქცია, სადაც რისკი არაა. აქ, გაკოტრების რისკი, არ არსებობს. მიკვირს, როგორ ხდება ასე – მთელი სიცოცხლეა ვმუშაობ, მაგრამ ყოველთვის, ჩემზე კარგად ცხოვრობდნენ უმუშევარი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები – ჩემზე კარგი სახლი, მანქანები ჰქონდათ, თანაც, პროვინციიდან გუშინ ჩამოსულებს. თავად, მეოთხე თაობის თბილისელი ვარ, მამა პროფესორი იყო, მეც, მეუღლეც პროფესორები ვართ, შვილი დოქტორი მეზრდება. ეს ოპოზიციონერები კი უცებ პოლიტიკოსები გახდნენ, თბილისში ცხოვრება, დაქირავებული ბინებით, ნულიდან დაიწყეს. იგივე, სააკაშვილის მმართველობის პირველი პრემიერი აჭარიდან რომ ჩამოვიდა, მის ბინის ქირას – 200 ლარს პარლამენტი იხდიდა, მერე, მილიონერი გახდა, დღესაც, ასეა – სოროსია, როკფელერია, მორგანია თუ რა ხდება გამაგებინეთ, რა ტვინი აქვთ ასეთი? ასე, რომ პოლიტიკა, ჩვენთან, ყველაზე ურისკო ბიზნესი გახდა. მნიშვნელობა არ აქვს – ოპოზიციაში ხარ თუ მთავრობაში, რიგით მოქალაქეზე უკეთ ცხოვრობ. ასეთ ქვეყანას – ცხოვრების ამ რეჟიმით, ასეთი პოლიტიკური ანატომიით არც მომავალი აქვს, არც ნატოშია მისი ადგილი და არც ევროკავშირში. მისი ადგილი არის იქ, სადაც დღეს არის.

**– ბატონო სოსო, ჩვენი ნატოში არმიღების მიზეზად ტერიტორიული პრობლემებიც სახელდებოდა.**

– ტერიტორიული პრობლემა თითიდან გამოწოვილი საბაბია და მეტი არაფერი. ამ დღეებში დავინტერესდი და დოკუმენტებს გადავხედე. აღმოჩნდა, რომ 12-მდე ნატოს წევრ ქვეყანას ერთმანეთში დღემდე ტერიტორიული დავა აქვთ. ე.ი. ტერიტორიული პრობლემა ფაქტორი სულაც არაა. ელემენტარულად, საქართველო უკვე არავის აინტერესებს.

**– ახლა, მიზეზად გვითხრეს, თქვენი გულისთვის რუსეთს არ წავეჩხუბებითო.**

– დიახ, რასაკვირველია, ეს ჩვენ ისედაც ვიცოდით, მაგრამ უკვე დღეს, ამას ღიად გვეუბნებიან. ადრევე უნდა მივმხვდარიყავით, რომ რუსეთს, ჩვენი გულისთვის, არავინ წაეჩხუბებოდა. ნატოს დიდი იმედი ნუ გექნებათო – დღეს, უკვე ხმამაღლა გვითხრეს. მაგრამ ეს, ჩემთვის, საინტერესო არაა. ამას ისედაც მოველოდი, ვიცოდი, რომ სანამ რუსეთი ისეთია, როგორიც დღესაა და სანამ ევროპაც ისეთია, როგორიც დღეს, ნატოში არავინ მიგვიღებდა. ნატოში საერთოდ არავინ მიგვიღებს, ეს ფაქტია. უკვე ათი წელია ყველა კვერცხი ერთ კალათაში გვაქვს ჩაწყობილი, გვაქვს მხოლოდ ერთი პოლუსი – დასავლეთი. ქართულ კომპასზე მხოლოდ ერთი ისარია – დასავლეთის მიმართულებით, მეტი არაფერი, სხვა დანარჩენი – ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი არ არსებობს, არის მხოლოდ დასავლეთი. აღმოჩნდა, რომ დასავლეთიც ბლეფია. ახლა, ჩემთვის სხვა რამაა საინტერესო – როგორი იქნება დასკვნა ჩვენი საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, ასევე, მთავრობის, პრემიერის. ასევე, მოხდება თუ არა რაიმე ფასეულობათა გადაფასება, ღირებულებათა კორექტირება იგივე, რუსეთთან მიმართებაში. ღიად გვითხრეს ხომ რუსეთი თქვენს ბედს განაგებსო. ეს რას ნიშნავს? – რუსეთს თქვენი ნატოში მიღება არ უნდა და ამიტომ ვერ მიგიღებთო. აი, თუ რუსეთი მოინდომებს, მაშინ კი ბატონო, ჩვენი კარი ღიააო. მაგრამ თუ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებთ და მათგან საფრთხე აღარ გვექნება, მაშინ რა გვინდა ნატოში? იმდენი ფული გვაქვს, რომ კიდევ ნატოს საწევრო ვიხადოთ? რუსეთი ჩვენი ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგია ხომ, რა არის რუსეთის არგუმენტი? ჩვენ ხომ ამის თაობაზე რუსეთთან დიალოგი, დისკუსია არ გვქონია. აქ, თბილისში, გულში ვამბობთ, ჩვენი ნატოში შესვლა რუსეთს არაფერს დააკლებსო. ამ დროს, პუტინი და მისი მომხრეები, რუსეთში ამბობენ: საქართველო და უკრაინა ნატოში თუ შევლენ, ჩვენ ომს დავიწყებთო. გაფუჭებულ ტელეფონს ვთამაშობთ. ისევე, როგორც ახლა ჟენევაში მიმდინარეობს მოლაპარაკება ქართულ, აფხაზურ, ოსურ მხარეთა შორის, ცალ-ცალკე ოთახებში ჩაკეტილნი, მერე, 5-5 წუთი შეხვდებიან ერთმანეთს, წაეჩხუბებიან და ვინაიდან ერთსაც და მეორესაც, რასაკვირველია, ჩემი და თქვენი ფულით, კიდევ უნდა ჟენევაში ჩასვლა, შეთანხმდებიან შემდეგზე – კი, აზრი არ აქვს ამ შეხვედრას, მაგრამ ჟენევა ძალიან კარგია, ხანდახან ჩავალთ, თითო პიჯაკს ვიყიდითო. დაკვირვებული ვარ, ასეთი მისვლა-მოსვლის მერე, ჩვენს პოლიტიკოსებს, სუყველას, ახალი, უკანასკნელი მოდის პიჯაკები აცვიათ. მათ, მაღაზიებში სასიარულოდ, ბევრი დრო რჩებათ. შენ გადააჩვევ ახლა, ამ ხალხს, ევროპაში სიარულს? თინა ხიდაშელს აუკრძალავ, ნატოში მაინც არ გვღებულობენ და რაღას დადიხარ ამ სიაფანდ შეხვედრებზეო? ეს ხომ გამორიცხულია. ასეთი ღონისძიებები თავიანთთვის აქვთ, ნატო კი არ გვიხდის ამაში ფულს, არამედ ჩვენი მთავრობა. ამ ქალს თოკით ვერ დააბამ, ტანკში ჩაჯდება, გაარღვევს საზღვარს და მაინც ჩავა ბრიუსელში სალაპარაკოდ. ამიტომ, აქ გასაკვირი არაფერია, ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო. უბრალოდ, იცით რა არის, ჩვენმა თავდაცვისა და ინტეგრაციის სამინისტროებმა ძალიან მოაბეზრა თავი ბრიუსელის ჩინოვნიკებს და უკვე ღია ტექსტით გვითხრეს, რომ ნატო არ იქნება. კი ბატონო, სამიტზე რაღაც დადგენილებაში ერთ „გულისგამახარებელ“ წინადადებას ჩაგვიწერენ, ბრიუსელში მაგის ოსტატები არიან. როგორც ბუქარესტის სამიტისას ჩაგვიწერეს – არაფერს არ მოგცემთ, მაგრამ ოდესღაც საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრიო. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ყველგან ერთ-მეტრიანი ასოებით ეწერა – მომავალი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში და ამ დროს, მოსკოვში, პური გაწყდა. ისევ მიუწვდომელ ოცნებას ვუბრუნდებით. რაც უფრო მიუწვდომელია ოცნება, მით უფრო, ხანგრძლივ დროში შეგიძლია გაჭიმო. ამ დაპირება-მოლოდინებში თვალსა და ხელს შუა ერთი თაობის ცხოვრება გაგვიქრა. ნატოც ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტია. ნატოს მერე სიაში ევროკავშირი მოდის. იქ, ასოცირების ხელშეკრულებაა აქტუალური, როგორც ნატოში მაპის მიღება, რაც მიუღწეველია. ასოცირების ხელშეკრულება, აბსოლუტურად, არავის არაფერს ავალდებულებს. მაპზე კიდევ ცოტას მაინც იშმუშნება რუსეთი და ტლინკებს ყრის. მაგრამ ასოცირების ხელშეკრულება საერთოდ არ ადარდებს. აი, უკრაინასთან, სხვა ამბავია. მაგრამ, საქართველო, თავის მიზერული ეკონომიკური პოტენციალით, ვის სჭირდება. ასოცირების ხელშეკრულებით გვექნება შემდეგი ვალდებულება – წელი-



წადში ექვსჯერ მაინც პიდარასტების პარადები უნდა ვატაროთ, თანაც ვერავინ უნდა გაბედოს გამოსვლა და ამ საკითხზე, რამეს თქმა. პარლამენტში უკვე გაისმა – თუ საფრანგეთმა ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა, ჩვენ რა ფრანგებზე ნაკლები ვართო? აქედან გამომდინარე, ჩვენი თაიგული სწორედ, უსუსური დიპლომატიაა. უკვე ოთხი წელია საფრანგეთში ელჩად გვყავს საერთოდ გაუგებრობა, ქალბატონი, რომელიც მგონი გვარის გამო აირჩიეს. ამიტომ, საფრანგეთს ამ ბოლო ოთხ წელიწადში, საქართველოზე, ერთი კეთილი სიტყვა არ დასცდენია დიდ ფორუმებზე, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ, მაგრამ ელჩს არავინ არაფერს ეუბნება. თუნდაც, რომელიმე ელჩი შეუცვლიათ იმის გამო, რომ ცუდად იმუშავა და გაწვეულ ქვეყანაში საქართველოს მეგობრები ვერ გაუმრავლა? არა, ასე არ ხდება. ასე, რომ აქ სიახლე არაფერია. ვიმეორებ, ნატო იქცევა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. რუსეთი დიდია, საქართველო პატარა, რუსეთი ევროპასაც სჭირდება და ამერიკასაც, საქართველო – არავის. მორჩა.



– **2008 წლიდან ნატოს კარი ღია, თუმცა ვერაფრით მოვახერხეთ შიგ შესვლა, ახლა კი ფანჯრებიც ჩაგვირაზეს. რა გამოსავალი გვრჩება?**

– ახლა, როგორც „შერეკილებშია" ბორია წიფურიას პერსონაჟი სახლში, ჩვენც ისე ჩავხტეთ ნატოში. კარები ჩაკეტილია, ფანჯარაც ჩაკეტილია, პირდაპირ გვითხრეს, თქვენი ადგილი აქ არ არისო, ასე რომ ისევ ბუხრიდან თუ ჩავხტებით (იცინის).

– **წეღან ახსენეთ, სიბრიყვის რეკორდი მოვხსენითო. ამ ყველაფრიდან, დასკვნა როდისღა უნდა გამოვიტანოთ?**

– დასკვნას ვინ გამოიტანს, რას ამბობთ, ხუმრობთ? თინა ხიდაშელი იმას იტყვის, მორჩა ნატოს კარი დაგვიკეტეს და ჩემი ფეხი აღარ იქნება ბრიუსელშიო (იცინის). ვინმეს მართლა აქვს ილუზია, რომ ხიდაშელისგან ამას მოისმენს? – როგორ გეკადრებათ, პირიქით, იტყვის, უარი იმიტომ გვითხრეს, რომ ბრიუსელში მხოლოდ კვირაში ერთხელ ჩავდიოდი, ყოველდღე იქ უნდა ვყოფილიყავიო. შეიძლება, ექვს-თვიანი მივლინებითაც წავიდეს ბრიუსელში, რათა გადაწყვეტილების მიღების დროს ყველას თვალში მოხვდეს. ან სულაც თქვას, რომ საჭიროა 2-3 წლით ბრიუსელში გადასახლდეს. აბა, იმას იტყვის, ეს რა ხალხი ყოფილა, გვატყუებდნენ და მოდი, ჩვენც მივუჯახუნოთ კარებიო.

რეალურად, ნატოს საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით. ინგლისის გარდა, ჰოლანდია და ნატოს წევრი ევროპის სხვა ქვეყნები, ავღანეთში, თავის ბიჭებს, არავინ აგზავნის. „ასპირანტობას" რაც შეეხება, ყველაფერი გამიგია და საპენსიო ასაკამდე ასპირანტურაში ყოფნა აღარ გამიგია.

– **ხიდაშელმა განაცხადა – აპატურაი არ ვიცი მე, არც რუსეთის თანხმობა და ნებართვა გვჭირდება, საქართველოს დღეს ყველა ინსტრუმენტი აქვს ნატოში გაწევრიანების გზაზეო.**

– ერთი ქუთაისური ანეკდოტი მახსენდება: ქუთაისის „ტორპედო" ფეხბურთს თამაშობდა. ერთ-ერთი ფეხბურთელი ხაჟალია პენალტებს ძალიან კარგად არტყამდა. ქუთაისის „ტორპედო" აგებს და მთელი სტადიონი ყვირის – ხაჟალია დაარტყი პენალტი, დაარტყი პენალტიო. ხაჟალია მოტრიალდა და შესძახა – არ მაძლევს სუდიაო. ვინ ჰკითხავს სუდიას, შენ დაარტყიო. ასევეა, ხიდაშელი – ვინ ჰკითხავს აპატურაის, ჩვენ შევდივართ ნატოში. ხიდაშელი ხაჟალიას როლში გამოვიდა.

– **ბატონო სოსო, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები საკმაოდ იძაბება. რა საფრთხემ შეიძლება იჩინოს თავი ჩვენს შემთხვევაში?**

– იმედია, თურქეთ-რუსეთს შორის ომი არ დაიწყება. თურქეთი საქართველო არაა და მასთან ომი რუსეთისათვის საქართველოში ხუთდღიანი გამოსეირნება როდი იქნება. ბოლო-ბოლო, თუ ომი თურქეთის ტერიტორიასაც შეეხო, მაშინ ნატო განზე ვეღარ გადგება. ჯერჯერობით, საფრთხე არაა იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს სირიის ტერიტორიაზე უპირისპირდებიან. მათ შორის ომიც რომ დაიწყოს სირიის ტერიტორიაზე, ნატოს შეუძლია ხელები გაშალოს და თქვას – ეს ჩვენს წევრ ქვეყანაზე თავდასხმა არაა, ვინაიდან ნატოს მეხუთე პუნქტში გარკვევით წერია, რომ თავდასხმა უნდა მოხდეს ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებზე და საჰაერო სივრცეზე. თუ ვიღაცას მესამე ქვეყანაში ეომები, ნატო ვალდებული არაა შენს გვერდით დადგეს და ომი გამოაცხადოს. ამიტომ, მაინც მგონია, რომ ომი არ დაიწყება. მაგრამ თუ ომი დაიწყო, საქართველოსათვის შეიძლება ყველაზე საშინელი სცენარით განვითარდეს – ჩვენთვის, ამ ომში, დამღუპველი იქნება თურქეთის გამარჯვებაც და რუსეთისაც. არცერთი არ გვაწყობს. რუსეთის გამარჯვება ის იქნება, რომ მან საქართველოზე უნდა გაიარ-გამოიაროს, იყვირე რამდენიც გინდა და აკეთე გაეროში განცხადებები, ვერაფერს გავხდებით. ბათუმისა და მთელი აჭარის ოკუპაცია იქნება. იტყვის, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ომია და ტერიტორიული უსაფრთხოებისთვის ბათუმი სჭირდება, შემოიყვანს ჯარს და მერე, უკან როდის გაიყვანს, ეს უკვე ალახმა უწყის. ამიტომ, ეს ყველაზე შავი სცენარია. როგორადაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ფაქტია, რომ თურქეთი და რუსეთი ძალიან დიდი ხნით გადაეკიდნენ ერთმანეთს. შეიძლება ფორმალური შერიგება მოხდეს. ჩვენთვის კარგი, ისიც გულის მოსაფხანად ისაა, რომ რუსეთი თურქეთს აფხაზეთში ცოტათი მაინც დაამუხრუჭებს. იმიტომ, რომ თურქეთი უკვე ძალიან ღრმად შევიდა აფხაზეთში – რესურსით, ფულით, ვაჭრობით, ზიდავს ყველაფერს, რისი გატანაც კი შეიძლება – ქვანახშირით დაწყებული იშვიათი ჯიშის ხეებით დამთავრებული. თუ რუსეთი თურქეთს აფხაზეთში ფეხს ამოუკვეთავს, ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს.

– **ახლა ფორმალური შერიგება ახსენეთ. 1783 წელს საქართველო-რუსეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო, თუმცა ამას აღა-მაჰმად-ხანისთვის ხელი არ შეუშლია შემოჭრილიყო და ქვა ქვაზე არ დაეტოვებინა.**

– რასაკვირველია, სიფრთხილეა საჭიროა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომის წლებში, 40 წლიან ისტორიაში ვერ ვიხსენებ პერიოდს მსოფლიო მასშტაბით ასეთი დაძაბული ურთიერთობები ყოფილიყო. იაპონია და ჩინეთი სამი-ოთხი პატარა კუნძულისათვის ლამისაა ყელში წვდნენ ერთმანეთს. დღეს, უკვე მსოფლიოში აღარსადაა მშვიდი რეგიონი. აქეთ, ისლამური სახელმწიფოს პრობლემა დგას, იქეთ, ევროპა იხრჩობა მიგრანტების სკანდალში. ორიოდ დღის წინ გერმანიის შსს-მ პირდაპირ განაცხადა, რომ არ იციან სადაა 400 ათასი მიგრანტი. ყველა სხვადასხვა ქალაქებში გაანაწილეს და 400 ათასი მიგრანტი არ ჩასულა იქ, სადაც გაგზავნეს. გერმანია არც რუსეთის ხელაა, არც ამაზონკის ჯუნგლებია და არც ციმბირის ტაიგა, რომ ხალხი დაიკარგოს. დაკარგულებში რამდენი ათეული ათასი პოტენციური ტერორისტია შეგზავნილი, ეს ხომ არავინ იცის. ამიტომ, როცა ევროპას თავისი გასჭირვებია საქართველოს გულისთვის ახალ თავის ტკივილს არ გაიჩენს. თუ ხიდაშელი მართლა სერიოზულად ფიქრობს, აპატურაი ვინაა, მე ნატოში შევდივარო, კარგად ყოფილა მისი და ჩვენი საქმეც...

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# „საერთაშორისო მემორანდუმი" ეს არის ანტიქრისტეს სახელმწიფოს შექმნის პროექტი

## მკითხველის გამოხმაურების კვალდაკვალ

„საერთო გაზეთი #4-ში" გამოქვეყნდა წერილი-დოკუმენტი სათაურით „ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დაწყებულია!" სადაც მოყვანილია ამონარიდები 2014 წლის 25-29 ივნისის სტრასბურგში ხელმოწერილი „საერთაშორისო მემორანდუმიდან", რომელიც, როგორც ე.წ „მემორანდუმში" მითითებული თარიღებიდან ჩანს, ძალაში უნდა შევიდეს 2016 წლის 1 მაისიდან.

აღნიშნულმა საგაზეთო მასალამ მკითხველის დაინტერესებასთან ერთად, მათი ნაწილის ეჭვი გამოიწვია, რომ „მემორანდუმი" შეთხზულია სულ მცირე, ავტორის მიერ, რაც აბსოლუტურად გაუგებარი ეჭვია – რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში ვინმე გიორგი ჩხეიძეს, რიგით ჟურნალისტს?

ამდენად, ვინაიდან „საიდუმლო წყაროების ნარაკრაკები" და „საიდუმლო ჩიტების ნაამბობი" კი არა, ამონარიდები ოფიციალური წყაროებიდანაა საზოგადოებისთვის გასაცნობად მკითხველისთვის მიწოდებული, ვალდებულად ჩავთვალე თავი რომ დაწვრილებით განმემარტა შემდეგი:

მემორანდუმის სრული ტექსტი, რომელიც ითარგმნა ინგლისურიდან ბერძნულ ენაზე 2014 წლის 6 სექტემბერს განთავსდა ინტერნეტ-პორტალზე რომელსაც თან სდევს სტატია-კომენტარი „შოკი! წაიკითხეთ, ეს არ არის ტერორიზმის სცენარი! ბოროტების ყველა ძალთა შეთანხმება". აღნიშნული დოკუმენტი რუსულ ენაზე ითარგმნა ინტერნეტ-თანამეგობრობა „მართლმადიდებელ აპოლოგეტზე" 2015 წელს.

მემორანდუმი უშუალოდ ეხება პოლიტიკური თანამშრომლობის, მმართველობისა და რელიგიის სფეროებს; ევროკავშირის უფლებამოსილ წარმომადგენლებს; საბერძნეთის, რუსეთის, კვიპროსის მთავრობებსა და კონსტანტინოპოლის ეკლესიას; ურთიერთობას ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიებსა და კათოლიკურ ეკლესიებს შორის. ზოგადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დამყარდეს ახალი პლანეტარული რელიგია საზოგადოების ახალი ტიპით, კულტურით, მორალით, განათლებითა და სამედიცინო მომსახურებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვინაიდან ჩავთვალე, რომ ეს არის საზოგადოებისა და ეკლესიის გარდაქმნის პროექტი ანტიეკლესიისა და ანტისაზოგადოების, ფაქტობრივად, ანტიქრისტეს სახელმწიფოს შექმნის პროექტი;

დოკუმენტი ბევრ მიმდინარე პროცესს ჰფენს ნათელს და ადასტურებს უეჭველ კავშირს რაც ერთ კვანძად იკვრება და აერთიანებს ელექტრონულ იდენტიფიკაციას, ჰომოსექსუალიზმს, განათლებისა და რელიგიური რეფორმების შერწყმას ერთ, ახალ მორალთან;

გასაგები ხდება, რას ემსახურება სულიერი გარდაქმნების გამალებული მცდელობები, ასევე სრულიად მართლმადიდებელთა კრების ნაჩქარევი მოწვევის მიზეზები კონსტანტინოპოლში, – საზოგადოებას უნდა სცოდნოდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მემორანდუმი ხელმოწერილია ცნობილი იერარქების მიერ.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს:

ევროპარლამენტის თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპეიმ;

საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა, განათლების მინისტრმა ანდრეას ლოვერდოსმა;

კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლის გარეთ, იკონიელმა მიტროპოლიტმა თეოკლისტოსმა (მცირე აზია);

სლავური საპატრიარქოებისა და რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმა, ვოლოკოლამელმა არქიეპისკოპოსმა ილარიონმა (რუსეთი);

ათონის წმინდა მთის წარმომადგენელმა, იღუმენმა ეფრემ ვათოპედელმა;

კვიპროსის ეკლესიისა და მთავრობის წარმომადგენელმა მორფიელმა მიტროპოლიტმა ნეოფიტემ და ტრიმიფუნტელმა ბარნაბამ;

ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელმა ილია ტრიპოლელმა;

ალექსანდრიის ეკლესიის წარმომადგენელმა ბასილ ტრიპოლილმა;

იერუსალიმის ეკლესიის წარმომადგენელმა ტიმოთე ბოსტრელმა.

აღნიშნული მემორანდუმი, სპეციფიკურობის თუ სხვა მიზეზის გამო მაშინვე ფართოდ არ გავრცელდა და შესაბამისად, არ გახდა განსჯის საგანი, მაგრამ ახლა, როცა ასე უცნაურად დაიწყეს რაღაცისთვის „შესავლის" კეთება საქართველოში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მოქმედებისთვის მუდმივად მზადმყოფმა სუბიექტებმა, „საერთო გაზეთმა" გამოაქვეყნა აღნიშნული მემორანდუმის შემოკლებულ ვარიანტი.

სხვისთვის როგორ არის, არ ვიცი, მაგრამ ვინაიდან პირადად ჩემთვის ყოვლად მიუწვდომელია რომელიმე იერარქთან ან ბატონ ჰერმან ვან რომპეისთან შეხვედრა კომენტარის მისაღებად, რათა დაადასტურონ (ან უარყონ) „საერთაშორისო მემორანდუმის" ნამდვილობა, გთავაზობთ დოკუმენტის დედნის რამდენიმე დამოწმებულ ბერძნულ ტექსტს და რუსული თარგმანის ლინკებს, სადაც სრულად შეგეძლებათ ნახვა. (მემორანდუმი სტატიებადაა დაყოფილი)

მკითხველისადმი უღრმესი პატივისცემით

**გიორგი ჩხეიძე**

წყარო: **apologet.spb.ru/ru/эсхатология-и-современность/77-00/2250-shokiruyushchij-dokument-v-strasburge-25-29-iyunya-2014-byl-podpisan-tajnyj-mezhdunarodnyj-memorandum-i-on-vstupaet-v-silu-s-1-maya-2016-goda.html**

**http://apologet.spb.ru/ru/2250**

**http://subscribe.ru/group/bliz-pri-dvereh/10330202/**

**http://apokalypsisnow.blogspot.ru/2015/04/blog-post.html**

# მალე, მცხეთაში, ახალაშენებულ ეკლესიაში, ქართველები და ოსები ერთად ილოცებენ



**ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა ახლახან გადმოსცეს – ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი და პარლამენტი ოფიციალურად სთხოვს რუსეთს, დაეხმარონ ჩრდილოეთ ოსეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოსებს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საუკუნოვანი ოცნების ასრულებაშიო.**

**რას ფიქრობს ოსი ეროვნების მოსახლეობა საქართველოსა და ცხინვალში?! ალბათ, ყველასთვის საინტერესოა, რადგან ხშირად სახელმწიფოს მეთაურების გადაწყვეტილებები სხვაა, ხალხის – სხვა.**

**ამ დღეებში სრულიად შემთხვევით შევხვდი მოსკოვში მოღვაწე და ახლა საქართველოში მცხოვრებ ბიზნესმენს, ბატონ ზვიად ჩიტიშვილს, რომელმაც ისეთი რამ მომითხრო, ჩემს სკეპტიციზმს, ჩვენი – ქართველების და ოსების ისევ ერთად ყოფნის შეუძლებლობაზე, თითქმის გამოაცალა საყრდენი.**

**საქმე ისაა, რომ, როგორც ზვიად ჩიტიშვილი ამტკიცებს, ამ ორი მეგობარი და სამეფო ნათესაობით ოდითგანვე შეკრული ერის, ქართველებისა და ოსების, არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო ამბავი ხდება. ჩემი რესპონდენტის ინიციატივით მცხეთაში შენდება ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა როგორც ქართულად, ასევე ოსურ ენაზეც აღევლინება.**

– მე გახლავართ ბიზნესმენი, მაგრამ დღესდღეობით მეცენატობით ვარ დაკავებული.

ისეთ საქმეებს მაკეთებინებს ღმერთი, რაც ჩემზე აღარ არის დამოკიდებული და არის უფლის ნება. კონკრეტულად, ოსი და ქართველი ერის მეგობრული ურთიერთობის აღდგენას ვგულისხმობ, რასაც, ვიცი, ამიერიდან წინ ვეღარაფერი დაუდგება.

90-იან წლებში აფხაზეთის ომში ვიბრძოლე. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ უარი ვთქვი საბჭოთა ჯარში სამსახურზე, ეროვნულ მოძრაობას გვერდით ვედექი, ვშიმშილობდი. მერე რუსეთში ავაწყვე ბიზნესი და იმდენი შევძელი, გაჭირვებულებსაც ვუმართავდი ხელს. საჩხერეში მიწისძვრა რომ მოხდა, ჩამოვედი მოსკოვიდან, ოჯახებში დავდიოდი, კარებზე ვაკაკუნებდი და ხალხს ვეკითხებოდი – ვის გინდათ დახმარება-თქო...

ბოდიშს ვიხდი, ამას რომ ვყვები, მაგრამ მინდა ხალხმა იცოდეს იმის ნაწილი, რაც ჩემი ხალხისთვის გამიკეთებია, იქნებ ვინმესთვის ჩემი ეს საქციელი სტიმული გახდეს...

არასდროს მაინტერესებდა პოლიტიკა.

ჩემი უფროსი ძმა შევარდნაძის მთავრობის პარლამენტის ყოფილი დეპუტატია ახალგორიდან და, თუმცა ყოველთვის ამბობდა, რომ შესაძლებელი იყო ოსი და ქართველი ხალხის კვლავ დაახლოება. ეს ვერ ხერხდებოდა. 2008-ში კი...

როგორც ჩემს ძმას, მეც ყოველთვის მჯეროდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი არის დროებითი გაუგებრობა. ახლა მოგიყვებით მე, უბრალო კაცმა, რა შევძელი და რას ვაკეთებ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

– **გისმენთ.**

– მე გახლავართ ინიციატორი და ძირითადი დამფინანსებელი პირველი ოსური ეკლესიის მშენებლობის, რომელიც პატრიარქის კურთხევით მცხეთაში შენდება.

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა.



დედამიწაზე პირველად შენდება ოსური ეკლესია მცხეთაში, ქალაქში, სადაც 900 წლის განმავლობაში არ აშენებულა სალოცავი.

ეკლესია წმინდა გიორგის სახელობის იქნება და წირვა-ლოცვა ქართულ და ოსურ ენებზე აღევლინება.

მე ვარ ქართველი, დედაჩემი ეროვნებით ოსი გახლავთ. 2008 წელს დეიდაშვილები რომ დამიხოცეს, მაშინ გადავწყვიტე, ორმაგი მოქალაქეობა მიმეღო და დავიწყე ფიქრი, როგორ შეიძლებოდა ამ უმიზეზო სისხლისღვრის და კონფლიქტის შეწყვეტა.

გარკვეული ხნის წინ მე-11 სკოლის ბაზაზე ოსური ენის შემსწავლელი სკოლა გავხსენი.

მოკლედ, საქართველოში შევქმენი ოსური დიასპორა, ვმუშაობდით. ერთხელაც, შუაღამეს გამეღვიძა და რაღაც ძალამ ჩამძახა – ეკლესია ააშენეთო. იმ დილას თბილისში ყველას მოვუყევი ამ იდეის შესახებ. უმეტესობამ სკეპტიკურად მიიღო ეს ამბავი, მაგრამ მე ავდექი, წავედი მოსკოვში, სადაც ძირითადი ბიზნესი მაქვს, თუმცა არა მხოლოდ მოსკოვში, რუსეთის სხვა ქალაქებშიც მაქვს ბიზნესები, ქარხნები, პროდუქტებს ვუშვებთ, შევქმენი ეკოლოგიურად სუფთა წყალი და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩემმა ორმა ნათესავემა, რომლებმაც, წარმოიდგინეთ და, 2008 წლამდე ოსური საერთოდ არ იცოდნენ და მერე რუსეთში ისწავლეს, მითხრეს, რა ეკლესია, რას ლაპარაკობ, ვინ მოგცემს ამის ნებას, მოგკლავენ, გაჩერდი, თუ სიცოცხლე გინდაო. ჩამოვედი თბილისში, შევხვდი პატრიარქს. ეს იყო სასწაული. უდიდესი ადამიანია ჩვენი პატრიარქი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და, რომ ვამბობთ ხოლმე, ილიას ეპოქა, აკაკის ეპოქა, ასევე ვიტყვით, ალბათ, ოდესმე, უწმიდესის ეპოქაში ვიცხოვრეთო.

40 წუთი ვისაუბრეთ. პატრიარქი თვალებში მიყურებდა და გულისყურით მისმენდა. მე ვლაპარაკობდი. საუბრის ბოლოს კურთხევა მომცა... მერე, ასევე სასწაულებრივად, პატრიარქის აწგარდაცვლილი ძმის ვიქტორ შიოლაშვილის ოჯახის წევრებმა მიწის ნაკვეთი გადმომცეს საჩუქრად ეკლესიის ასაშენებლად, მცხეთაში, ბებრის ციხესთან, სადაც შიოლაშვილის ოჯახი ეკლესიის აშენებას აპირებდა თურმე და ვერა და ვერ მოეხერხებინათ.

საქმე რომ ასე მიდიოდა, გაოგნებული ვიყავი. გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ჩემს ძველ თანამებრძოლებს ვთხოვე, შევიკრიბოთ მეომრები ორივე მხრიდან, ქართველებიც და ოსებიც და ეკლესიის საძირკველთან დავდოთ ფიცი, რომ ამიერიდან აღარასოდეს აღარ ვესვრით ერთმანეთს არც ჩვენ და არც ჩვენი შთამომავლობაო.

ეკლესიის საძირკვლის საკურთხებლად პატრიარქმა მეუფე იაკობი გამოაგზავნა. მეუფემ აკურთხა მშენებლობის დაწყება და მერე მცხეთაში, ჩემს რესტორანში „დარი-ალანიაში“ შევიკრიბეთ. ოსი მეომრები სუფრის ერთ მხარეს დასხდნენ, ქართველი მებრძოლები მეორე მხარეს, მე ვთამადობდი ამ სუფრას, ერთად შესვეს ქართველმა და ოსმა მეომრებმა შესანდობარები, მოსაგონარები, დალოცეს ჩვენი ერთიანობა. საოცარი შეხვედრა იყო...

– **როდის მოხდა ეს ამბავი?**

– ეს იყო გასულ წელს, 19 აგვისტოს. მეომრების გარდა თბილისიდან მინისტრები და სხვა პასუხისმგებელი პირებიც იყვნენ. იქაური პრეზიდენტი აგუზაროვიც აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას, ერთობლივი გეგმებიც დავსახეთ, მაგრამ, იგი, სამწუხაროდ, ამ ამბის შემდეგ მალევე გარდაიცვალა.

ტაძრის საკურთხეველთან წინა დღეს ქართული ღვინით რომ დავილოცეთ, მეორე დღეს ოსების ჩამოტანილი ხაბიზგინები და ოსური ლუდი დავაგემოვნეთ. სიხარულის ტირილი და რა ვიცი, სასწაული ამბები მოხდა.

– **ფიცზე ლაპარაკობდით.**

– დიახ, სანამ პირველ ქვას ჩავდებდით ეკლესიის საძირკველში, გავშალეთ ფურცელი და ქართველებმა და ოსებმა დავწერეთ ფიცი: ვფიცავ, მე, ჩემმა შვილმა, შვილიშვილმა, ან ჩემმა რომელიმე შთამომავალმა ოდესმე თუ გაბედა და ოსს ან ქართ-

ველს ესროლა ან რაიმე დაუშავა, ღმერთმა დასაჯოსო! ასობით ადამიანმა – ოსმა და ქართველმა დაწერა ეს და თითო-თითოდ, ეკლესიის ყველა ბლოკში ჩავატანეთ ეს ფიცი.

რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვიდან ჩამოვფრინდი, სხვებთან ერთად შევხვდი მუსულმან პარტნიორებსაც, ყაზახებს, თურქმენებს, სხვებს. მათ თვითონ მოისურვეს და გამომატანეს დალუქული წერილები ტაძრის კედლებში ჩასატანებლად.

უბით მომქონდა წერილები, ვიჯექი თვითმფრინავში და დიდხანს ვყოყმანობდი, წამეკითხა თუ არა ეს წერილები. ბოლოს გავრისკე და ერთი რომ გავხსენი, მერე ვეღარ გავჩერდი. კიდევ ერთი სასწაულის მომსწრე გავხდი, ისეთ რამეებს წერენ ეს მილიარდერი, მილიონერი მუსულმანები, ატირდებით. სიყვარულით არის სავსე ყოველი სტრიქონი.

უფლის მადლით, შენდება ეს ეკლესია და წარმოიდგინეთ, არავინ მოგვიწვევია, თავისით მოვიდნენ ქართველი და ოსი მშენებლები. ქართველებს ხელმძღვანელობს ზურა, ოსებს – იურზა.

მთელმა ოსეთმა იცის უკვე ეს ამბავი და ხალხს უხარია –, შერიგებისკენ მივდივართ, ეკლესიას აშენებენ საქართველოშიო. ეს ამბავი ვლადიკავკაზში იქაურ ეკლესიებსაც მისწვდენია. ერთი მორჩილი ჩამოვიდა ამას წინათ იქედან, შემხვდა და მითხრა: ქართულს ვისწავლი, იქნებ დამეხმაროთ ამ ტაძარში მოძღვრად კურთხევაშიო. პატრიარქი აღფრთოვანდა ამ ამბით. ეს ადამიანი მალე ჩამოვა, ქართულს სწავლობს, ჩააბარებს გამოცდებს სემინარიაში, რომ ამ ეკლესიაში მღვდლად იმსახუროს.

სხვათა შორის, ახალ ეკლესიაში დაბრძანდება უნიკალური ხატი, რომელიც ერთიანი საქართველოს რუკის ფორმის იქნება, ეკლესია-მონასტრებით მოფენილი, წმინდა გიორგის გამოსახულებით, ოღონდ გამოსახულება მთლიანად, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან შეკრებილი ეკლესიების კედლების პატარ-პატარა ქვებით იქნება შექმნილი და შემკობილი.

თქვენც გთხოვთ და ყველას ვთხოვ, თქვენი სოფლის, კუთხის, ქალაქის ეკლესიის პაწაწინა ქვები მოგვიტანეთ, რომ ამ ხატში ჩავატანოთ და ერთი დიდი მადლისმატარებელი ხატი შევქმნათ.

– **წეღან კი თქვით, ოსები მოხარულნი არიანო, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რას ფიქრობს უმრავლესობა ცხინვალის სეპარატისტულ რეგიონში?**

– ვლადიკავკაზში უკვე 80 წელიწადია წირვა-ლოცვა ქართულად არ ჩატარებულა, თუმცა წელს, 27 იანვარს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი პატრიარქი არის მონათლული, შეიკრიბა ვლადიკავკაზის სამღვდელოება და წეღან რომ მორჩილი ვახსენე, იმან ქართულ ენაზე წაიკითხა ლოცვები ლიტურგიის მსვლელობისას. თითქმის 20 გრადუს ყინვაში 4 საათის განმავლობაში ქართულ ენაზე კითხულობდნენ ლოცვებს, მრევლს, რომელთა შორის იყვნენ როგორც ოსები, ისე რუსები, ერთი სიტყვაც, არ ესმოდათ ქართული, მაგრამ იდგნენ და ისმენდნენ ქართულ ლოცვას.

ამ ამბით შთაგონებულმა ჩვენს დევნილებს ვუთხარი: დავაწერინოთ წმინდა ნინოს ხატი, 10-10 თეთრი შეკრიბეთ, დანარჩენს მივხედავთ-მეთქი, ვნახეთ ოსი ხატმწერი, რომელიც უკვე შეუდგა ამ ხატის შექმნას და როცა დასრულდება, ლარსთან ჩავატარებთ ქართულ-ოსურ ერთობლივ კონცერტს და ამ ხატს ვაჩუქებთ ვლადიკავკაზში წმინდა ნინოს ეკლესიას. ეს იქნება საქართველოდან მიძღვნილი პირველი ხატი წმინდა ნინოს გამოსახულებით.

მე ვლადიკავკაზში ხშირად



ვარ. ვიცი ხალხის განწყობა. არ არის ხალხი, ზოგადად, მტრულად განწყობილი ჩვენს მიმართ.

– **ოსური, ალბათ, გეცოდინებათ. იქ ოსურად ლაპარაკობთ თუ რუსულად?**

– ქართულად ვლაპარაკობთ. ქართული მათთვის არის როგორც მშობლიური ენა.

მაგრამ თქვენ განწყობა გაინტერესებთ. ოსებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ არიან კარგად განწყობილი ქართველების მიმართ, თუმცა ასეთები იშვიათობაა.

დეიდაჩემის ქმარი, ეროვნებით ოსი, კეთილშობილი ადამიანი, ელექტრიკოსი იყო, არც უომია 2008-ში, მაგრამ ქართველებმა მოკლეს. ახლა დეიდაჩემს რომ ვეკითხები: ალბათ, გეჯავრება ქართველები-მეთქი, მპასუხობს: ქართველები კი არ მეჯავრება, ის ადამიანი მძულს, რომელმაც უდანაშაულო ქმარი მომიკლა, თორემ, ზოგადად, ქართველებს რას ვერჩიო.

– **რას ფიქრობთ აგვისტოს ომზე?**

– აგვისტოს ომის შემდეგ სუფრაზე შევხვდი კოკოითის მთავრობის წევრებს. რომ შეზარხოშდნენ, ერთი ადგა და მეკითხება: ზვიად, ომი რომ ისევ დაიწყოს, ვის მხარეს დადგები – ქართველების თუ ოსებისო? საშინლად გავბრაზდი და ვუთხარი: სამზარეულოდან ყველაზე გალესილი დანა მოატანინეთ-მეთქი. მოიტანეს. გაჭერით რამე, რომ ვიცოდე, ბასრია თუ არა-მეთქი. გასინჯეს, ქაღალდი გაჭრა უცებ. მაშინ გავუწოდე ორივე ხელი და ვუთხარი: მომაჭერით მკლავი, გინდა მარჯვენა, გინდა – მარცხენა, ვნახოთ, რომელი უფრო მეტკინება-მეთქი. გაჩუმდნენ, ხმა ვეღარ ამოიღეს.

ასეა ნახევარზე მეტი. რადგან ოსი და ქართველი – ასეთი დაყოფა ჩვენს შორის არასდროს ყოფილა.

როგორც გითხარით, დედით ოსი ვარ, მაგრამ საქართველოსთვის სიცოცხლე რომ არ მენანებოდა, იმიტომაც ვიომე აფხაზეთში. და ასე ვარ მთელი ცხოვრება. ახლაც საქართველოში რომ ვხედავ ოსების, რუსების მიტოვებულ საფლავებს, გული მტკივა, მათი შთამომავლები გაუცნობიერებლად ან გავაქციეთ, ან მოვკალით. საფლავებს ვინ უპატრონებს? მიტოვებული საფლავები ეკლებით და ბალახით არის დაფარული და გული მტკივა. ამას წინათ შევკრიბე თანამოაზრეები და ვუთხარი: გავწმინდოთ საფლავები, ვაკურთხებინოთ მოძღვარს, შესანდობარი ვთქვათ-თქო. ოსებმა რომ გაიგეს, ასეთ რამეს ვაკეთებდით, იქაც იქმნება, თურმე, ჯგუფი – ცხინვალში ქართველების საფლავებს გაწმენდენ, მიიყვანენ მართლმადიდებელ მღვდელს და პანაშვიდს გადაუხდიან უპატრონო მიცვალებულებს. ეს არ ნიშნავს შერიგების დაწყებას?! მგონი, რაღაცას ნიშნავს!

ასეთ ინიციატივებს ვიჩენ მე, კაცი, რომელსაც არავითარი



თანამდებობა არ მაქვს და სახელმწიფოსგან ელემენტარული ხელშეწყობაც არაა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, არც უნდათ შერიგება.

არავინ იფიქროს, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, სხვასთან ერთად მეც ვიბრძოდი, პირდაპირ გეუბნებით, „ქართულ ოცნებას“ რომ გაემარჯვა, ამისთვის დიდძალი თანხები გავიღე საკუთარი ბიუჯეტიდან.

– **დაუჯერებელ ამბებს ჰყვებით.**

– რასაც ვამბობ, ერთი სიტყვაც არ არის არასწორი. პირადად შეგიძლიათ გადაამოწმოთ ყველაფერი და დარწმუნდებით, რომ მართლა ბევრი ვიბრძოლე ამ ხელისუფლების გასამარჯვებლად. არც ვნანობ ამას. იმ რეჟიმს ყველაფერი ჯობდა. არავის ვთავაზობ რუსებს ჩაეხუტეთ-მეთქი, მაგრამ რუსეთში ცხოვრობს მილიონნახევარი ქართველი, ჩვენი სისხლი და ხორცი და ნუ გავიმეტებთ იმ ხალხს, ნუ მოვიგლეჯთ გულიდან და სხეულიდან...

ახლახან პარტია **„ჩვენი სამშობლო“** ჩამოვაყალიბეთ. დევნილების ინიციატივით შეიქმნა ეს პარტია და მე მთხოვეს სათავეში ჩავდგომოდი. ძალიან ბევრი კარგი საქმე გვაქვს დაგეგმილი და ვნახოთ, რა გამოვა.

ერთადერთი ოცნება მაქვს, ქვეყნის სათავეში იყვნენ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც აღარ აგინებენ რუსეთს, თორემ თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი რომ რუსებს ლანძღავს – ვირთხისმჭამელებს რომ ეძახის, ამით პუტინს კი არ აყენებს ზიანს, ისევ ქართველებს ექმნებათ იქ პრობლემები. ყველას გვახსოვს, ოქრუაშვილმა რომ თქვა: ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო, რუსები ფეკალიებს დალევენო თუ რაღაც მსგავსი სისულელე და მერე ჩვენ, ქართველებს დაგვერივნენ...

როგორ შეიძლება ასეთი რამ. ასეთი დაუფიქრებელი ლაპარაკით იქ ქართველებს უქმნიან საფრთხეს, სხვადასხვა ერების ლობები კი რუსეთში ამ ამბავს სხვანაირად იყენებენ.

– **რუსეთში ქართული დიასპორის საქმიანობაზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

– გვარებს არ დაგისახელებთ და კონკრეტულ პირებზე არ გესაუბრებით. უბრალოდ, გეტყვით, რუსეთში რომელიმე ქართველმა რომ თქვას, მილიონერი ვარო, მეორეს გაეცინება, რადგან იქ ყველა ქართველი მილიონერია.

– **ეს როგორ?**

– მოსკოვში ვისაც სახლი აქვს, ყველა მილიონერია, რადგან სულ პატარა ბინაც კი მოსკოვში ასეულობით ათასი დოლარი ღირს.

ქართველი ქალბატონები იქ თავს კარგად გრძნობენ. მათ არ აკადრებენ იმას, რასაც, მაგალითად, თურქეთში, საბერძნეთში ან სხვაგან.

რაც შეეხება დიასპორას, 2006 წლამდე რუსეთში ქართული დიასპორა არ არსებულა, მაგრამ მოხდა ის, რომ მატყუარები, თაღლითები შემოგვეჩვივნენ, ამიტომაც ახლახან შევქმენით ახალი გაერთიანება, რომელსაც სათავეში იქ მოღვაწე წარმატებული ქართველები ჩაუდგნენ. მეც მეთქმის დიასპორაში მოკრძალებული სიტყვა...

დღეს ყველაფერი გაშიფრულია. უკვე ყველამ ყველაფერი იცის, ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებს. სამწუხაროდ, მოხდა არასახარბიელო ამბები, მაგრამ თუ კიდევ გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საბანს მხოლოდ თავისკენ გაქაჩავენ, ადვილად გავარკვევთ ყველაფერს.

– **საქართველოდან ჩამოსულ ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთში შეხვედრიხართ? ვინ იყვნენ და რას ითხოვდნენ. ფულს, ალბათ, არა?**

– აბსოლუტურად ყველა პოლიტიკოსს, რომლებიც მოსკოვში ჩამოდიოდნენ, შევხვედრივარ. ჩვენ ვეხმარებოდით ყველას, მაგრამ სად მიდიოდა და რას ხმარდებოდა ეს თანხები, ეს არ ვიცით.

ახლა ყველას გადაეკეტა წყარო. ამიტომაც ჩამოვედი მე. ჩამოვლენ სხვებიც, აღარ გვჭირდება შუამავლები ხალხთან. პირისპირ ვილაპარაკებთ და გავარკვევთ, რა გვინდა ერთმანეთთან. როგორი ცხოვრება გვინდა, როგორ გზას აირჩევს საქართველო საბოლოოდ.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118



# „მშობლიურო ჩემო მიწავ...“

## პაატა კოღუაშვილის განმარტებით, მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ, კუთვნილი მიწა ფაქტობრივად სამჯერ დაარეგისტრირა, მაგრამ ყველა ეს დოკუმენტი დაკარგულია

საქართველოს მთავრობის ინიციატივამ, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საუბარია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც მიწის ნაკვეთები, არარეგისტრირებულ საკუთრებად, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდება და მათი განკარგვის, ან სარგებლობაში გადაცემის კუთხით, ერთწლიანი შეზღუდვა დაწესდება. მარტივი ენით რომ ვთქვათ, მიწის ფართობებს, რომლებსაც წლების განმავლობაში ფლობდით, მაგრამ თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძელით საჯარო რეესტრში დარეგისტრირება სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდება და თუ ერთი წლის განმავლობაში ვერ დაიკანონებთ, ჩამოგერთმევათ. სახელმწიფო ცხადია, შემდეგ თავისი შეხედულებებისამებრ განკარგავს, ე.ი. ვისზეც მოესურვება, იმაზე გაასხვისებს. მთავრობას სურდა, რომ ხსენებული ცვლილებები პარლამენტს დაჩქარებული წესით, ანუ პირველივე სხდომაზე გაეტანა, რამაც ეტყობა პარლამენტარებშიც გამოიწვია ეჭვი და მთავრობის ინიციატივა არ გაიზიარა, კანონპროექტს განვიხილავთ, ოღონდ ჩვეულებრივ რეჟიმშიო. ხსენებული „ნოვაციის“ ავტორი იუსტიციის სამინისტრო გახლავთ, რომელმაც თავისი ინიციატივა ასე ახსნა, რეგისტრაციის სპეციალური წესი და ვადა, მიწის ნაკვეთზე უფლებათა პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულების სტიმულირებას განაპირობებს, რაც თავის მხრივ, უძრავი ქონების ეფექტური ადმინისტრირების საფუძველს შექმნისო. აკრძალვის რეგისტრაციის ძალაში არსებობის პერიოდში (ერთი წლის ვადაში), დაინტერესებულ პირს შეეძლება განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წარუდგინოს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მოითხოვოს სახელმწიფოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე ან მის ნაწილზე, საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში საჯარო რეესტრი უფლებამოსილია, სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს შესაბამის უძრავ ნივთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და მასზე განახორციელოს დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნული რეგულაცია შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას, ჩაატაროს სახელმწიფო მიწის აქტივების სისტემური აზომვითი სამუშაოები და დაარეგისტრიროს ისინი ვალდებულების აღებით, რომ არ გაასხვისებს ან არ გასცემს სარგებლობის უფლებით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევისთვის, თუ ამ მიწის ნაკვეთზე ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება დადასტურდება, მარეგისტრირებელი ორგანო სახელმწიფო ქონებიც ეროვნული სააგენტოს თანხმობის გარეშე შეიქნება უფლებამოსილი, სახელმწიფო საკუთრების უფლება სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს დაინტერესებული პირის განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე. მთავრობის ამ ინიციატივის საფუძველი ის გარემოება გამხდარა, რომ მიწის ნაკვეთების 70% დაურეგისტრირებელია, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება. რატომ ვერ დაირეგისტრირა გლეხობამ მიწის ფართობები, ამას არაერთი მიზეზი ჰქონდა, ფინანსურ ფაქტორზე რომ არაფერი ვთქვათ, დღემდე არსებული საკუთრების დოკუმენტები ხშირ შემთხვევაში არასრულფასოვანია, არცთუ იშვიათია გადაფარვები და ა.შ. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა გაუჩინა კითხვები პარლამენტს და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას მხარი არ დაუჭირეს, ამიტომაც არ ამოქმედდა 1 იანვრიდან წულუკიანის უწყების ინიცირებული ცვლილებები.



რამდენად დამაჯერებელია ის მოსაზრება, რომ მიწის მფლობელთა სტიმულირების თვალსაზრისით, ნაწილობრივ ეფექტს უკვე თავად ამ კანონპროექტის პარლამენტში შესვლაც იქონიებს, ვერაფერს მოგახსენებთ. არ მგონია ისე გამდიდრებულიყო ჩვენი გლეხობა, რომ კუთვნილი მიწის ფართობის დასარეგიტრირებლად საჭირო 300 ლარის გადახდა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდეს. ხელისუფლება კი გვპირდება, აზომვით სამუშაოებს ჩვენი ხარჯით ჩავატარებთო, მაგრამ ეს ე.წ. საპილოტე პროგრამა მხოლოდ 11 სოფელს ეხება. მოუწესრიგებელი დოკუმენტაციის „სათანადო კონდიციამდე“ უსასყიდლოდ მიყვანასაც სახელმწიფო ითავებს? ერთ-ერთი რაიონის არქივის სამსახურმა 40 თუ 50 ლარის გადახდა მხოლოდ იმაში მომთხოვა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ეპასუხათ, ირიცხებოდა თუ არა ჩემს ახლობელზე, შევარდნაძის მმართველობისას ე.წ. ლოტოტრონის პრინციპით გაცემული მიწის ფართობი. პატივცემულო იუსტიციის მინისტრო, რომ ბრძანებთ, ერთი წლის ვადაში განცხადებითა და სარეგისტრაციო დოკუმენტით მიმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და დიმიტრი ქუმსიშვილის უწყებას არაფერს შევეკითხებით, ისე დაგირეგისტრირებთ იმ უძრავ ქონებას, რომელსაც წლებია ფლობთო, ასეთი ადვილია ამ დოკუმენტის მოძიება? ზოგიერთ რაიონში თურმე სპეციალურად გაანადგურეს საარქივო მასალები (ცეცხლი გაუჩინეს), რომ მერე უპრობლემოდ გაესხვისებინათ მიწები მათთვის „სასურველ“ პერსონებზე. ეს ყველაფერი მართალია ნაციონალების მმართველობისას მოხდა, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს თქვენს ინიციატივა-დაჩქარებასაც იგივე „სუნი უდის“, მით უმეტეს, არასამთავრობოთა „ „ელიტურმა“ ნაწილმა და საკონსტიტუციო სასამართლომ „დაუნდობელი ბრძოლა“ გაუმართა მთავრობის მიერ 2013 წელს ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ მორატორიუმს. სანამ გლეხობისთვის გადაცემული მიწების დაურეგისტრირებულობა „შეგაწუხებდათ“, იქნებ ჯერ იმ პრობლემების მოგვარებაზე გეფიქრათ და გეზრუნათ, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა ამ სფეროში, თქვენით თუ ვერ გამოქავთ დასკვნა, დარგის სპეციალისტებს მაინც მოუსმინეთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის განცხადებით, სახელმწიფოს შექმნის უპირველესი ატრიბუტია, გარკვეული ტერიტორიის ფლობა, ხოლო სახელმწიფო სიძლიერის განმსაზღვრელი ამ ტერიტორიის სიმდიდრის დეტალური შესწავლა, მისი წარმატებული მართვა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაა. ეს ყველაფერი დიდად არის დამოკიდებული, თუ ვინ ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე და როგორ იმართება ყოველივე. მიწის მართვის და აღრიცხვის საკითხი ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე აქტუალური და გადაუდებელი ყოფილა, საქმე ეხება მიწის ფონდის სახელმწიფოს მიერ განკარგვას, არ არსებულა არც მიწის განვითარების ხედვა და სტრატეგია, საერთოდ ამ სფეროში სახელმწიფო პროგრამა, მიწის რესურსებზე დაკარგულია სახელმწიფოს ერთიანი კონტროლი. მოგეხსენებათ, ნაციონალები „უკლასო საზოგადოებას“ აშენებდნენ, ამის გამოძახილად შეგვიძლია ჩავთვალოთ, 2004 წელს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიწის მართვის დეპარტამენტის გაუქმება, რომლის ფუნქციებიც სამ უწყებას (იუსტიციის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროები) გადაუნაწილეს, რასაც დადებითი შედეგი არ მოყოლია. მიწის აღრიცხვა და მისი ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში, რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვითო, ბრძანებს ბატონი პაატა კოღუაშვილი. ჩვენ ეტყობა იმ გამონაკლის ქვეყნებს ვეკუთვნით, სადაც მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით, ქმედითი ღონისძიებები არ ხორციელდება. სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანსს მიწის კადასტრისგან ვერ ანსხვავებს, რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მიწის კადასტრსო, არადა კადასტრი, რეგისტრაციის მომენტისთვის მიწის ფართობის კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით ერთჯერად დადგენას ნიშნავს. ისე, ჩვენც ძალიან გვაინტერესებს, ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ევალება, როგორ ადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არ გააჩნია მიწის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა. ან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა 2015-2020 წლებში სოფლის მეურნეობის განვითა-

რების სტრატეგია, როდესაც არ იცის და არ აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით. მიწის გამოყენებაზე კონტროლს სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს, მიწის ფონდის კონტროლი და მართვა მისი პრეროგატივაა და ამისთვის შექმნილი სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს. ამ უკონტროლობამ მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე.

ნუ წაართმევთ მიწას გლეხებს, ასე გამოეხმაურა ბატონი პაატა კოღუაშვილი ზემოხსენებულ სამთავრობო ინიციატივას. მასთან ერთად, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როგორ მოხდა მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთების გადაცემა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა 1992 წელს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე დაიწყო. ყველა დაბასა და სოფელში იქმნებოდა მიწის რეფორმის კომისიები, რომლებიც იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტის საფუძველზე, მიწის მიმღებთა სიებს ადგენდნენ. შემდგომ ამ სიებს რაიონული კომისიები ამტკიცებდა, გამოიწერებოდა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტები და გადაეცემოდა (შესაბამისი ანაზღაურებით) მიწის მესაკუთრეს, რაც რაიონის მიწათმოწყობის სამსახურში რეგისტრირდებოდა. 1997 წლის 26 ივნისს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლის (1514) თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე, მიწის ნაკვეთების გასხვისება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, ხოლო მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შენაძენის რეგისტრაცია (1997 წლის 25 ნოემბრიდან), მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში. მიწის მართვის დეპარტამენტს უნდა უზრუნველეყო სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან წარმოშობილი უძრავი ნივთების მესაკუთრეების რეგისტრაციასთან. საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე, ამ სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციები ტექნიკური აღრიცხვის ბიუროებს უნდა განეხორციელებინათ, ხოლო ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა უზრუნველეყოთ საჯარო რეესტრის მონაცემების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. 1997 წლის 25 მაისს მიღებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მიხედვით, კომლებს (ოჯახებს), რომელთაც 1996 წლის 22 მარტის დადგენილებაში გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით ეკუთვნოდათ მიწის ნაკვეთები, მაგრამ დადგენილი წესით და ოდენობით არ გადასცემიათ, უნდა გადასცემოდათ საკუთრებაში და შესაბამისი დოკუმენტაცია 1999 წლის 1 თებერვლამდე უნდა გაფორმებულიყო. 1998 წლიდან მითითებულ ვადამდე პერიოდში მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ დაარეგისტრირა კუთვნილი ფართობები, რაც ადგილებზე სქემატური ნახაზების შედგენის საფუძველზე, სათანადო ანაზღაურებით ხდებოდა. მიწის ნაკვეთების დაზუსტების, სასოფლო-სამეურნეო მიწების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით, მთავრობამ აიღო 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი, ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო მიწების აზომვითი სამუშაოები განახორციელა. აღებული კრედიტი მთლიანად იქნა ათვისებული,




თუმცა მიწის მესაკუთრეზე შედგენილი საკუთრების მოწმობათა უმრავლესობა, პრაქტიკულად გამოყენებული არ იქნა, აქედან გამომდინარე, კრედიტის თანხა წყალში გადაყრილად ითვლება. „ვარდოსნების“ მიერ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფუძვლოდ გაუქმების შემდეგ, ლიკვიდირებული იქნა ამ სტრუქტურის რაიონული რგოლებიც. სამწუხაროდ, დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა იქ არსებული ყველა დოკუმენტი, ანუ სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია. პაატა კოღუაშვილის განმარტებით, მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ, კუთვნილი მიწა ფაქტობრივად სამჯერ დაარეგისტრირა, მაგრამ ყველა ეს დოკუმენტი დაკარგულია, ეს ხალხი შესაბამის მოწმობებს ვერ პოულობს. გამოჩნდნენ „იღბლიანები“, ვისაც ხელთ აქვს შესაბამისი დოკუმენტი, მაგრამ მიწის რეფორმის კომისიების წევრთა დაბალი კვალიფიკაციის გამო, ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად არ არის შევსებული. ნაცხელისუფლებამ 2007 წლის 22 ივნისს მიღებულ კანონში „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“, 2011 წლის მარტში ცვლილებები შეიტანა, რომელთა მიხედვით, თუ მესაკუთრის მიწის მიღება-ჩაბარების აქტი არასრულყოფილად არის შევსებული, ნაკვეთის მეპატრონემ თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ სს-ის საქმე აღიძვრება, ანუ პირმა, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანომ არასწორად შევსებული მიღება-ჩაბარების აქტი გადასცა, თავის კუთვნილ ერთ ჰექტარ მიწაში 150.000 ლარი უნდა გადაიხადოს და ალბათ, მადლობასაც გადაახდევინებენ, რომ პასუხისგებაში არ მისცეს. სამაგიეროდ, იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი, ასევე 2007 წელს მიღებული კანონის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შესახებ“ შესაბამისად ერთ კვადრატულ მეტრში 5-დან 10-თეთრამდე უნდა გადაიხადოს. როგორ მოგწონთ ნაციონალური სამართალი? ამის „შემოქმედთ“ პრეტენზია უჩნდებათ, რომ ცხრა წელი „სამართლებრივ იდილიაში“ გვაცხოვრებდნენ და „ „მეორედ მოსვლის“ პრეტენზია აქვთ. მიწის მესაკუთრეების უმრავლესობას, ორჯერ ჰქონია გადახდილი რეგისტრაციისთვის შესაბამისი თანხა, თუმცა ახლა მოქმედი ხელისუფლება სთხოვს ხელახლა დაარეგისტრიროს და შესაბამისი საფასური გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

რა გამოსავალს გვთავაზობს დარგის პროფესიონალი – ბატონი პაატა კოღუაშვილის განმარტებით, 11 სოფელში ტარდება მიწების უფასო აზომვითი (დაზუსტების მიზნით) სამუშაოები და რეგისტრაცია, საჭიროა მთელ საქართველოში ჩატარდეს მიწების უფასო რეგისტრაცია, მაშინ ამ კანონპროექტის მიღება აღარ იქნება საჭირო, რომელიც მიწების წართმევას უფრო ჰგავსო. მიუხედავად „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში მრავალი ცვლილების შეტანისა (ამჟამადაც არასწორი მიმართულებით), ეს პროცესი წლობით გაგრძელდება და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს. გამოსავალი, პირველ რიგში, მოსახლეობის დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების სისტემურ (პროგრამულ) რეგისტრაციაშია. სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოდგენილი პროექტები მიწის მართვისა და რეგისტრაციის საკითხებზე, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებსო, აცხადებს პაატა კოღუაშვილი. ძნელია არ დაეთანხმო პროფესიონალის პოზიციას, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიწის საკითხებზე არსებულ სხვა კანონებში რაიმე ცვლილების სასწრაფოდ შეტანა, სანამ მიწის კოდექსი არ არის მიღებული. საინტერესოა, რამ შეუშალა ხელი ამ კოდექსის მიღებას, როცა არსებობს ტყის კოდექსი, წყლის კოდექსი, წიაღის კოდექსი (როგორ სრულდება ეს სხვა საკითხია), სპეციალურად ხომ არ ხდებოდა პროცესის გაჭიანურება?



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ქართველი გეი ჯარისკაცი თავდაცვის მინისტრს დახმარებას თხოვს

სოციალურ ქსელში ქართველი „გეი“ ჯარისკაცის მიმართვა გავრცელდა, რომელიც თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს დახმარებას სთხოვს. საქმე იმაში ყოფილა, რომ თურმე ჯარში მის მიმართ სექსუალურ დისკრიმინაციას აქვს ადგილი. კერძოდ, იგი უკვე ექვსი წელია ვაზიანის მე-4 ბრიგადაში მუშაობს, ახლა, მაისში, უმთავრდება კონტრაქტი და მეთაური კონტრაქტს აღარ უგრძელებს. როგორც თვითონ ამბობს, ამის მოტივი არის ის, რომ ყველასათვის (მეთაური, ჯარისკაცები, საზოგადოება) ცნობილია მისი სექსუალური ორიენტაცია, ამიტომ მფარველობას ითხოვს მინისტრისგან და პრეზიდენტისგან, მომაქციონ ყურადღება, რომ ღირსება არ მქონდეს შელახული, დაჩაგრული არ ვიყო ამ მხრივო; ვინმე რომ დამიდგეს გვერდში, ამიტომ ვამბობ, მეტი არაფერი მაქვს სათქმელიო. (ზოგადად, საინტერესოა, არა მხოლოდ ამ პირს, ყველას, ვინც დაქირავებული მოსამსახურეა, რატომ აქვს სასწაული პროტესტის გრძნობა თუ კონტრაქტს აღარ უგრძელებს დამქირავებელი, რა სახის ძალადობაა, რა ზე-ამბიციაა?) ქალბატონ მინისტრს რამდენად „სცხელა“ ახლა ერთი გეი-ჯარისკაცისთვის, როდესაც საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების სამართლიანობით პროკურატურა დაინტერესდა, ვინ იცის, თუმცა, იქნებ პირიქითაცაა...

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ვიდეო-მიმართვას გამოხმაურება-კომენტარები მოჰყვა, თუმცა ძალზე მცირე. ბუნებრივია, რადგან, ამ ერთი მომჩივანი გეი-ჯარისკაცის მიმართვა ქალბატონი თავდაცვის მინისტრისადმი ატომური ბომბის აფეთქების ტოლფასია მოცემულ ვითარებაში, როცა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზეა პარლამენტის სწორება და ერთ-ერთი უპირველესი მხარდამჭერი ამ აქტის დაკანონებისა სწორედ თავდაცვის მინისტრი და მისი პარტიაა... ეს პირდაპირი განაცხადია იმისა, რომ ქართულ არმიაში გეებმაც უნდა იმსახურონ!

ბატონმა სოსო მანჯავიძემ პირდაპირ ურჩია თინა ხიდაშელს, „მოეშვას ამ სპეცოპერაციებს“, რადგან ყველასთვის ცნობილი და ნათელია ყველაფერი, ხოლო მათ, ვინც აღნიშნული ანალური თემატიკით არიან დაკავებულები, მიმართონ ობამას და ბაიდენს, რათა მიიღონ აშშ-ის მოქალაქეობა და იქ მიეცენ ტკბობას თავიანთი არჩევანის შესაბამისად.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ოჯახის ცნების დაკონკრეტებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტის მხოლოდ შვიდმა წევრმა მოაწერა ხელი (ომარ ნიშნიანიძე, თემურ მაისურაძე, თემურ ხუბულური, სოსო დანელია, გიორგი გაჩეჩილაძე, დავით ლორთქიფანიძე, თამაზ (გია) ჯაფარიძე), მავანთათვის სწორედ რომ დროულია ქართულ ჯარზეც „იზრუნონ“.

რატომაც არა, მსოფლიო დემოკრატიისა და მსოფლიო პოლიტიკოსობის ქურქში გამოწყობილ გეი-საზოგადოებას ხომ ფრიად ეამება, შესაბამისად, სათანადო თანამდებობებად და მწვანე კუპიურებად გადაუხდის დამსახურებულ მადლობას ამ საქმეში ყველა „ღვაწლმოსილს“?

შემთხვევითი არ არის ამ ერთი სამხედრო მოსამსახურის გამოჩენა-მეთქი...

აი, რატომ – პენტაგონის ისტორიაში პირველად 2012 წლის 27 ივნისს გაიმართა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეთა საპატივცემულო ღონისძიება. დამსწრეებს პრეზიდენტ ობამასა და თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტას ვიდეომიმართვები გადასცეს, ხოლო პირადად მიმართა თავდაცვის სამინისტროს იურის-კონსულტმა ჯეი ჯონსონმა. მოკლედ რომ ვთქვათ, ღონისძიება ასე თუ ისე, ჩატარდა, მაგრამ ფაქტად დარჩა, რომ პენტაგონის მაღალჩინოსნები არ დაესწრნენ.

სხვათაშორის, NATO-ოს იტალიელმა სარდალმა მაურიო დელ ვეკიომ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ „ისეთ სტრუქტურაში, როგორიც არის არმია და სადაც მოქმედება ყოველთვის ერთობლივი და შეთანხმებული უნდა იყოს, ღიად გამოხატული ჰომოსექსუალიზმი მიუღებელია – „გეები“ ჯარისთვის შეუფერებლები არიან.“

NATO-ოს წევრ ქვეყნებში ერთსულოვნება ვერ შედგა არატრადიციულ სექსუალურ გამოხატულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ზოგ ქვეყანაში ამგვარ პირებს საერთოდ არ იწვევენ ჯარში, ზოგან – არ კრძალავენ, მაგრამ არც რაიმე გარანტიებს აძლევენ, ზოგან კი მნიშვნელოვნად შემწყნარებლები არიან.

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დღეისათვის 70 000-მდე სექსუალურად გადახრილი („გეი“ და „ლესბოსელი“) მსახურობს...



კონსერვატულად სახელდებულ დიდი ბრიტანეთის არმიაში სექსუალურ უმცირესობათა სამხედრო სამსახურში მიღებიდან (2000 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჰომოსექსუალების სამხედრო სამსახურის აკრძალვა მოქალაქის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად შეაფასა) 2006 წელს ბოლოს და ბოლოს შეაღწია „სექსუალურმა პროგრესმა“, ორმა „ნორჩმა“ ლესბოსელმა ჯარისკაცმა, 19 წლის სონია გოლდიმ და 18 წლის ვანესა ჰეიდოკიმ ქორწინების ცერემონიალი გამართეს. ამდენად, გასაკვირი აღარც უნდა იყოს გავრცელებული ინფორმაცია, რომ ლეგენდარული „მი 5“ – ბრიტანული დაზვერვა 100-ზე მეტი „ცისფერი“ არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ დედადედოფლისგან განსხვავებით, სხვაგვარი განწყობა აქვთ ბრიტანეთის არმიასა და ფლოტში „ცისფერი კოლეგების“ მიძალების მიმართ. გაზეთ „თაიმსს“ ხელში ჩაუვარდა საიდუმლო დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ სწორედ ჰომოსექსუალებისთვის სამხედრო სამსახურის აკრძალვაზე უარის თქმის შემდეგ უფროსი სპეციალისტები, უორენტ-ოფიცრები და სერჟანტები მასობრივად ტოვებდნენ ჯარს. სამხედრო პირებმა მათგან განცალკევებით მოითხოვეს სველი წერტილების მოწყობა, ხოლო სამხედრო ოჯახებმა დამატებით პროტესტი გამოთქვეს საერთო საცხოვრებლებში მათთან ერთად განთავსებაზე, ჩვენს შვილებზე მავნე ზეგავლენას მოახდენს ერთ სივრცეში ასეთი თანაცხოვრებაო. სამხედრო საჰაერო ძალების გადამდგარი უმაღლესი მარშალის სერ მაიკლ ერმიტეიჯის სიტყვებია: „თუ ჰომოსექსუალებს კარს გავუღებთ, პოლარიზაცია მოხდება, ოსტრაკიზმი (გაძევება, განდევნა –ავტ) გამეფდება!“

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური უმცირესობები ზე-უმცირესობაში არიან, კარიერის მაძიებელი პირები, დაწყებული პოლიტიკოსებით, დამთავრებული ყველათი, მაქსიმალურად უფრთხიან არეული სექსუალური ლტოლვის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას და ფაქტობრივად, სექსუმცირესობები თავზე ასხედან ყველა იმ საზოგადოებას, სადაც გაუვათ.

**გიორგი ჩხეიძე**



# ახალი საფრთხე – სომხური კათოლიკური ორდინარიატი

სომეხმა მომღერალმა სერობ აჯემიანმა „ყვავილების ქვეყანას“ მელოდიაზე შექმნილი სიმღერის „სომხური ვარიანტი“ რომ შესთავაზა მსმენელებს, მაშინ დავწერე — ყველაფერი ჩვენი ბრალია, საკუთარს ვერ ვუვლით და მტერი და მოყვარე დღემდე ვერ გაგვირჩევია-მეთქი და ატყდა ერთი ამბავი. სომხების მხარეს იჭერთ თუ რა არის, რას ჰქვია, ჩვენსას ვერ ვპატრონობთო.



კეთილი და პატიოსანი, თუ ამდენი ვართ, ვინაც ჩვენს ქვეყანას პატრონად გამოვადგებით, ძალიან კარგი, მაგრამ იმაზე რატომ არ ვტეხთ განგაშს, ქართული ეკლესია-მონასტრების მითვისებისთვის სომხები პეტიციას პეტიციაზე რომ აგზავნიან სხვადასხვა ორგანიზაციებში, დოკუმენტებს რომ ქმნიან და ეძებენ, ძველი ვითომ სომხური, სინამდვილეში, უმეტესი მათგანის ქართული ეკლესიების საძირკველზე აშენებული ეკლესიების რესტავრაციას რომ ითხოვენ და თავისად რომ იჩემებენ?!

იმდენად მასშტაბური და კატეგორიული გახდა სომხების მოთხოვნები, შეუძლებელია ამას გვერდი ავუაროთ.

საქმე ის არის, რომ სომხური მხარე და სომხური გრიგორიანული ეკლესია, რომის პაპის მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით დოკუმენტაციას ქმნის, სომხურ კათოლიკურ ორდინარიატს, როგორც რომის კათოლიკური ეკლესიის ნაწილს დაეხმაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების სომხებისთვის აღდგენა-რესტავრაცია-გადაცემის დაკანონებაში. როგორც ვხედავთ, სომხებმა ახალი ხრიკი მოიგონეს საქართველოს კულტურული და ტერიტორიული ანექსიის მისაღწევად, გრიგორიანულ მიმდინარეობას კათოლიკურ ორდინარიატს არქმევენ.

მთავარ არგუმენტად სომეხ ფსევდომეცნიერებს მოჰყავთ ის, რომ, თითქოს, ქართული მხარე საქართველოში პერმანენტულად „ანადგურებს სომხური კულტურის ნაკვალევს“.

შეგახსენებთ, ეს „ნაკვალევი“ 442 ქართული ეკლესიაა, რომელსაც თავისად აღიარებენ ჩვენი „კეთილისმსურველი“ და „კეთილისმყოფელი“ ძმები.

საუბარია იმ ეკლესიებზე, რომლებშიც დღემდე მიმდინარეობს მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა და ეს ეკლესიები არასდროს ყოფილა სომხური. მაგრამ, სომხური მხარის მტკიცებით, ეს 442 ეკლესია სომხურ-ქალკედონური კულტურის ნაწილია და ეკუთვნის სომხეთის რესპუბლიკის კულტურულ მემკვიდრეობას.

იმის გარდა, რომ ანადგურებენ უძველეს ქართულ ფრესკულ ნიმუშებს, იწვევენ უცხოეთიდან


აღმოსავლეთ ევროპის
სომეხ კათოლიკეთა
ორდინარიატი

ORDINARIATE OF THE ARMENIAN
CATHOLIC CHURCH
OF EASTERN EUROPE

გუთნის I შეხვ. 4/5, თბილისი.
Tel/Fax(+995)32 2277637
Ave.Gutnis I 4/5,Tbilisi,Georgia.
E-mail: armeniange@yahoo.com
Armenia - Atarbekian str. 82, 3104 - Gyumri. Tel. (+374) 312 - 52115, E-mail: armorda@web.am

Pr.0514

18.12.2014

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაზა ვაშაყმაძეს

ბატონო ზაზა,

მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებებს საქმიანობაში.

მოგახსენებთ, რომ სსიპ „აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი“ (ს/კ 406055726), რომელიც როგორც იურიდიული პირი, 2011 წლის 03 ოქტომბერს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის მიერ, წარმოადგენს საქართველოში საუკუნეების მანძილზე უწყვეტად მოქმედი აღმოსავლეთ ევროპის სომხური კათოლიკური ეკლესიის სამართალმემკვიდრეს, რომელიც საუკუნეზე მეტია ფლობს და ატარებს წირვას ეკლესიებში, რომელთა საკუთრებაში გადმოცემა დღემდე ვერ მოხდა.

დელეგაციებს, რომ მიაღწიონ ამ ტაძრების სომხური კულტურის ნაწილად აღიარებას.

როგორც მითხრეს, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია **ხუჯაბის** ქართული მონასტერი, რომელიც საქართველო-სომხეთის საზღვრის ახლოს მდებარეობს. მონასტერი ინგრევა, სავსეა ხავსით და ბალახით, ნელ-ნელა ნადგურდება ნაგებობა, იშლება ფრესკები.

ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არაერთხელ სთხოვა სომხურ მხარეს სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად და უნიკალური ფრესკების გადასარჩენად რესტავრატორები შეეშვათ სომხეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ თხოვნაზე ყოველთვის იყო ერთმნიშვნელოვანი უარი: ხუჯაბის მონასტერი სომხურ-ქალკედონური კულტურის ძეგლია და უძველესი სომხური კულტურის სახეობა. სინამდვილეში, მშვენივრად იცის სომხურმა მხარემ, ეს ტაძარი სომხური რომ არ არის. სომხური რომ იყოს, აქამდე რესტავრაციასაც გაუკეთებდნენ, მაგრამ სურთ დაინგრეს და განადგურდეს ხუჯაბი, რითაც საბოლოოდ მოისპობა ქართული კულტურის ნაკვალევი.

უმძიმეს მდგომარეობაში არის თურმე **ახტალის** უძველესი ეკლესია, რომელშიც უნიკალური ქართული ფრესკული კულტურის ნამუშევრების ნაშთები ღვთიური მადლით სასწაულებრივად არის შემორჩენილი...

ჩვენი მეზობელი სომხეთი, ტერიტორიების გაფართოებისა და თავიანთი სახელმწიფოს გაძლიერებისთვის, რეგიონში ანგარიშგასაწევ ქვეყნად გახდომის სურვილით ცდილობს თავის დამკვიდრებას. თურქეთთან გენოციდის საკითხზე მთელი მსოფლიო შეძრეს და შეაზანზარეს, ყარაბაღის ხსენებაზე სომეხ პოლიტიკოსებს ძარღვებში სისხლი ეყინებათ, ხოლო 442 ქართული ეკლესია-მონასტრის ხელში ჩაგდების თითქოსდა უწყინარი, სინამდვილეში კარგად გათვლილი სტრატეგიით, საქართველოში დამკვიდრებას აპირებენ. აქაოდა, თუ 442 ეკლესია-მონასტერი სომხებმა შექმნეს საქართველოში, ტერიტორიაც სომხური ყოფილაო.

მათი დაუღალავი მცდელობა ახლა სხვა ფაზაში გადავიდა, როგორც სომხები უწოდებენ, სომხურ-ქალკედონური მემკვიდრეობის გრიგორიანული სამოციქულო ეკლესია, ბოლო ხანებში სომეხ კათოლიკეთა ორდინატად აქტიურად მოიხსენიება. ცხადია, ესეც ვერაგული ჩანაფიქრია, რომის კათოლიკური ეკლესიის ფრთებქვეშ შეფარებით მტაცებლური ზრახვების განსახორციელებლად.

2014 წელს, ამჯერად სწორედ აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართავს თხოვნით, საქართველოში არსებული ეკლესიები, სადაც სომხური წირვა-ლოცვა ტარდება, დაუკანონდეს აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატს.

ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. აქ ნაწილს შემოგთავაზებთ:

**ნინოწმინდა**

ეშტია — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; თორია — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; უჯმანა — იოანე ნათლისმცემლის ტაძარი; კარდიკამი — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; ჟდანოვი — წმინდა




სარქისის ეკლესია (აშენებული 1997 წელს).

**ახალქალაქი**

ტურცხი — ღვთისმშობლის ეკლესია; ალასტანი — ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესია; ფარევანი — ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესია; ბავრა — წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესია; ხულგუმო — ღვთისმშობლის ეკლესია.

**ახალციხე**

წყალთბილა — მაცხოვრის ეკლესია; ჯულღა — ხარების ეკლესია; წინუბანი — ღვთისმშობლის ეკლესია; აბიახევი — წმინდა ჯვრის ეკლესია და ა. შ. და ა.შ.

სომხებს ქართული ეკლესია-მონასტრების, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მითვისება-დაჩემება ახლა არ დაუწყიათ, ილია ჭავჭავაძის დროინდელი ამბები რომ არ გავიხსენოთ, გასაბჭოების პერიოდის ისტორიაც მოწმობს ამას, 1918 წელს საქართველოზე თავდასხმის მერე ბოლშევიკებთან ერთად ქართული ეკლესია-მონასტრების ნგრევა-ლეწვაშიც მიუღიათ აქტიური მონაწილეობა და ამ ნგრევის სანაცვლოდ, ქართული მხარისგან ახლა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ტაძრების ნანგრევებზე დაფუძნებული სომხური ეჩმიაძინების რესტავრაციას და შემდეგ გადაცემას ითხოვენ. დიდი ხანი არ არის, რაც ეს თხოვნა შეუსრულა საქართველომ და რესტავრირებული ჩააბარა სომხებს სურბ-გევორგის ეკლესია, რომელიც, როგორც ისტორიკოსებიც ირწმუნებიან, წმინდა გიორგის სახელობის იყო ადრე, მაგრამ, მოდით, კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი ზემოთჩამოთვლილ ეკლესიათა სიას. მათი უმეტესობა ღვთისმშობლის სახელობისაა. ის რომ არ ვთქვათ, საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა რომაა და საქართველოში ქართველები ყველაზე ხშირად სწორედ ჩვენი სვეგამწარებული ქვეყნის მფარველი დედაღვთისმშობლის სახელობის ტაძარ-მონასტრებს აგებდნენ, ის მაინც აგვიხსნან „ძმებმა“ სომხებმა, თუკი სომხური გრიგორიანული ეკლესია არსით მონოფიზიტურია, ღვთისმშობელს წმინდა დედად რატომღა აღიარებდნენ და უფლის მშობელის სახელზე ტაძრებს რატომ აგებდნენ საქართველოში?!...

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## ეთნოდემოგრაფიული ბალანსის ცვლილების შიში აფხაზეთში

**აფხაზეთში კვლავ განხილვის საგნად იქცა რესპუბლიკის სამი აღმოსავლური რაიონის უკანონო მასობრივი პასპორტიზაცია. პოლიტიკურ დაპირისპირებაში ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა, რამაც პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბის გადადგომა გამოიწვია. ახლა ეს საკითხი წამოჭრა ოპოზიციურმა პარტია „ამცახარამ“, რომლის**



**პოლიტსაბჭომ გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციის შესახებ გააკეთა შემდეგი განცხადება: „მაშინდელი ოპოზიცია გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პრობლემას იყენებდა მოქმედი ხელისუფლების ავტორიტეტის შესარყევად და მის დასამხობად“.**

**შექმნილი დაძაბულობის შესახებ რადიო თავისუფლების კავკასიის ბიუროს ჟურნალისტის შეკითხვებს პასუხობს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მეთაური, ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა. იგი ერთადერთი იყო ხელისუფლებაში, რომელიც ცდილობდა წინ აღდგომოდა ამ პროცესს და რომელმაც 2009 წელს თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვა (თუმცა ამავე თანამდებობას იგი 2011-2013 წლებშიც იკავებდა).**

**— გამოდის, რომ „ამცახარას“ გალელთა მასობრივი პასპორტიზაცია სახელმწიფოსთვის სერიოზულ პრობლემად არ მიაჩნია. თქვენ რატომ ებრძოდით ამ პროცესს? რა საფრთხეს ხედავთ?**

— მოქალაქეობის შესახებ 2005 წლის კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ვერ გახდება აფხაზეთის მოქალაქე. იმას როდი ვამბობ, რომ ეთნიკურ ქართველებს ან მეგრელებს ***(ქართველების დაყოფა და მათში მეგრელების თუ სხვა კუთხის მცხოვრებთა გამოცალკევება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის — „დაყავი და იბატონეს“ კლასიკური მაგალითია — რედაქციის შენიშვნა)*** არ შეუძლიათ გახდნენ ჩვენი მოქალაქეები — საქართველოს მოქალაქეები ერთდროულად ვერ იქნებიან აფხაზეთის მოქალაქეები. ჩვენი კანონის საწინააღმდეგოდ, 2008-2013 წლებში აღმოსავლეთ აფხაზეთის სამ რაიონში მაინც შეიქმნა პასპორტიზაციის უკანონო კომისიები, რომლებმაც ძირითადად საქართველოს მოქალაქეებზე დაახლოებით 25 ათასი აფხაზური პასპორტი გასცეს. ეს საფრთხეს უქმნის ჩვენს სახელმწიფოებრიობას, რადგან მკვეთრად ცვლის ეთნოდემოგრაფიულ ბალანსს და ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას. ამ პროცესის თვითდინებაზე მიშვებით შეიძლება გადაიხედოს საქართველოსთან ომის შედეგები და ჩვენი ქვეყანა დაუბრუნდეს 1992 წლამდე პერიოდს, როცა აფხაზები 18 პროცენტს შეადგენდნენ. შეიძლება აღმოვჩნდეთ სიტუაციაში, როცა ჩვენი ქვეყნის ბედს საქართველოს მოქალაქეები გადაწყვეტენ.

2013 წელს შექმნილ საპარლამენტო კომისიას დაევალა ჩატარებული პასპორტიზაციის კანონიერების გამოძიება. პარლამენტის დადგენილებში ასახულია კანონის მასობრივი დარღვევები. აფხაზეთის მოქალაქეობა მათაც კი მიიღეს, ვინც აფხაზეთის წინააღმდეგ ომში იბრძოდა. გარდა ამისა, ძალიან ხშირად აღმოსავლეთ აფხაზეთში მცხოვრებნი პასპორტებს ყიდულობდნენ — ოპერატიული ინფორმაციით, 30-50 ათას რუბლად, საქართველოს მოქალაქეებისთვის კი ათჯერ მეტი ღირდა. ეს ფაქტები ანქვაბის მმართველობის დროსაც იყო ცნობილი, მაგრამ კანონის დარღვევასა და კორუფციის ფაქტებზე რეაქცია არ ყოფილა. უფრო მეტიც, უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ალექსანდრ ანქვაბმა განაცხადა, ბორკილებს დავადებ მათ, ვინც პასპორტების გაცემას შეეწინარმდეგებაო. მახსოვს სხდომის მონაწილეთა რეაქცია — დაზაფრულები იყვნენ.

**— ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები და ახლანდელი ოპოზიცია არგუმენტად იშველიებენ გალის რაიონის მოსახლეობის მონაწილეობას 1999 წლის რეფერენდუმში, აგრეთვე 2004, 2009 და 2011 წლების არჩევნებში. ჰქონდათ კანონიერი უფლება, ხმა მიეცათ?**

— რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის დროს გალის რაიონის მოსახლეობას საბჭოთა პასპორტები ჰქონდათ და არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. აფხაზური პასპორტების გაცემა კი გალში 2008 წელს დაიწყო.

**— საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები პროტესტს გამოთქვამდნენ აღმოსავლეთ აფხაზეთის „ძალადობრივი პასპორტიზაციის გამო“, მოგვიანებით საპროტესტო განწყობილებები ჩაცხრა. რატომ?**

— ხელისუფლების ყველა დონეზე სვამდნენ ამ საკითხს, მაგრამ მოულოდნელად აბსოლუტურმა სიჩუმემ დაისადგურა, მათ შორის საქართველოშიც. მოგვიანებით გაირკვა, რატომ. საქართველოს სამხრეთ საზღვართან, სამცხე-ჯავახეთში, კომპაქტურად ცხოვრობს 120 ათასი სომეხი. მათგან დაახლოებით 30 ათასმა 2008 წლის შემდეგ მიიღო სომხეთის მოქალაქეობა. მაშინ თბილისის ხელისუფლებამ ავტომატურად ჩამოართვა მათ საქართველოს მოქალაქეობა და ისინი უცხოეთის მოქალაქეებს გაუთანაბრა — მათი კანონმდებლობა კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას. ამ ხალხის გარკვეულმა კატეგორიამ ბინადრობის მოწმობები მიიღო, ძირითადი მასისთვის ეს საკითხი დღესაც მოუგვარებელია.




ზოგიერთი მოღვაწე იმაზეც კი წუხდა, რომ აღმოსავლეთ აფხაზეთის მცხოვრებისთვის აფხაზური პასპორტის ჩამორთმევით თითქოს ხელს ვუწყობთ მათ ინტეგრაციას საქართველოსთან. ეს „სირაქლემას პოზიციაა“. თუკი ჩვენ საქართველოს მოქალაქეებს მივანიჭებთ აფხაზეთის მოქალაქეობას, ამით ჩვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციას ვაღიარებთ.

**— პასპორტიზაცია რომ არ აღეკვეთათ, რა მოხდებოდა?**

— ამის შესახებ ჯერ კიდევ 2013 წელს ვწერდი — ეს არის რევიზია ყველაფერ იმისა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში მოხდა. მისი მიზანია არა გალის რაიონის ინტეგრაცია, არამედ მშვიდობიანი გზით აფხაზეთისა და საქართველოს ფაქტობრივი შერწყმა. გალის რაიონის მიმართ განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და წესრიგის დამყარების თვალსაზრისით. შესამუშავებელია კომპლექსური პროგრამა მნიშვნელოვანი საზღვრისპირა რეგიონის სპეციფიკისა და იქ მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი ხდება.

დადგება პასპორტების გამოცვლის დრო. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ეს პროცედურა კანონიერად ჩატარდება და კორუფციაც არ იქნება. თუ არადა, სიტუაცია განმეორდება და კუდს მოიქნევს.

## ნემცოვის მკვლელობა – რუსეთის პოლიტიკური დეგრადაციის ნიშანი

**უკვე ერთი წელი გავიდა, რაც მოსკოვში, ქალაქის ცენტრში სიცოცხლეს გამოასალმეს რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი. გახმაურებული მკვლელობის წლისთავს დიდ ყურადღებას უთმობენ უცხოეთის წამყვანი მედიაგამოცემები.**

**La Stampa:** გამოცემა აქვეყნებს ბორის ნემცოვის ქალიშვილის ჟანა ნემცოვას (ის ახლა ბონში ცხოვრობს) ინტერვიუს, რომელიც მან Deutsche Welle-ს ჟურნალისტს მისცა.



„პუტინი დაინტერესებული არ არის მამაჩემის სიკვდილის გამოძიებით, რაზეც პოლიტიკური პასუხისმგებლობა სწორედ მას აკისრია. გამოძიება არ არის დამთავრებული. მართალია შემსრულებლები გამოავლინეს, მაგრამ მათგან ვერც ერთი ვერ ჩაიფიქრებდა მკვლელობას, თუ ზემოდან არ უბრძანებდნენ. პუტინმა ერთი წლის წინ განაცხადა, რომ პირადად გააკონტროლებდა გამოძიების მიმდინარეობას და დამნაშავეებს დასჯიდა. ეს დანაპირები დანაპირებად დარჩა“.

ჟანა დარწმუნებულია, რომ მამამისი მოკლეს, რადგან გაბედა და რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ქალიშვილი ითხოვდა, მკვლელობას მინიჭებოდა სხვა კვალიფიკაცია — „საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა“, მაგრამ უარი უთხრეს. პუტინს არ სურს აღიაროს, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობაა. ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ „რუსეთში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კლავენ. პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან ერთად, ის დამნაშავეა იმაში, რომ ობიექტური გამოძიება არ მიმდინარეობს“.

შეკითხვაზე, ხომ არ არის კადიროვი ხელშეუხებელი ან საფრთხე კრემლისთვის, ნემცოვის ქალიშვილი პასუხობს: „არ ვიცი, პირდაპირ დამნაშავეა თუ არა კადიროვი მამაჩემის სიკვდილში, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული — რუსეთის ხელისუფლება, ეს არის მონოლითი და ერთი ხელს აფარებს მეორეს. შესაძლოა პუტინის სისტემის შიგნით არსებობს კონფლიქტები, მაგრამ ეს გარედან ყოველთვის შეუმჩნეველია“.

**The New Yorker:** ნემცოვის მკვლელობა იყო საშინელი დარტყმა რუსეთის ოპოზიციისთვის და არასასურველი შოკი ქვეყნის პოლიტიკური ელიტისთვის. პუტინის ხელისუფლების დროს მსგავსი მკვლელობების გამოძიება მიმდინარეობს ნელა და უშედეგოდ. ნემცოვის შემთხვევაში პუტინმა ФСБ-ს უჩვეულოდ დიდი პრივილეგიები მიანიჭა მკვლელების დასაჭერად. გენერლები დიდი ხანია არ ენდობიან კადიროვს, რომელსაც პუტინი, სხვა რეგიონული ლიდერებისგან განსხვავებით, დიდი ავტონომიური უფლებებით უზრუნველყოფს. ახლა აშკარად ჩანს დაპირისპირება სპეცსამსახურებსა და კადიროვს შორის.

**The Wall Street Journal:** ჩეჩნეთის ლიდერმა. რომელიც კრემლის მხარდაჭერით სარგებლობს, განაცხადა, რომ სურს თანამდებობის დატოვება. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან თქვა — დროა, რუსეთის ხელისუფლებამ ჩემი შემცვლელი მოძებნოსო.

ჯერჯერობით, არანაირი ნიშანი იმისა, რომ კადიროვი გადადგომას აპირებს, არ ჩანს და არც კრემლს გაუკეთებია რამე კომენტარი ამ განცხადებაზე.

მოამზადა

**ელზა ნაბახტეველმა**

# გურამ ანდრონიკაშვილი – ფინანსების ქართველი ჯეიმს ბონდი

**გურამ ანდრონიკაშვილი ჯერ მხოლოდ 35 წლისაა, თუმცა მისი შრომითი ბიოგრაფია საინვესტიციო ბანკებში მუშაობის 15-წლიან სტაჟს ითვლის. მისი ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი დიდი კაპიტალია იმ უცხოური ბანკებისთვის, სადაც „შეუსვენებლივ" მუშაობს – დღედაღამ, შაბათ-კვირის ჩათვლით.**

**გურამ ანდრონიკაშვილს ფინანსების ჯეიმს ბონდსაც უწოდებენ. 9 წელი იმუშავა დიდი ბრიტანეთის საფინანსო კომპანია JP Morgan-ში (ევროპული საფინანსო ინსტიტუტების ჯგუფი, რომელიც 250 ათასს თანამშრომელს ითვლის) და მონაწილეობდა აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დადებულ გარიგებებში. ამ ფინანსურ ორგანიზაციაში ანალიტიკოსის პოზიციაზე მივიდა, მერე ექსპერტი გახდა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან წავიდა. ახლა „ინგლისელი ბანკირი" ყაზახეთის უმსხვილეს ForteBank-ს ხელმძღვანელობს.**



დიდი ბრიტანეთის დარემის უნივერსიტეტში შესვლისას, 17 წლის ახალგაზრდას არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა ბიზნესზე, როგორ ემუშავა და როგორ ემართა იგი. მხოლოდ სწავლის პროცესში მიაგნო იმას, რაც დააინტერესებდა და რითაც საკუთარი თავის რეალიზაციასაც მოახდენდა. არჩევანი ორ ძირითად მიმართულებას სთავაზობდა – მმართველობით კონსალტინგს და საინვესტიციო ბანკინგს. ორივე საინტერესოდ ეჩვენებოდა – მმართველობითი კონსალტინგი გულისხმობს სხვადასხვა სპეციფიკური ინდუსტრიების კომპანიებისთვის სხვების გამოცდილების შეთავაზებას და მუშაობას ისეთ ბრენდებთან, როგორებიცაა: Toyota, FIAT, Ford... თითოეულის პრაქტიკა დიდ გამოცდილებასა და ცოდნას გძენს და საშუალებას გაძლევს ეს ცოდნა ახალი ქარხნის მშენებლობისას გამოიყენო.

**„ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ფინანსდება კომპანიები, რა კრიტერიუმით ფასდება. საერთოდ, როგორ ვითარდება საფინანსო ბაზრები. საბჭოთა კავშირში გაზრდილისთვის, არასდროს რომ შევხებივარ ასეთ საკითხებს, ყველაფერი ეს მართლაც უჩვეულო და საინტერესო იყო".**

ჯერ კიდევ სტუდენტმა თავისი რეზიუმე ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკს გაუგზავნა, მათ შორის JP Morgan-ს. კანდიდატების შერჩევის რთული პროცესი დიდი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა. სტატისტიკის თანახმად, JP Morgan-ში მოხვედრა უფრო რთულია, ვიდრე ჰარვარდში, სადაც ერთ ადგილზე ასი პრეტენდენტია. გაიარა ტესტირება, ინტერვიუს ეტაპი, საბოლოო ტური გულისხმობს შეთავაზებული „ქეისის" ანალიზს, წინადადებების შემუშავებას, შეხვედრებს და შედეგების პრეზენტაციას... ამ პროცესს აკვირდებიან ბანკირები და რეკრუტორები (კადრების სპეციალისტი, რომლის მოვალეობა არა მარტო შესაფერისი კანდიდატის მოძებნა, არამედ კანდიდატის კომპეტენტურობისა და მისი, როგორც მომავალი თანამშრომლის სარგებლიანობის შეფასებაა)... დღის ბოლოს დაურეკეს და სამსახური შესთავაზეს. ისიც დათანხმდა, სხვა გასაუბრებებზე დრო აღარ დაუკარგავს. უნივერსიტეტის ბოლო კურსზე იყო, როცა ეს არჩევანი გააკეთა – იცოდა, რომ უმაღლესის დამთავრებისთანავე, სექტემბერში JP Morgan-ში იმუშავებდა.




კომპანიაში საინვესტიციო ბანკში მუშაობის ჩვევებს ასწავლიდნენ – ეს იყო დაძაბული პერიოდი, როცა არა მარტო ასწავლიდნენ მუშაობას, არამედ აჩვევდნენ ცხოვრების სტილს. იმ კლასში, რომელშიც გურამი მოხვდა, 130 კანდიდატი იყო, ერთი წლის შემდეგ 30 დარჩა – ბევრმა არ ისურვა ცხოვრებისა და მუშაობის ეს ტილი, ზოგმა უბრალოდ ვერ გაუძლო, ნაწილი კი გაუშვეს. **„ეს იყო ნებისმიერ საინვესტიციო სისტემაში თავის გადარჩენის კარგი სკოლა, რომლის შემდეგ უფრო ძლიერი ხდები",** – ასე აფასებს თავის პირველ დამოუკიდებლ ნაბიჯებს გურამ ანდრონიკაშვილი.

**„როცა JP Morgan-ში მუშაობაზე ვყვები, უმრავლესობა ვერ იჯერებს და გადაჭარბებული ეჩვენება. ეს იმიტომ ხდება, რომ ხალხმა არ იცის, რას ნიშნავს საინვესტიციო ბანკებთან უშუალო ურთიერთობა. შევეცდები აღვწერო ჩვეულებრივი სამუშაო დღე: მუშაობა იწყება დილის 9 საათზე და პირველი 2-3 წელი ღამის 1-2 საათამდე გრძელდება, დასვენების დღეების გარეშე. ეს არის კვირაში დაძაბული რიტმის 120-140 საათი".**

როცა მოხვდა გარემოში, სადაც კოლეგები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტები იყვნენ, მიხვდა უმთავრესს: შესაძლოა, იყო საუკეთესო უნივერსიტეტში, სკოლაში, საბავშვო ბაღშიც კი, მაგრამ ასეთ გარემოში მოხვედრილი საშუალო, ნორმალური ადამიანი ხარ. ეს ერთგვარი გამოწვევაა, რომელიც წინსვლის მამოძრავებელია.

**„საინვესტიციო ბანკში მუშაობ კომპანიების ხელმძღვანელებთან და აქციონერებთან, რომლებიც ბაზრის ლიდერები არიან. ძალიან საინტერესოა, როცა 23-25 წლის სწავლობ იმას, თუ როგორ აგვარებენ ისინი თავიანთ პრობლემებს, როგორ აზროვნებენ, რა რეაქცია აქვთ სხვადასხვა სიტუაციაზე – ეს უზარმაზარი გამოცდილებაა. JP Morgan-ში, ასაკისა და რანგის მიუხედავად, გაძლევენ საშუალებას აკეთო ის, რისი ძალაც შეგწევს. შეგიძლია გაუძღვე დიდ პროექტს, გენდობიან. ეს პასუხისმგებლობა გაიძულებს, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით გაიზარდო".**

2010 წლამდე იმუშავა ამ კომპანიაში. იმ თავისი „ევროპული კლასიდან" მხოლოდ სამი კაცი შემორჩა. უჩვეულო რიტმში მუშაობას ბევრმა ვერ გაუძლო, ეს რიტმი და სტილი პირად ცხოვრებაზეც ახდენს გავლენას.

2010 წელს შესთავაზეს სათავეში ჩადგომოდა ყაზახეთის „მეტროკომბანკს", რომელსაც კაპიტალიზაციისა და ლიკვიდურობის პრობლემები შეექმნა. ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა ბანკის სტრატეგია და გარდაქმნა ბაზრის უნიკალურ საფინანსო ინსტიტუტად, რომელიც საერთაშორისო სამშენებლო ბანკის კორპორაციულ კლიენტებს ემსახურება. ბიზნესპროცესების მოდერნიზებითა და კლიენტების მომსახურების პრინციპების შეცვლის შედეგად უმოკლეს დროში ეტალონი გახდა. რებრენდინგის შემდეგ კი გაჩნდა ახალი საბანკო ბრენდი **ForteBank**, სადაც სამი ათასზე მეტი თანამშრომელია.

2015 წლის დასაწყისში ყაზახეთის ორი ბანკის შერწყმის შედეგად შექმნილი ახალგაზრდა ორგანიზაცია, ინოვაციური მიდგომებით, საბანკო სექტორში თავისი ადგილის დამკვიდრებას ესწრაფვის. განსხვავებული კონკურენციის პირობებში ბანკისთვის შესაფერისი ტენდენციები თანამედროვე ევროპული სტილის საბანკო ტექნოლოგიების შესაბამისად ყალიბდება. უკვე წელზე მეტია გურამ ანდრონიკაშვილი ასეთი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

როგორ უნდა მიაღწიო მაქსიმალურ წარმატებებს საქმიანობის ყველა სფეროში? წარმატებული ადამიანი – გურამ ანდრონიკაშვილი გვიზიარებს თავის მოსაზრებებს საქმიანი და ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ:

**რა განსხვავებაა საინვესტიციო ბანკინგში და ტრადიციულ კომერციულ ბანკებში მომუშავეებს შორის?**

ძალიან დიდი – მოტივაცია. საინვესტიციო ბანკში არავის დაყოლიება და დარწმუნება არ არის საჭირო. შეიძლებოდა, ღამის 3 საათზე დაგერეკა კოლეგასთან და ნახევარ საათში ოფისში შეხვედრა დაგეთქვა, იმიტომ, რომ დილის 7 საათზე კლიენტის დოკუმენტი მომზადებული უნდა ყოფილიყო. 30 წუთში ის ადგილზე იქნებოდა. ან კიდევ ერთი მაგალითი – თანამშრომელს ქორწილი აქვს, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს კლიენტთან შეხვედრაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ სასიძო საქორწინო ცერემონიის ბოლოს გამოჩნდება, მივა საკურთხეველთან, შემდეგ ჩაჯდება ტაქსში და შეხვედრაზე მოვა. ამას არავინ აძალებს, ბანკინგი თავიდანვე სწორედ ასეთებს ირჩევს – მოტივირებულებს, მუშაობის მსურველებს.

**რა არის წარმატების საიდუმლო?**

ამას წინათ წავიკითხე მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, მაიკლ ბლუმბერგის ინტერვიუ. საკუთარი წარმატების წესებზე ის ასეთ რამეს ამბობს: „სამსახურში მოდი ადრე, წადი გვიან, დროს ნუ დაკარგავ სადილსა და საპირფარეშოში სიარულზე". გასაგებია, რომ ბოლო რჩევა პირდაპირი მნიშვნელობით არ უთქვამს, მაგრამ მისი აზრი ყველასთვის გასაგებია.

მეორე – განათლება, და რაც მთავარია, მუდმივი თვითგანვითარება. აუცილებელია განუწყვეტლივ სრულყოფდე საკუთარ თავს და საკუთარ ჩვევებს: ბევრი კითხვა, ჭკვიან და წარმატებულ ხალხთან ურთიერთობა. უნდა აცნობიერებდე სუსტ მხარეებს, გაგებით ეკიდებოდე კრიტიკას, იყენებდე მას შემდგომი განვითარებისთვის.

მესამე – სულ ცოტა გამართლება საჭირო დროს და საჭირო ადგილას.

თუ ამ ჩამონათვალს პრიორიტეტების მიხედვით განვალაგებთ, მუშაობისკენ სწრაფვა 75 პროცენტია, სწავლა და თვითგანვითარება – 20 პროცენტი, დანარჩენი კი გამართლებაა.

**ელზა ნაბახტეველი**

**მასალის მომზადებისას გამოყენებულია tengrinews.kz-ს და blog.hipo.kz-ს მასალა.**

# მფრინავი თეფშები და პრეზიდენტები

## რაშია თეთრი სახლის მწვანე ოთახის საკრალური საიდუმლო?

**აშშ-ის პრეზიდენტები უბრალო მოკვდავებისგან დიდად არ განსხვავდებიან, როცა საქმე მფრინავ თეფშებს ეხება. როგორც ჩანს, მათაც დიდი სურვილი აქვთ, ამ საიდუმლოებას ჩასწვდნენ. სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, წინასაარჩევნო კამპანიისას, ბევრი მათგანი ეფექტურად იყენებდა ამ თემას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ელექტორატის მოსახიბლად და გვერდში ამოსაყენებლად. მაშინ ეს პოლიტიკოსები გულმხურვალედ ჰპირდებოდნენ ხალხს, რომ მათი „პირველი პირობის“ შემთხვევაში ფარდას ჩამოხდიდნენ ამ ცხრა ბეჭდით დაბეჭდილ საიდუმლოს. როგორ ვითარდებოდა შემდეგ მოვლენები?**

### ჰილარი უფოლოგია?

ჰილარი კლინტონის განცხადებამ, რომ პრეზიდენტობა უნდოდა, უფოლოგებს ყურები დააცქვეტინა. მათ მცირედი იმედი გაუჩნდათ, რომ მომავალში, შესაძლოა, უცხო ცივილიზაციებზე სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პირველი პირისგან შეიტყონ. აკი, მსოფლიოს ზოგიერთ წრეებში ჭორები დადის, უცხოპლანეტელები, უკვე დიდი ხანია, ჩვენს შორის არიან და ამერიკის მთავრობა მათთან თანამშრომლობსო.

ჰილარის იმედის თვალით უფოლოგები, კაცმა რომ თქვას, ტყუილად არ შეჰყურებდნენ. იგი შინაგანად უფოლოგია, — ნათქვამია ინტერნეტწყაროში. ცნობილია, რომ ჰილარი კლინტონი მეგობრობდა ამერიკელ მილიარდერ ლოურენს როკფელერთან, რომელმაც არაერთხელ მიმართა თეთრ სახლს უმორჩილესი თხოვნით — აშშ-ის მთავრობას გაესაჯაროებინა მფრინავ თეფშებთან დაკავშირებული საიდუმლო მასალები.

ჰილარი კლინტონი მაშინ მხარს უჭერდა მეგობრის მოთხოვნას. 1995 წელს მან და ლოურენსმა ერთობლივი ორგანიზაციაც კი დააარსეს. ორგანიზაციის მიზანი იყო, ხელისუფლებისგან 1947 წელს როსუელში მფრინავი თეფშის ავარიის ფაქტის აღიარებისათვის მიეღწიათ. მაგრამ მეგობრები ამაოდ დაშვრნენ.

ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე ჰილარი და ლოურენსი ერთად არიან გადაღებულნი და ეს ფოტო უფოლოგების ყურადღებას იქცევს — ჰილარის ხელში გახმაურებული წიგნი — „მარტო ვართ თუ არა?“ — უჭირავს. წიგნის ავტორია პროფესორი პოლ დევისი, ასტრობიოლოგი არიზონას უნივერსიტეტიდან. წიგნში დევისი, როგორც სათაურიდან ჩანს, ამ სამყაროში ჩვენს ერთადერთობას ეჭვქვეშ აყენებს და ამტკიცებს, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ. პროფესორი დევისი ცნობილია, როგორც პიროვნება, რომელიც წინასწარ „ნერვიულობს“ უცხოპლანეტელებისა და მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა მოსალოდნელ ურთიერთობაზე. პროფესორის აზრით, არამიწიერი ცივილიზაციების წარმომადგენელთა გამოჩენა სერიოზულ თეოლოგიურ პრობლემებს შეუქმნის თითოეულ რელიგიას.

### პოდესტას აღიარება

**ჰილარი კლინტონი** უფოლოგებთან მეგობრობს. მას წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას ერთ-ერთი ცნობილი უფოლოგი — **ჯონ პოდესტა — უმაგრებდა ზურგს. პოდესტა 1997**-2001 წლებში თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე და შემდგომ კი ხელმძღვანელი გახლდათ.



ჭორების თანახმად, უცხოპლანეტელები ამერიკულ მთავრობას საიდუმლო ზონა-51-ში ჰყავს „მოყუჩებული“. სწორედ ამ საკითხზე ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას არკანზასში, ერთ-ერთი შეხვედრისას, ჯონ პოდესტას უამრავი შეკითხვა დაუსვეს. პოდესტამ ყველა დაინტერესებულ პირს პასუხი ცნობილი ტელესერიალის — „საიდუმლო მასალების“ — ფრაზით უპასუხა: „სიმართლე სადღაც ჩვენს გვერდითაა“.

პოდესტამ ბილ კლინტონის ადმინისტრაცია 2002 წელს დატოვა და საკმაოდ ხმაურიანი განცხადებით მიიპყრო მასმედიის ყურადღება — მან საჯაროდ მოითხოვა პენტაგონისგან, უცხოპლანეტელებთან კონტაქტის აღიარება და მათ შესახებ ინფორმაციაზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნა: „ამერიკელ ხალხს უნარი აქვს, სიმართლეს თვალი გაუსწოროს — ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს“, — განაცხადა მაშინ პოდესტამ.

2014 წლის იანვრიდან ჯონ პოდესტა უკვე ბარაკ ობამას მრჩევლის რანგში გვევლინება. ინტერნეტმასალების მიხედვით, მან თავის სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ აღიარა, რომ, სამწუხაროდ, თეთრი სახლი უარს ამბობს, ამერიკელებს მფრინავი თეფშებისა და მისი ბატონ-პატრონების შესახებ არსებული დოკუმენტები „გაუხსნას“.

### ობამას საიდუმლო?

ჯონ პოდესტას არც ბარაკ ობამას დროს დაუკლია მცდელობა, როგორმე გმო-სთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გასაიდუმლოებისათვის მიეღწია. მან არაერთხელ მოუწოდა ამისკენ ბარაკ ობამას, მაგრამ ამაოდ.

ინტერნეტწყაროს ცნობით, შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიისას თავიანთ სასარგებლოდ ხშირად იყენებენ ხოლმე უცხო ცივილიზაციათა თემას — ისინი ამომრჩეველს ჰპირდებიან, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ამ თემასთან დაკავშირებულ საიდუმლოებას ფარდას ახდიან. თუმცა ეს დღემდე არავის გაუკეთებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ, სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ამერიკელთა თითქმის 55 სჯერა მფრინავი თეფშების, ხოლო 15 პროცენტი იფიცება, „გმო პირადად ვიხილეო“. მაშინ, დამეთანხმებით, ამომრჩეველთა მოხიბვლა „თეფშების“ თემით ნამდვილად ღირს.

პოდესტას კოლეგის — ადვოკატ სტივენ ბაპსუტის აზრით, ამ კუთხით საკმაოდ ბევრს მოელოდნენ ობამასაგან — კერძოდ, იმას, რომ იგი ახალ კონგრესზე მოახდენდა გავლენას და უცხოპლანეტელების საქმესთან დაკავშირებით მოსმენები დაიწყებოდა. თუმცა მოლოდინი მოლოდინად დარჩა. ისე, ობამასთან დაკავშირებით, უცნაური ხმები არაერთხელ გავრცელდა. მაგალითად, როგორც ინტერნეტწყარო იტყობინება, 2011 წელს თეთრმა სახლმა საშობაო მისალოცი ღია ბარათები დაარიგა. ერთ-ერთი მათგანი ერთმა ქალბატონმაც მიიღო ჩრდილოეთ დაკოტადან. სწორედ მან აღმოაჩინა, რომ ღია ბარათიდან გამოუცნობი მფრინავი ობიექტი „გვაწონებს“ თავს, თუმცა მის შესამჩნევად საკმაოდ მახვილი მზერა გახლდათ საჭირო.

მოარული ხმებით, 2009 წელს, ბარაკ ობამას პრეზიდენტად ინაუგურაციის ცერემონიალზე, გამოუცნობი მფრინავი ობიექტიც მოფრინდა. გმო რამდენჯერმე საინფორმაციო სააგენტოს კამერის ობიექტივმაც კი დააფიქსირა.

იყო კიდევ ერთი სიტუაცია — 2012 წელს ვაშინგტონში გაიმართა კონფერენცია. მისი მსვლელობისას ვიდეოკამერებმა უცნაური პიროვნება დააფიქსირეს. იგი სწორედ ობამას სიტყვით გამოსვლისას შემოვიდა დარბაზში და მისი პირადი დაცვის პოზიცია დაიკავა. ეს ობიექტი, მართლაც, უცხოპლანეტელს წააგავდა და მის შესახებ, უცნაური ჰაბიტუსის გამო, ვერაფრით იტყოდი, ადამიანიაო. ამ მომენტის ამსახველი ვიდეორგოლის ნახვა ნებისმიერს შეუძლია ინტერნეტსივრცეში.

### სხვა პრეზიდენტებიც...

არაერთ ამერიკელ პრეზიდენტს გამოუხატავს გმო-ს მიმართ ინტერესი. როგორც ყოფილი მაღალჩინოსანი მილტონ კუპერი ირწმუნებოდა, ერთ-ერთი მათგანი — პრეზიდენტი ეიზენჰაუერი — პირადად შეხვდა „უცხოებს„ და 59-ე ზონაში მდებარე მათ სამყოფელს ხშირად სტუმრობდა კიდეც. ამ თემაზე მხატვრული ფილმიც არის გადაღებული. მალე მილტონ კუპერი უცნაურ ვითარებაში მოკლეს.

შტატების ერთ-ერთი პრეზიდენტი — ჯერალდ ფორდი — მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ გაერკვეოდა გმო-ს ამბებში. მან განაცხადა: „ამერიკელ ხალხს აქვს უფრო დაწვრილებითი კვლევებისა და ახსნის უფლება, ვიდრე ეს აქამდე კეთდებოდა. მე ვიმედოვნებ, რომ მეცნიერებისა და ასტრონავტიკის კომიტეტი, ანდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტი, დღის წესრიგში გმო-ზე მოსმენებსაც შეიტანს„.

ჯონ კენედის მკვლელობა ხომ დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე კენედიმ განაცხადა, რომ აპირებს ერთ დიდ საიდუმლოს ჩამოხსნას ფარდა ამერიკელი ხალხის წინაშე. როგორც ვარაუდობენ, ეს საიდუმლო სწორედ უცხო ცივილიზაციების თემას ეხებოდა.

პრეზიდენტი ჯიმ კარტერი საპრეზიდენტო კამპანიისას, როგორც ინტერნეტწყარო იუწყება, ასე აცხადებდა: „გმო-სთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას, რაც ქვეყანას გააჩნია, ხელმისაწვდომს გავხდი საზოგადოებისა და მეცნიერთათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ გმო არსებობს“.

კარტერმა თავისი სიტყვა ნაწილობრივ შეასრულა — მისი პრეზიდენტობისას უფოლოგებმა „საიდუმლოს“ გრიფმოხსნილ დოკუმენტებზე მუშაობის უფლება მიიღეს, მაგრამ არა ყველა მათგანზე. თავად ჯიმ კარტერი საჯაროდ აღიარებდა, რომ პირადად იხილა მფრინავი თეფში. ამან მასზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო 1969 წლის 6 იანვარს: კარტერმა ცაზე თეფში დაინახა, იგი მას ასე აღწერდა: „ეს იყო ყველაზე საშინელი რამ, რაც კი აქამდე მინახავს“. თეფში იყო „დიდი, ძალიან კაშკაშა და ფერებს იცვლიდა!.

რაც შეეხება მამა-შვილ ბუშებს, ვერც ისინი ასცდნენ მფრინავი თეფშების თემას. ორივე მათგანს სხვადასხვა დროს უფოლოგმა ჩარლზ ხაფერმა დაუსვა „ჩამჭრელი“ კითხვა — „აპირებთ თუ არა ადამიანებს სიმართლე უთხრათ მფრინავი თეფშების შესახებ?“

რაღა თქმა უნდა, ეს კადრები უამრავი საინფორმაციო სააგენტოთი და სატელევიზიო კომპანიების მიერ დაფიქსირდა. უმცროსი ბუშის შემთხვევაში, როგორც ჟურნალისტების, ასევე მაყურებლებუს ყურადღება, ერთმა მომენტმა მიიპყრო: ჯორჯ ბუშ-უმცროსმა ჩარლზ ხაფერს გვერდით მყოფ დიკ ჩეინზე მიუთითა და უთხრა: „რა თქმა უნდა! ამით, პირველ რიგში, აი, ეს დაკავდება... ამის სრული უფლება აქვს!„

ინტერნეტში გავრცელებულია ერთი ფოტო, სადაც ჯორჯ ბუშიუმცროსის ზურგსუკან „უცხოს“ ფიგურა ფიქსირდება. იქნებ ეს ფოტოშოპია და სხვა არაფერი? ინტერნეტი ხომ გავსებულია ამგვარი ფოტონახელავებით? მაგრამ, როგორც ირწმუნებიან, ეს კადრი ამოღებულია 2007 წლის 31 აგვისტოს თეთრ სახლში გამართული პრესკონფერებციის ტელერეპორტაჟიდან. ამ პრესკონფერენციას ერთდროულად აშუქებდა შტატების რამდენიმე ტელეკომპანია და მათ შორის CNN-იც.

ექსპერტების განცხადებით, კადრში რაღაც უცნაური საგნის ანარეკლი მოხვდა, რომელიც უცხოპლანეტელს წააგავს, მაგრამ თავად რა საგანია ეს? – ამაზე ვერსიები არ არის, თუმცა ეს შემთხვევა, ალბათ, უფრო გაზვიადებულია.

### ტაბუირებული თემა

ბილ კლინტონთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ისტო-



რიის გახსენება შეიძლება, ამ ფაქტის შესახებ ინტერნეტსივრცეში რუსი უფოლოგი მიხეილ გერშტეინი მოგვითხრობს:

„1995 წლის 30 ნოემბერს ბილ კლინტონი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩრდილოეთ ირლანდიაში. ერთ-ერთ გრანდიოზულ შეხვედრაზე მან სპეციალურად მოუხადა მადლობა ირლანდიელ ბავშვებს გამოგზავნილი ათასობით წერილის გამო. მერე კი განაცხადა, რომ განსაკუთრებული სურვილი აქვს, ერთი პატარა ბიჭის შეკითხვას უპასუხოს:

„რაიან, თუ შენ ახლა ამ ხალ-



ხის ნაკადში იმყოფები, აი, შენ ჩემი პასუხი კითხვაზე: არა, რამდენადაც მე ვიცი, როსუელში 1947 წელს არანაირი უცხო ცივილიზაციის ხომალდი არ დამსხვრეულა. რაიან, თუნდაც შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს აეკრიფათ კიდევაც უცხოპლანეტელთა ცხედრები, სულერთია, მე ამას მაინც არავინ მეტყოდა.

ეს მეც მინდა ვიცოდე“.

ყველას გახსოვთ, ალბათ, კლინტონის გარშემო აგორებული სკანდალი მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებით. გამოძიების მსვლელობისას პროკურორმა კენეტ სტარმა ოვალურ კაბინეტში არსებული წიგნების სია შეადგინა. სიაში ერთ-ერთი უფოლოგების – რენლისა და შმიდტის – წიგნი – „გმო-ს ავარია როსუელში“ აღმოჩნდა.

ამბობენ, რომ, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, ბილ კლინტონმა თავის თანაშემწეს – ვერნერ ხაბელს – უბრძანა, გამოერკვია: „ვინ მოკლა კენედი და რეალურად, რა ხდება გმო-სთან დაკავშირებით“. მაგრამ თუ რა გაარკვია თანაშემწემ, ამას არანაირი წყარო აღარ იტყობინება.

უფოლოგებმა გამოთვალეს, რომ ბილ კლინტონმა და მისმა მეუღლემ – ჰილარმა – თავიანთ საჯარო გამოსვლებში (მმართველობის წლებში) სულ 26-ჯერ მოიხსენიეს უცხოპლანეტელები. პრეზიდენტობის პოსტიდან მიმავალმა ბილ კლინტონმა, რომელსაც თავი მობეზრებული ჰქონდა სასამართლო გარჩევებით, ასე იხუმრა: „აი, ჩვენ რომ უცხოპლანეტელები დაგვესხნენ თავს, მაშინ ასეთი თამაშისთვის აღარავის ეცლება“. მფრინავი თეფშების თემას თავიანთ შეხვედრებში სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებიც ეხებოდნენ ხოლმე. ცნობილია, რომ ასე მოხდა 1985 წლის 19 ნოემბერს, რონალდ რეიგანისას და საბჭოთა კავშირის პირველი პირის – კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის – მიხეილ გორბაჩოვის – შეხვედრისას. რეიგანმა თურმე გორბაჩოვს უთხრა: „აი, დედამიწელებს რომ გაეგოთ, ჩვენთან კომეტა გალეადან უცხოპლანეტელები მოფრინავენ თავდასასხმელადო, ეს ყველა ხალხს გააერთიანებდა“.

გვერდით მჯდომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც შესანიშნავი იუმორის გრძნობა ჰქონდა, ამაზე რეიგანისთვის ასეთი პასუხი გაუცია: „რა თქმა უნდა, და მაშინ არც შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრები იქნებოდა საჭიროო“.

ცნობილია,. რომ თავისი პირადი თვითმფრინავით მგზავრობის დროს მფრინავი თეფში რონალდ რეიგანმაც იხილა. თავის დროზე ისიც გატაცებული გახლდათ ამ თემით. ამბობენ, რომ სპილბერგის „უცხოპლანეტელის“ დახურულ ჩვენებას რეიგანიც ესწრებოდა. ფილმის დასრულების შემდეგ მან თურმე რეჟისორს მხარზე ხელი მოუთათუნა მოწონების ნიშნად და ასე უთხრა: „აქ, ამ ოთახში, 6 ადამიანსაც კი ვერ იპოვი, რომლებმაც იციან, თუ რამდენად მართალია ეს“.

ამბობენ, რომ შეერთებული შტატების ყოველი ახალი პრეზიდენტის არჩევისას, სათანადო სამსახურების წარმომადგენლებს იგი მასმედიისთვის გასაიდუმლოებულ ერთ-ერთ კაბინეტში შეჰყავთ, რომელსაც „მწვანე ოთახს“ ეძახიან. ამ „მწვანე ოთახში“ სპეციალურ მოწყობილობებსა და სპეციალურ ხსნარში უცხო ცივილიზაციების წარმომადგენელთა გაყინული სხეულებია დაცული. ეს თითქოს ერთგვარი „ნათლობის“ რიტუალია, რომლის დროსაც სუპერსახელმწიფოს მეთაურს უჩვენებენ – „ამ სამყაროში ჩვენ მარტონი არ ვართ“.

მართალია თუ არა „მწვანე ოთახის“ ისტორია, ცხადია, ვერასდროს შევტყობთ. რუსმა ჟურნალისტებმა მის შესახებ რუსეთის პრეზიდენტს – პუტინს ჰკითხეს. პუტინის თქმით, ამერიკაში სტუმრობისას მას არავითარი „მწვანე ოთახი“ არ უნახავს. რაც შეეხება ქვეყნის პირველ პირებს, ამერიკელებისგან განსხვავებით, მფრინავი თეფშების თემაზე მათ შესახებ ამდენი ჭორ-მართალი არ მოიძებნება.

რაც შეეხება უფოლოგთა იმედს, რომ რომელიმე პრეზიდენტი სიმართლეს აღიარებს ამ ტაბუირებულ თემაზე, ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმისტური მოლოდინია – ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მსგავს თემებთან დაკავშირებით თვით პრეზიდენტებსაც კი არა აქვთ თავისუფლება და რომ ეს ყველაფერი მათზე დამოკიდებული არ არის.

**ჟურნალი „ფენომენი“,**
**№12, 2015 წ.**

# „ირმის ნახტომმა“ ჩემი თაობა უფსკრულში გადაახტუნა



„ირმის ნახტომი“ საქართველოს განათლების სამინისტროს „მონაპოვარია“, რომელმაც საბოლოოდ უფსკრულში ჩაუშვა და სრული უმეცრებისთვისა და უხეში საგანმანათლებლო ცდებისთვის გაიმეტა ოცდამეერთე საუკუნის ქართველი ბავშვები.

ეს საგანმანათლებლო პროგრამა ჩემი თაობისთვის კარგად ნაცნობია, მისი „დამსახურებით“ მივიღეთ ილუსტრირებული, ინფორმაციულად მწირი ფურცლების დასტა, რომლებსაც წიგნებს უწოდებენ და არაფრისაგან არაფერი წარმოიშობა ბავშვების თავში. უფრო ნათლად რომ დაინახოთ, „ირმის ნახტომი“ მოიცავდა ახალ საცდელ პროგრამას, რომლის მიზანი იყო მოკლე დროში საგნების უკეთ ათვისება. ცხრა თვე სამ სემესტრად გაიყო. თითო სემესტრი დაეთმო ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის სწავლას. ერთ სახელმძღვანელოში გაერთიანდა „ისტორია-გეოგრაფია“. გეოგრაფიის მასწავლებელს ევალებოდა ისტორიაც ესწავლებინა ბავშვებისთვის. ქართული ენა პროგრამიდან ამოიღეს და გრამატიკის გარეშე ვსწავლობდით მშობლიურ ენას. სწრაფი ნახტომით განიცდიდა ტვინი დეგრადაციას. თავისუფლების თავისებურმა ინტერპრეტაციამ აღრევა გამოიწვია და თანამედროვე პაპუასებს დავემსგავსეთ. ორივე მხარეს უფლებები გააჩნდა, მოვალეობები კი არავის ახსოვდა მაშინ, როცა მოვალეობები წარმოშობენ უფლებებს. ამას დაუდეს წინაპირობად მანდატურის ინსტიტუტის შემოღება საჯარო სკოლებში, რომლის მეშვეობითაც თითქოს ძალადობა და აგრესია უნდა აღმოეფხვრათ ბავშვებში.

ახალი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. დერეფნისაგან გამოყოფილი საკლასო ოთხი ცალკე სამყაროს წარმოადგენდა, რადგან მანდატურს დერეფანში გადაადგილება ევალებოდა და ყველაფერზე კონტროლი. ბავშვებზე ძალადობა ფიზიკურად თუ ფსიქიკურად კვლავ გრძელდებოდა, ერთი განსხვავებით... ახლა კიდევ უფრო ჩუმად.

სკოლა სამყაროს ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მორჩილებას ასწავლის და უსამართლობაზე თვალის დახუჭვა ჩვეულებრივ ნორმად არის მიღებული. ფორმალური განათლება, როგორც წესი, გაწერილია პროგრამულად და ინდივიდის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, მის ადაპტაციას სოციუმთან, ისე, რომ საკუთარი პიროვნება წარმოაჩინოს და საკუთარი თავის რეალიზება შეძლოს სამყაროში, ამის ნაცვლად სკოლა ბავშვების უმეტესობას, დამატებითი კომპლექსების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

ბუნებრივია, გაგიჩნდებათ კითხვა, ნუთუ ამდენად ცუდია სკოლა ან რამ გამოიწვია ჩემში მსგავსი კრიტიკული მიდგომა და გააჩნია თუ არა სკოლას დადებითი მხარეები?!

ჩემში პროტესტს იწვევს მხოლოდ ფურცელზე კარგად აწყობილი სისტემა, რომელიც პრაქტიკაში გამოუსადეგარია. სწავლობდე ერთს, საგამოცდოდ გთხოვდნენ მეორეს და ფულს იხდიდე უვიცობის შეძენაში, ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვზე, არამედ, უპირველესად, ქვეყნის განვითარებაზე. განათლება საწყისია ყოველივე კარგის, რომლის მეშვეობითაც გონებას თვალის ჩინი უძლიერდება და შესაძლებელი ხდება სამყაროს მრავალფეროვნების აღქმა...

პედაგოგის როლი ძალიან დიდია საგანმანათლებლო პროცესში. იგი უნდა წარმოადგენდეს პიროვნებას, რომელსაც შესწევს უნარი, გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამომუშავებული აქვს ის თვისებები, რომლითაც ბავშვთან კონტაქტის დამყარება და მისი აღზრდა შესაძლებელი იქნება. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ის მასწავლებლები, რომლებიც ღირსეულად უძღვებიან თავიანთ პროფესიულ საქმიანობას – იშვიათია და მოსწავლეების უმრავლესობას არ უმართლებთ ისე, როგორც, მაგალითად, მე გამიმართლა და აღმოვჩნდი თავიანთი საქმის პროფესიონალებთან. სისტემა ვერ აფასებს მნიშვნელოვან კადრებს, რომლის მოვალეობაა აღზარდოს თაობა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყანას უნდა ჩაუდგეს სათავეში და ისტორია გააგრძელოს. დღეს გონებრივი ომია მსოფლიოში, სადაც განათლების ხარისხი უმნიშვნელოვანესია. ქვეყანა, რომელიც ცდილობს განვითარდეს, განათლებას პრიორიტეტად მხოლოდ ქაღლდზე ისახავს, სინამდვილეში კი საყოველთაო გაუნათლებლობას გვთავაზობს. ჩვენ ქვეყანაში მხოლოდ „ბიძიას შვილობა“ ამართლებს. რეალურ ცოდნას აქ გასაქანს არ აძლევენ და ქვეყნის ტვინებს ყოველდღიურ მატერიალურ ტვირთს ჰკიდებენ – „იქნებ თავი დავიპუროო“, საბოლოოდ კი აქედან წასვლა უხდებათ.




დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, „ირმის ნახტომით“ ჩემი თაობის უმეტესობა სადღაც გადახტა, საიდანაც ამოხტომა უკვე ჭირს და მომავალიც საფრთხეშია, რადგან სისტემაში უკეთესობისკენ არაფერი იცვლება. ქვეყანა ერთ ადგილზეა. სხვები წინ მიდიან, ჩვენ უკან ვრჩებით...

**სალომე საჯაია**
სტუდენტი

# მოვასმენინოთ ახალ თაობას გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხული „ბიბლია“!..

## ტკბილ-მწარე სათქმელი განათლების სამინისტროსა და საზოგადოებრივი ტელეარხის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!



გოგი ხარაბაძემ, ამ უნიჭიერესმა კაცმა, ქართული სამსახიობო ხელოვნება, ქართული სიტყვა გაიხადა სულის მეოხად.

სრულიად ცალკე აღნიშვნის ღირსია მხატვრული კითხვა გოგი ხარაბაძისა, მისი ტელეთეატრი, სადაც გოგიმ, უფროსი თაობის ტელემაყურებლები დამეთანხმებიან, დიდი შთაგონებით კინოენაზე აამეტყველა „ბიბლია“, „წმინდა ოთხთავი“, ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით კლდიაშვილის ცხოვრების განსაკუთრებული ეპიზოდები და, ჯერჯერობით, ერთადერთმა, ტელეგადაცემებში მიიღო კიდეც რუსთაველის პრემია. ჰოდა, როგორც იტყვიან, სიტყვას მოჰყვა: **სად არის დღეს გოგის ტელეთეატრის ეს შედევრები?!** დღეს, ასე უსაშველოდ არეულ საქართველოში, დღეს, ამ გაუთავებელი შოუებისა და, უკაცრავად პასუხია, კაბაწამოხდილი გოგო-ბიჭების ტკარცალ-ჭიხვინის დროს ახსოვს ან სჭირდება კი ვინმეს უწმინდესი „ბიბლიური“ შეგონებანი, ანდა ჩვენი კლასიკოსების ცხოვრების ეპიზოდები?!



თუ ჩვენს კათოლიკოს-პატრიქრქს მოვუსმენთ, თურმე, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ეს ბიბლიური შეგონებანი მოვისმინოთ დიდ-პატარამ!

აი, როგორ გამოეხმაურა თავის დროზე ჩვენი უწმიდესი გოგი ხარაბაძის ჩანაწერებს: **„ტელეგადაცემები იყო იმდენად შთამბეჭდავი, რომ მრავალს აღეძრა სურვილი წმინდა წერილის ღრმად შესწავლისა, სულიერ სამყაროსთან მიახლოებისა. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში იგი გავრცელდება კასეტების სახით. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდების, საერთოდ, ყველა დაინტერესებული ადამიანის სულიერ წინსვლას“**, – ბრძანებს უწმიდესი.

ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ეს თვალსაზრისი ვერ შეისმინა მაშინ ვერც განათლების სამინისტრომ და ვერც საქტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელობამ. ის კი არა, როგორც გავიგე, **საზოგადოებრივი არხის საცავებში უპატრონოდაა ჩაყრილი ეს უნიკალური ჩანაწერები!** არადა, თვალწინ უნდა გეწყოთ, ბატონებო, ისინი! იქნებ, მაშინ მაინც გაგიჩნდეთ იდეა, რომ შაბათს ან კვირას, ერთი ნახევარი საათი მაინც დაუთმოთ „სახარების“ კითხვას! ნუთუ, ასე მოსაწყენი იქნება იგი?! ნუთუ, ასე აუტანელი იქნება, აგრეთვე, ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით კლდიაშვილის ცხოვრებისეული ეპიზოდების გაცნობა?! პირიქით!

**განა მხოლოდ საზოგადოებრივ არხს, მე მოვუწოდებ დანარჩენ ტელეარხებსაც (საპატრიარქოს ტელეარხი „ერთსულოვნება“, თავისებურად, უკვე აკეთებს ამას), როგორმე დაუთმონ დრო „ბიბლიის“ კითხვას გიორგი ხარაბაძის მიერ! (ერთი ოცი წუთი, ნახევარი საათი, თუ არ იქნება კომერციული, ეგ არ გაგაღარიბებთ, სამაგიეროდ, სახალხო საქმედ ჩაგეთვლებათ), დამიჯერეთ, ბატონებო, ტელეარხების ხელმძღვანელობავ, უამრავი ტელემაყურებელი კმაყოფილი დარჩება თქვენგან!**

კეთილი ინებეთ, ქალბატონო განათლების მინისტრო, ჩვენი უწმიდესისა და უნეტარესის სურვილს მაინც ეცით პატივი და „ბიბლია“ კასეტების სახით გაავრცელეთ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რათა გაკვეთილებსა და ლექციებს შორის შესვენებისას გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხული „ბიბლია“ მოისმინონ ჩვენმა მოსწავლეებმა და სტუდენტობამ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

# საქველმოქმედო აქცია- კონცერტი „ნაბიჯი ზუგდიდი“

ა/ო „ნაბიჯი ზუგდიდი“ დაფუძნდა 2015 წელს. ორგანიზაციის მიზანია ქალაქ ზუგდიდსა და მის მუნიციპალიტეტში, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის და მოზარდებისთვის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო- პირობების შექმნა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მემორანდუმის საფუძველზე უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადმოგვცა 485 კვ.მ ფართი რომელიც მდებარეობს აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრისპირა სოფელში.

არსებული ფართი არ არის გარემონტებული და ადაპტირებული შესაბამისად, დღის ცენტრის ფუნქციონირება შეფერხებულია.

სწორედ ამიტომ, ცენტრმა გადაწყვიტა ძალიან მნიშვნელოვან და პრობლემატურ თემაზე საზოგადოების დახმარებით მიმდინარე წლის 14 მარტს გამართოს აქცია-კონცერტი, სადაც მოეწყობა ცნობილი ადამიანების, საზოგადო მოღვაწეების პირადი ნივთების გამოფენა-გაყიდვა აუქციონის წესით. შემოსული თანხა სრულად მოხმარდება დღის ცენტრის სარემონტო სამუშაოებს.





საღამოს წამყვანები - სალომე გოგიაშვილი და გოდერძი შარაშია.

მუსიკალური გაფორმება - თეატრალური კვარტეტი, ელენე ფოჩხუა, გიორგი სუხიტაშვილი, ნინი ბადურაშვილი, ლელა წურწუმია.

აქცია-კონცერტი გაიმართება, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

დასწრება თავიდუფალია.

გავერთიანდეთ კეთილი საქმის ირგვლივ და შევუქმნათ სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ ბავშვებსა და მოზარდებს ახალი შესაძლებლობები.

მხარდამჭერები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკოს ჯანდაცვის სამინისტრო; ზუგდიდის მუნიპალიტეტის გამგეობა; რადიო „აფხაზეთის ხმა“; რადიო „ათინათი“; smo.ge; reportiori.ge;

საკონტაქრო პირი: **მაიკო ცნობილაძე**

კოორდინატები: ქ. ზუგდიდი წმ. ნინოს16

ტელ: **00995 591 05 60 92**

e-mail: **rusidzemaia95@gmail.com**

**nabijizugdidi@gmail.com**

# „ნაშები“ და შეყვარებულები



ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ქართველი კაცები მიემართობოდნენ მოსკოვსა თუ კიევში, რომ იქაურ ქალებთან გაეტარებინათ დრო, „მოეხვეჭათ სახელი“, ისე, რომ საკუთარი ცოლებისა თუ შეყვარებულების პატიოსნება არ შეებღალათ. საუბედუროდ, საქართველოში ვითარება დღემდე არ შეცვლილა, თანამედროვე კაცებიც, მიუხედავად შეცვლილი აზროვნებისა, ვერ გადაეჩვივნენ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ქალებთან ურთიერთობას. ამ ფენომენის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ქართველი კაცისა და ქალის ჩარჩოებში მოქცეული სასიყვარულო ურთიერთობები. კაცის ურთიერთობა შეყვარებულთან, ანუ ქალთან, რომელიც უყვარს და პატივს სცემს, განსხვავდება მისი ურთიერთობისგან ქალთან, რომელთანაც, უბრალოდ, „ერთობა“. ეს ქცევა ტრადიციული, ნორმატიული მამაკაცურობის გაგებითაა გამოწვეული. ინგლისელმა სოციოლოგმა ენტონი გიდენსმა ტრადიციული, ნორმატიული მასკულინობა რამდენიმე ერთობლიობით ჩამოაყალიბა. მაგალითად, კაცების მისწრაფება, დომინირებდნენ სხვა კაცებზე. მათ ასევე აქვს ორმაგი სტანდარტები. მაგალითად, არის ქცევები, რომელიც მიღებულია კაცებისთვის, მაგრამ მიუღებელია ქალებისთვის. ასეთი მამაკაცები გენდერულ სხვაობას იღებენ, როგორც ბუნებრივ მოცემულობას, ქალებს თვლიან ნაკლებად ძლიერ და რაციონალურ არსებებად, ალიქვამენ ქალს პრობლემად და ჩვენი თემის შესაბამისი ერთ-ერთი ერთობლიობა ერთობლიობით, რომელიც ქალებს ჰყოფს „სუფთებად“ და „ბინძურებად“, ანუ ქალებად, რომლებზეც შეიძლება დაქორწინდე და რომელზეც არ შეიძლება ქორწინება.

საინტერესოა, რას ამბობენ კაცები, რატომ ჰყოფენ ისინი ქალებს ამ კატეგორიებად და რა არის ამის მიზეზი.

კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, რა კრიტერიუმებით არჩევენ კაცები შეყვარებულებს და „ნაშებს“, როგორ ასხვავებენ მათ ერთმანეთისგან. ასევე, როგორ არჩევენ ისინი ორივე კატეგორიის ქალთან შესახვედრ ადგილებს.

თითოეული ჩვენი რესპონდენტი შეყვარებულისგან ითხოვდა განათლებას, გემოვნებიანობას, ერთგულებას. არ მოსწონთ გოგონები, რომლებიც არიან ეჭვიანები და ბევრს ლაპარაკობენ. იყო უფრო საინტერესო პასუხებიც:

„გარეგნულად უნდა იყოს ჩემთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი, უნდა იყოს ერთგული, გამგები, თბილი, ღირსეული, ნატიფი, დახვეწილი და IQ უნდა ჰქონდეს ბარბის თოჯინაზე მაღალი.“

„ერთგული, თბილი, სექსუალური, დიდი და პატარა უნდა იცოდეს.“





ჩვენი რესპონდენტები „ნაშებად“ ერთხმად აღიარებდნენ ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ბევრი სექსუალური პარტნიორი დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ, ამასთანავე, ქალის თავისუფალი სექსუალური ცხოვრება მათთვის არ ასოცირდებოდა „ნაშობასთან“. ინტერვიუების გაანალიზების შემდეგ გაირკვა, რომ ქალების კლასიფიკაციას თავად ქალები განაპირობებენ საკუთარი ჩაცმულობითა და ცხოვრების სტილით.

„ნაშასთან“ მიმართებაში ხშირად ისმოდა ფრაზა „მსუბუქი ყოფაქცევა“, მაგრამ, ამასთანავე, ცალკე გამოყოფდნენ ქალს, რომელიც სექსში ფულს იღებს.

ჩვენი რესპონდენტებისთვის შეყვარებულები და „ნაშები“ გარეგნულად განსხვავდებიან, რადგან ნაშა აუცილებლად სექსუალური და მიმზიდველი უნდა იყოს:

„ნაშას ვირჩევთ მისი მიმზიდველი ტანით, სახით. შეყვარებული შეიძლება იყოს უბრალო გარეგნობის, მაგრამ, როდესაც სიყვარულია, დანარჩენ რაღაცებს არ ენიჭება მნიშვნელობა.“

მათთვის ერთობ მნიშვნელოვანია შეყვარებულის ჩაცმის სტილი, ისინი უპრობლემოდ მისცემენ მას შენიშვნას ან ურჩევენ რამეს, თუ არ აკმაყოფილებთ მისი ჩაცმულობა, „ნაშის“ ჩაცმულობა კი არ აინტერესებთ.

„ნაშის“ ყოლის უმთავრეს მიზეზად ყველამ ერთხმად სექსუალური დაუკმაყოფილებლობა და შეყვარებულებთან სექსუალური ცხოვრების არარსებობა დაასახელა.

მამაკაცთა უმრავლესობა შეყვარებულთან დროის გასატარებლად უფრო წყნარ, შინაურ გარემოს ირჩევს, იქნება ეს სამეგობრო წრე თუ რომანტიკული ვახშმები, რაც მიმართულია მათი უკეთესად გაცნობისთვის. „ნაშის“ შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა, უპირატესობა ენიჭება უფრო „გასართობ“ ადგილებს, ყველაზე ხშირი პასუხია - კლუბი.

„შეყვარებულთან სიმღერებით გავატარებდი დროს ყველგან, მაგალითად, აუზზე, ზღვაზე, კლუბში, რესტორანში, კინოში, პოეზიის საღამოზე, თუნდაც, თეატრში.“

„შეყვარებულთან ყველგან წავალ, ეკლესიაშიც.

ნაშასთან გასართობ და ნაკლებად რომანტიკულ ადგილებში.“

„ნაშა“ რისთვისაც მომყავს ვიცი. სურვილი მისი კარგად გაცნობის და რაღაც ფილოსოფიური საუბრის არ მიჩნდება, ამიტომ მეტად გასართობ ადგილებს ვანიჭებ უპირატესობას, შეყვარებულთან კი წავალ ყველგან, თუნდაც ექსკურსიაზე, სადმე ბუნებაში, სადაც უბრალოდ მხიარულად და ტკბილად გავატარებ დროს.

„ნაშასთან“ უფრო რაღაც ინტიმური „ნამიოკი“ უნდა ჰქონდეს ადგილს.“

„შეყვარებულს რომანტიკული თვალსაზრისით, მეგობრულ და მყუდრო გარემოში შევხვდები. ნაშასთან არანაირი, რადგან ორივემ ვიცით, რა გვინდა ერთმანეთისგან და „ლიშში“ მალე მოვშორდეთ იმ ადგილს, სადაც ვიქნებით.“

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა საკმარისი ინფორმაცია დასკვნის გასაკეთებლად.

საქართველოში მამაკაცები ნამდვილად ანაწილებენ სივრცებს ქალების კატეგორიებად დაყოფით, როგორიცაა, შეყვარებული და „ნაშა“, მკვეთრი განსხვავებაა როგორც მათ მიმართ დამოკიდებულებებში, არამედ უფრო მეტიც, ისინი ამ ორ კატეგორიას სრულიად მიჯნავენ ერთმანეთისგან.



**სალომე კვარაცხელია**
სტუდენტი

# ჯონ დევისონ როკფელერი - ადამიანი, რომელმაც ამერიკა იყიდა



**1917 წლისთვის ჯონ როკფელერის ქონება 1 მლრდ. დოლარს შეადგენდა. ახლა ეს თანხა უზარმაზარი სულაც არ გვეჩვენება, მაგრამ შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ იმ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი 715 მლნ. დოლარს შეადგენდა. უბრალო არითმეტიკითაც ნათლად ჩანს, რომ როკფელერს შეეძლო მთელი წლის განმავლობაში შეენახა მთელი ამერიკა და კიდევ საკმაო თანხა დარჩებოდა.**

### წინააღმდეგობრივი აღზრდა

ჯონ დევისონ როკფელერი, ანუ ჯონ დ., როგორც მოგვიანებით საკუთარ თავს უწოდებდა, 1839 წლის 8 ივლისს დაიბადა ნიუ-იორკთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ რიჩფორდში, უილიამ და ელიზა როკფელერების ოჯახში.

ეს ძალზე უცნაური ოჯახი გახლდათ. ჯონის დედა ბაპტისტი იყო, იგი მკაცრად ზრდიდა ბავშვებს, პატარაობიდანვე აჩვევდა ასკეტიზმს, დისციპლინას და მკაცრ ეკონომიას, ამასთან, ახალისებდა მათში კომერციული მიდრეკილებებს. ასე, დედის თანხმობით, პატარა ჯონი მთელი თავისი ფულით კანფეტებს ყიდულობდა და შემდეგ უფრო ძვირად ასყიდიდა თავის დებსა და ძმებს.

მამა დედისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა და ბავშვობიდანვე ზიზღს იწვევდა მომავალ მილიარდერში. უილიამ როკფელერს, რომელიც უფრო ცნობილი იყო სახელით დიდი ბილი, ბევრი არაკანონიერი შვილი ჰყავდა, ხშირად იკარგებოდა და კანონთან პრობლემების გამო იძულებული იყო, დამალულიყო. ზოგჯერ იგი მთელი წლითაც იკარგებოდა და ამ დროს ოჯახი ვალებში ვარდებოდა და შიმშილობდა. შემდეგ დიდი ბილი უეცრად გამოცხადდებოდა, მდიდრულად ჩაცმული, გაბღენძილი და აქეთ-იქით ფანტავდა ფულებს. ჯონს იმდენად აღიზიანებდა მამის ასეთი ქცევა, რომ, როგორც კი ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფა შეძლო, ოჯახი სხვა ქალაქში გადაიყვანა საცხოვრებლად და ბირჟაზე რეგისტრაციის დროს დედა ქვრივად გააფორმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გზააბნეული მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

### დღესასწაული მთელი სიცოცხლის განმავლობაში

ქალაქი, სადაც ჯონ როკფელერმა სამუშაო იპოვა და ოჯახი გადაიყვანა საცხოვრებლად, იყო კლივლენდი. 16 წლის ჯონს დამსაქმებლების წინაშე არაფრით შეეძლო თავი მოეწონებინა გარდა სამთვიანი საბუღალტრო კურსების დასრულებისა. სწორედ ამის გამო იყო იგი იძულებული, სამუშაოს ძებნაში ძალზე დიდი დრო დაეკარგა.

1855 წლის 26 სექტემბერს მოხდა მოვლენა, რომელსაც ჯონი შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზეიმობდა — ეს იყო მისი პირველი სამუშაო დღე. ჯონი ერთ-ერთმა ფირმამ, რომელიც საბროკერო მომსახურების გაწევით იყო დაკავებული, კლერკად აიყვანა. პირველი სამი თვე როკფელერი უსასყიდლოდ მუშაობდა, ეს იყო იმ დროისათვის ჩვეულებრივი პრაქტიკა. სამაგიეროდ, ამ დროის გავლის შემდეგ მას 50 დოლარი დაენიშნა, ახალგაზრდა მამაკაცისთვის უზარმაზარი თანხა. ჯონის პირველი შენაძენი იყო საბუღალტრო წიგნაკი, რომელშიც მან 5 ცენტი გადაიხადა. ამ, ამჟამად ლეგენდარულ წიგნაკში, როკფელერი პედანტურად იწერდა ყველა შემოსავალს და დანახარჯს. ჩანაწერებში არავითარი კომენტარი არ იყო, წერია მხოლოდ დოლარები და ცენტები.

1858 წლის 1 აპრილს ჯონმა, რომელმაც ამ დროისთვის ბიზნესის ყველა ძირითადი მექანიზმი შეისწავლა, საკუთარი ფირმა გახსნა. ფირმის გახსნის სურვილმა, მამის ზიზღიც დაამლევინა და მას ფული ესესხა. თავიდან ფიქრობდა, რომ ფქვილით და ღორის ხორცით ევაჭრა, მაგრამ მალე ნავთობის ბუმი დაიწყო.



### ნავთობი, როგორიც ის არის

XIX ს-ის შუა წლებამდე ამერიკაში ნავთობის მოპოვება პრიმიტიულ დონეზე ხდებოდა — უბრალოდ, ზედაპირზე ამოსულ ნავთობს ხაპავდნენ. 1859 წელს ვინმე ედვინ დრეიკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზედაპირზე ამომავალი ნავთობი მიწაში არსებული სიმდიდრის მხოლოდ მცირე ნაწილია. ესე იგი, საჭიროა ჭაბურღილების გაკეთება. ერთ-ერთმა სავარაუდო სპონსორის პასუხი, რომელსაც დრეიკმა წერილი მიწერა, ასე ჟღერდა: „ჭაბურღილის გაკეთება ნავთობის მოსაპოვებლად? მხედველობაში გაქვთ, რომ ნავთობის მოსაპოვებლად მიწა უნდა გაიბურღოს? თქვენ ხომ არ გაგიჟდით?“ — თუმცა, ნავთობის პირველივე შადრევანმა დაადასტურა, რომ ედვინ დრეიკი მართალი იყო.

ბურღვით ნავთობის მოპოვების მცდელობა კლონდაიკზე ოქროს მოპოვებას მოგაგონებდათ. სიჩქარე და სიხარბე, უსისტემობა და ქაოსი — აი, ასე შეიძლება დავახასიათოთ აშშ-ის ისტორიის ეს პერიოდი. ჯონ როკფელერი ერთ-ერთი პირველი მიხვდა, რომ ნავთობი შეიძლებოდა უწყვეტი შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო მისთვის, ვინც ამ საქმეში წესრიგს დაამყარებდა.

თავიდან როკფელერმა შექმნა ორგანიზაცია „სტანდარტ ოილი“ და შეიმუშავა ამ კომპანიის მუშაობის დაწვრილებითი გეგმა, რომელსაც შემდგომში ნავთობის ბიზნესის გლობალური მონოპოლიზაცია ეწოდა. გეგმის თანახმად, როკფელერმა უძლიერესი ფინანსური დარტყმა მიაყენა გაფანტულ ნავთობისა და სატრანსპორტო კომპანიებს. იგი ამ კომპანიებს ერთმანეთს უპირისპირებდა, ხან ერთს უჭერდა მხარს, ხან მეორეს, პოლიტიკოსებს აძლევდა უზარმაზარ ქრთამს, შედეგად კი მან იმას მიაღწია, რომ 1880 წელს „სტანდარტ ოილი“ უკვე აკონტროლებდა აშშ-ის თითქმის მთელ ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას.

მანქანების ფართოდ გავრცელებამ კომპანიისა და მისი თანამშრომლების შემოსავლების არნახული ზრდა გამოიწვია. თუ 1896 წელს „სტანდარტ ოილის“ აქციები ბირჟაზე 176 დოლარი ღირდა, 1899 წლისთვის მათი ფასი 458 დოლარამდე გაიზარდა. წესდების თანახმად, „სტანდარტ ოილის“ თანამშრომლები ხელფასს არ იღებდნენ. რადგან ყველა თანამშრომელი აქციების მგლობელი იყო, მათი სამუშაო ანაზღაურება დივიდენდების ფორმით ხორციელდებოდა. როკფელერი თვლიდა, რომ აქციების ფლობა უფრო მეტი სტიმული იყო თანამშრომლებისთვის, ვიდრე მაღალი ხელფასი და პრემიები. ასეც იყო. გიგანტური ბიზნეს-იმპერიის თანამშრომლები კმაყოფილი იყვნენ სამუშაოთი და ხელფასით, მთელ ამერიკაში კი ამ დროს უკმაყოფილების ტალღა იზრდებოდა.

### სერიოზული ბრალდებები

ჯონ დ. როკფელერის მისამართით ბევრი ბრალდება გაისმა, მას ადანაშაულებდნენ არაპატიოსანი, სასტიკი და ულმობელი მეთოდების გამოყენებაში კონკურენტების ჩამოშორების დროს. გაზეთებში იბეჭდებოდა კარიკატურები, სადაც ჯონი გამოხატული იყო მონსტრის სახით, რომელიც თავისი საცეცებით ამერიკის ხელში ჩაგდებას ცდილობს.

1902წელს ჟურნალისტმა აიდა ტარბელმა დაწერა სტატიების სერია, რომელიც კომპანია „სტანდარტ ოილს“ და მის მფლობელს ამხელდა. ჟურნალისტი როკფელერს პირად მტრად თვლიდა — ჯონმა მისი მამა გააკოტრა. თანდათან აიდა ტერბლიმ და მეოთხე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, თავიანთი ნაღვაწის საშუალებით, რომელშიც სიმართლის გარდა ბევრი გამონაგონი და ტყუილი იყო, როკფელერი ამერიკაში ყველაზე საძულველ ადამიანად აქციეს.

ისტორიკოსების აზრით, ჯონმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ჟურნალისტების გამოხდომებს პასუხი არ გასცა. ამერიკელებისთვის მისი სიჩუმე მხოლოდ დანაშაულის დამადასტურებელი იყო. პრესის სულ უფრო მზარდმა შეტევამ და როკფელერის მხრიდან უმოქმედობამ ამერიკის ხელისუფლება აიძულა, სეროზულად მოჰკიდებოდა მონოპოლიებს და პირველი მსხვერპლი სწორედ როკფელერის პირმშო გახდა. 1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა შერმანის ე. წ.





ანტიმონოპოლიური კანონი და გამოსცა ბრძანება „სტანდარტ ოილის“ გაუქმების შესახებ.

ბუნებრივია, თავად კომპანია შენარჩუნდა, შეიცვალა მხოლოდ მისი იურიდიული სტატუსი. „სტანდარტ ოილი“ 38, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელ კომპანიად დაიშალა. ყველა მათგანში ჯონ როკფელერი დირექტორთა საბჭოში შედიოდა და აქციების დიდ რაოდენობას ფლობდა, მაგრამ არც ერთ მათგანში არ ჰქონდა საკონტროლო პაკეტი. შედეგად, მისი პირადი ქონება უფრო მატულობდა.

## პირადი ცხოვრება

ჯონ დევისონ როკფელერი 1914 წელს, 75 წლის ასაკში ოფიციალურად გავიდა პენსიაში და ბიზნესის მართვის სადავეები თავის ვაჟს — როკფელერ-უმცროსს გადასცა. ამ მომენტიდან გიგანტური საფინანსო იმპერიის შემქმნელს მხოლოდ ორი რამ აინტერესებს: გოლფი და ქველმოქმედება.

ჯერ კიდევ 1881 წელს როკფელერმა ატლანტაში სპელმანის კოლეჯი დააარსა, უმაღლესი საფეხურის ქალთა სასწავლო დაწესებულება, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შავკანიანთა კოლეჯი. შემდგომ კი დააარსა ჩიკაგოს უნივერსიტეტი და უზრუნველყო მისი ფინანსური მხარდაჭერა.

ჯონ დ. როკფელერის კიდევ ერთი პირმშოა 1901 წელს დაარსებული სამედიცინო კვლევების ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში როკფელერის უნივერსიტეტის ნაწილი გახდა. ითვლება, რომ არც ერთ კომერციულ ორგანიზაციას არ მიუქცევია იმდენი ყურადღება სამედიცინო აღმოჩენებისა და ახალი წამლების შექმნისთვის, რამდენიც როკფელერის კომპანიას. ინსტიტუტის შექმნის იდეა მთლიანად როკფელერს ეკუთვნოდა. ჯონ დ. როკფელერმა თავისი წვლილი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაშიც — ნავთობის გაგნატის მიერ შექმნილმა ფონდმა ოფისის ასაშენებლად გაეროს გადასცა მიწის ნაკვეთი აღმოსავლეთ მანჰეტენში.

ჯონ როკფელერი ცდილობდა, მამისგან განსხვავებული ყოფილიყო და დედას დამსგავსებოდა. მას არასოდეს დაულევია სპირტიანი სასმელი და არ უთამაშია ბანქო.

მილიარდერის ოჯახში საბაზრო ეკონომიკა ჰყვაოდა: ყველა ბავშვს საბუღალტრო წიგნი ჰქონდა. თითოეული მათგანი იღებდა ორ ცენტს მოკლული ბუზისთვის, ერთი საათი მუსიკის მეცადინეობისთვის პატარები იღებდნენ ხუთ ცენტს, ხოლო ფანქრის გათლისთვის – ათ ცენტს. თუ ერთი დღე არ შეჭამდნენ კანფეტს, ორ ცენტს მიიღებდნენ, ყოველ მომდევნო დღეს ათი ცენტი ემატებოდა.



როკფელერი-უმცროსი საათში თხუთმეტ ცენტს შოულობდა შეშის დაპობით. საუზმეზე დაგვიანებისთვის ბავშვებს აჯარიმებდნენ ერთი ცენტით, ხოლო კვირაობით მათ მხოლოდ ბიბლიის წაკითხვის ნება ჰქონდათ.

ჯონ დ. როკფელერის ცოლი სეტი თავის მიერვე დაკერებული კაბებით დადიოდა, არაფერზე წუწუნებდა, რადგან შესაბამის ტრადიციებზე იყო აღზრდილი. როდესაც მამამ ბავშვებისთვის ოთხი ველოსიპედის ყიდვა გადაწყვიტა, დედამ უარი თქვა ამაზე და უთხრა ჯონს, რომ ერთი ველოსიპედიც საკმარისი იყო, რადგან ბავშვები ასე ერთმანეთისთვის ნივთის თხოვებას მიეჩვეოდნენ.

ასეთ აღზრდას ბევშვებისთვის სიკეთე არ მოუტანია. ჯონ რიკფელერის ერთ-ერთი ქალიშვილი, ბესი, გაგიჟდა და სიცოცხლის დიდი ნაწილი საწოლში გაატარა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ოჯახი გაკოტრდა და თავისუფალ დროს თავის ძველ კაბებს აკერებდა. მეორე ქალიშვილი, ედიტი, 21 წლის ასაკში საავადმყოფოში მოხვდა ნერვული აშლილობით, მაგრამ მოგვიანებით გათხოვდა. იგი ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდა, მუდმივად დიდი ვალები ჰქონდა და მამასთან შეხვედრას გაურბოდა.

თავად ჯონ დ. როკფელერი არასოდეს ყოფილა ავად. იგი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დღეისათვის Rockefeller Financial Services-ს მმართველობაში 34 მლრდ. დოლარის აქტივები აქვს. როკფელერების ოჯახი დიდი რაოდენობის აქციებს ფლობს კომპანიებში: „Vallares“, „Jonson&Jonson“, „Dell“, „Procter&Gamble“ და „Oracle“. „Forbes“-ის მიხედვით კი, დევიდ როკფელერის პირადი ქონება 2, 5 მლრდ. დოლარს შეადგენს.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— გარდაიცვალა პაპაჩემი. მისი ქონება გადაიფორმა მთლიანად ბიძაჩემმა, რადგან მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ფაქტიურად, ჩვენ- მე და დედა, დავრჩით უბინაოდ. რის გაკეთება შეგვიძლია?**

— მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი გარდაცვლილია, თქვენ, მისი შვილი სარგებლობთ წარმომადგენლობის უფლებით და ის ქონება, რაც უნდა მიეღო მამათქვენს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა მიგეღოთ. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რა სახის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე — კანონისმიერ თუ ანდერძისმიერთან. თუ კანონისმიერი მემკვიდრეობაა, თქვენ უნდა მიგეღოთ, ჩვეულებრივ სამკვიდროს ნახევარი, თუ ანდერძისმიერია, ანუ თუ პაპათქვენმა ანდერძი დატოვა მისი სამკვიდროს ბიძათქვენისთვის დატოვების შესახებ, ამ შემთხვევაში სარგებლობთ სავალდებულო წილის უფლებით და უნდა მიგეღოთ დატოვებული ქონების ნახევრის ნახევარი.

როგორც წერილიდან ჩანს, სამკვიდროს მიღების 6 თვიან ვადაში ბიძათქვენმა მოახერხა სამკვიდროს მიღება სანოტარო წესით. დაგრჩათ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება. სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ.

* * *

**— სამი წლის წინ ჩემი შვილი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?**

— შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა თქვენ ამის უფლებას განიჭებთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

**— ვშორდები მეუღლეს. ყველა საბუთი მაქვს მის გვარზე. შეიძლება თუ არა, განქორწინების შემდეგ, მიუხედავად მეუღლის წინააღმდეგობისა, დავიტოვო მისი გვარი?**

— შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1133- ე მუხლის მიხედვით, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი.

ასე, რომ, მიუხედავად, თქვენი მეუღლის წინააღმდეგობისა, თქვენ შეგიძლიათ განქორწინების შემდეგაც შეინარჩუნოთ მისი გვარი.

* * *

**— შეიძლება თუ არა ქორწინება ბათილად ცნოს ტერიტორიულმა სააგენტომ?**

— არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1148- ე მუხლის მიხედვით, არავის არ შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუ ქორწინება სასამართლოს მიერ ბათილად არ იქნა ცნობილი.

* * *

**— შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?**

— არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

# შეყვარებული ვაჟა-ფშაველა

## „საფლავშიც შენზე ვიფიქრებ, შენზნით ვიცოცხლებ მკვდარია!“



პირველი სიყვარული ვაჟას 10 წლის ასაკში სწვევია, ავტობიოგრაფიულ ნაშრომში იგი წერს:

„10 წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ, ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა. მე კი, თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი მის გამო. თუ ცოტა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავი იქ, საცა ჩემი „სატრფო“ მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დავმტკბარიყავი მისი ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი სატრფოს!“

ეს პირველი სიყვარული გაუმხელელი დარჩა, სავარაუდოდ, მაგრამ შემდეგ იგივე შეცდომა აღარ დაუშვია, როცა 1885 წელს ვაჟა-ფშაველა ოთარ ამილახვარის ოჯახში (სადაც თავადის შვილის მასწავლებლად მიიწვი-



ეს) ვაჟამ ამილახვრის უკანონო შვილი და მისი ცოლის მოახლე, სათნო და მშვიდი ბუნების კეკე ნებიერიძე გაიცნო. დედას კეკე ადრეულ ასაკში გაუთხოვებია, მაგრამ ქალი ადრევე დაქვრივებუ-ლა და უშვილძიროდ დარჩენილი ისევ მამის ოჯახში მიბრუნებულა, სადაც ამილახვრის ცოლის მოახლედ მუშაობდა. ვაჟას უამბია კეკესთვის, რა რთულ პირობებში უხდებოდათ ქალებს მთაში ცხოვრება, თუმცა კეკე ცოლობაზე მაინც დასთანხმებულა. ფშავში თბილი და მშვიდი ბუნების პატარძალი ძალიან მოსწონებიათ. დიდმა კნეინამ ვაჟას ქორწინებაზე ნება დართო და ვაჟამაც ქალი ფშავში წამოიყვანა. იმ ღამეს და მეორე დღეს პავლე რაზიკაშვილის ოჯახში დიდი მხიარულება იყო. ვაჟამ და კეკემ კარგი ოჯახი შექმნეს. კეკე შინაგანად ფაქიზი ადამიანი გახლდათ. რაც მთავარია, მან იცოდა თავისი ქმრის ფასი და ცდილობდა, მისთვის ყოფითი ტვირთი შეემსუბუქებინა. ვაჟა ბუნებით ფიცხი ადამიანი იყო. უცებ აფეთქდებოდა რაღაცაზე. კეკე გაიქცეოდა, ყელზე შემოეხვეოდა და ვაჟაც უცბად მშვიდდებოდა.

17 წელი იცხოვრეს ვაჟამ და კეკემ ერთად და ოთხი შვილი: თამარი, მარიამი, გულქანი და ლევანი შეეძინათ. თითქოს ვაჟას ბედნიერებას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ 1902 წელს მეხუთე შვილზე ფეხმძიმე კეკეს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ამ დროს ვაჟა ყვარელში, დასთან სტუმრობდა. კეკესთან, ბავშვების გარდა, არავინ იყო. პატარები ვერც კი მიხვდნენ, რომ დედა გარდაიცვალა.

როცა ვაჟამ კეკეს გარდაცვალება გაიგო, კარგა ხანს ხმა არავისთვის გაუცია, იჯდა და გაუჩერებლად, მხოლოდ ამას ბუტბუტებდა:

„ე მაში ბაწარა დავდე,
ა, ის ბაწარა რა იქნა,
მოიპარავდა სიკვდილი
მაინც ქურდია, მაინცა.“

როგორც ვაჟას ქალიშვილი გულქანი იხსენებს, მამამ კეკეს გარდაცვალებისას დაწერა და სწორედ კეკეს მიუძღვნა ცნობილი ლექსი „იას უთხარით ტურფასა“.

კეკეს გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ვაჟა მიხვდა, რომ ოჯახისა და ბავშვების მოვლას მარტო ველარ შეძლებდა და ახლობელთა რჩევას დაჰყვა. საცოლედ გიორგი დიდებულიძის შვილის თამარის კანდიდატურა ბესო შანიძემ შეურჩია და პოეტი ისე დასთანხმდა, რომ ქალი თვალითაც არ ჰყავდა ნანახი.

ვაჟამ და თამარმა სიცოცხლის ბოლომდე ერთად იცხოვრეს და ერთი საერთო შვილი - ვახტანგი შეეძინათ. კეკესგან განსხვავებით, თამარს არ შეეძლო, გაეგო, როგორ შეიძლება ადამიანს ხვნა-თესვის დროს წერის ჟინმა მოუაროს და მუშაობა მიატოვოს. ვერ ხვდებოდა, რომ ვაჟა სხვა სამყაროს ეკუთვნოდა და მიწიერი პრობლემები ნაკლებად უნდა მოეხვია მისთვის თავზე. „ოჯახზე რომ არ ფიქრობდა და სულ ქვეყანაზე ფიქრობდა, რა მისცა ვაჟას ქვეყანამ?! მშიერ-ტიტვლები დაგვტოვა და მიწაშიც მშიერი და ტიტველი წავიდა“, - ეს სიტყვები გულქან რაზიკაშვილის მოგონებებმა შემოინახა, როგორც თამარის მუდმივი საწუხარი.

პოეტის ჯანმრთელობა მძიმე ფიზიკურმა შრომამ თანდათან შეარყია. 1915 წელს ვაჟა ტუბერკულოზით დაავადდა სამკურნალოდ თბილისში ჩამოიყვანეს. საავადმყოფოს პალატაში გამოკეტილ, მომაკვდავ პოეტს მთის წყალი და ტყეები ენატრებოდა, ამიტომ ლოგინი იატაკზე დაუგეს და ზედ მინდვრის ყვავილები მიმოუფინეს.

თამარს თბილისი არასოდეს ენახა. ვაჟა სულ ჰპირდებოდა, რომ თბილისში ჩაიყვანდა. საბოლოოდ, მან პირობა შეასრულა - თამარი თბილისში ვაჟას დაკრძალვაზე ჩამოვიდა.

ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ გარდაცვალების შემდეგ თამარ დიდებაშვილი დიდუბის პანთეონში, ვაჟას ნასაფლავარში დაეკრძალათ, ხოლო გენიოსმა პოეტმა მთაწმინდის პანთეონში დაიდო ბინა.

ვაჟა-ფშაველა 1915 წლის 27 ივლისს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა.

ამბობენ, რომ როცა ვაჟას ცხედარი ქაშუეთის ეკლესიაში დაასვენეს, პანაშვიდზე თმაგაშლილი და გაჭაღარავებული მანდილოსანი ხმამაღალი ტირილით შესულა. ეს ქალი ვაჟაზე უიმედოდ შეყვარებული ულამაზესი ნინო ფურცელაძე ყოფილა. თავის დროზე ვაჟას მის სიყვარულზე უარი უთქვამს - თქვენ მთაში ვერ გაძლებთ და მე ბარადო. ნინოს საკუთარი თავისთვის პირობა მიუცია, რომ ვაჟას გარდა არავის გაჰყვებოდა ცოლად და პირობა შეუსრულებია.

ვაჟას სიკვდილის შემდეგ ნინოს დიდხანს აღარ უცოცხლია. იმასაც ამბობენ, გარდაცვლილს დებმა საფლავში ვაჟას სურათი ჩააყოლესო...

მოამზადა
**თამუნა კეშელავამ**
555 46 08 04



**გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი, მთარგმნელი დავით კახაბერი.**

იგი წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ და არა მარტო ქართულ მწერლობას.

იყო საქართველოს მწერალთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

დავით კახაბერს ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს: მარსელ პრუსტის, ჟან ჟენეს, ეჟენი იონესკოს და სხვა ფრანგი ავტორების ნაწარმოებები, რისთვისაც დამსახურებულად მიენიჭა საფრანგეთის სახელმწიფო და ლიტერატურული ჯილდოები.

საქართველოში მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული მისი თარგმანები დაჯილოვდა რამდენიმე ლიტერატურული პრემიით. იყო ღირსების ორდენის მფლობელი.

პანაშვიდი – ოთხშაბათს, დაკრძალვა – ხუთშაბათს, 3 მარტს, 2 საათზე.

მისამართი: ნუცუბიძის მე-5 პლატო, I კორპ., II სადარბაზო.

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მთარგმნელისა და ლიტერატორის დავით კახაბერის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com